


644  
1966/4

644/4  
1966/4



1966

4



୧୦.୩୩୬.

୪

୧୯୬୦ ଜୁଲାଇ

୧୯୬୬

ମିଶନେରାତିଶରୀଳ-

ମହାତ୍ମେଶ୍ୱରଙ୍କ ଏବଂ


ସାଂଗ୍ରାମିକାନ୍ଧିକାନ୍ତରେ-

ପାଲିବିତିକାରୀ

ଶ୍ରୀରଞ୍ଜନୀ

ଶ୍ରୀରଞ୍ଜନୀଙ୍କ ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରକାଳୀନ ଆନନ୍ଦବିହିତରେ  
ଏବଂ ପରିଚାଳନା କାବ୍ୟବିରଳର ମହାବାଜୀ

ମୁଦ୍ରଣକାରୀ



୧୦

### ମତୀବାନର ହେଉଥିଲାଗର ପୁଅ ପିନ୍ଧିଲାବୀ

ସାରୋହିତ୍ୟରେ କମଳାବିଦା: ଆମାଙ୍କ ଶାରକାପା, ପାରାମ ଶବ୍ଦରେଖାପାଲି, ପାରାକ  
ଶବ୍ଦରେଖାପାଲି, ପାରାମ ପାଲାପା, ପାରାକଶାକତିରେ ଲାଗରକିରାନାପା, କମାଙ୍କ ପାଥ-  
ରେଖାପା, ପାରାମ ପାରାକଶାକତିରେ (୩/୩୩. ୧୯୭୩ବେ), ପାରାକଶାକତିରେ ପାରାକଶାକତିରେ,  
ପାରାକଶାକତିରେ, ପାରାକଶାକତିରେ, ପାରାକଶାକତିରେ, ପାରାକଶାକତିରେ,

## ლენინის პარტიის ყრილობა

29 მარტიდან 8 აპრილამდე მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს პრო გრესული ადამიანების იმედინი შზერა მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, სადაც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სკეპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდიგანი ამბ. ლ. ი. ბრეჟენევი.

სკეპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე ამბ. ნ. ა. მურავიოვა.

მოხსენებით — სკეპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამბ. ა. ნ. კოსიგინი.

ყრილობის დელეგატებმა ყოველმხრივ განიხილა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, კოლექტიურად შეიმუშავეს პარტიის პოლიტიკური ხაზი უახლოესი წლებისათვის.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია სკეპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ.

1966 წლის 8 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ არჩეული სკეპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა აირჩია სკეპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობითი: პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟენევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. ბელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ამხანაგები: ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიტევი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მუვანაძე, შ. რ. რაშილოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შერებიცივი.

პლენუმმა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟენევი აირჩია სკეპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, სკეპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები: ი. ვ. ანდრობოვი, პ. ნ. დემიტევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ა. ნ. შელეპინი.

პლენუმმა სკეპ ცენტრალურ კომიტეტითან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი ა. ი. ბელშე.

ԷՐԵՄՈ ԽԱՅԱՊԵՏՈՒԹ



ՅԱԺՈՅԸ  
ՊՅԵՐԸ  
ՔՐԵԱԿ

რბილად და უხმაუროდ დაიძრა მატარებელი. ჯერ ოდნავ შესამჩნევად გაცურდა უკან გამცილებლებით სავსე მტკრიანი ბაჟანი, მერე თანდათან იმატა სიჩქარემ და მხიარული სახეები ერთმანეთში აირია. გურამს თვალები აუჭრელდა და ლი ფანჯარს ზურგი შეაქცია. ვაგონის ვაწრო დერეფანი გვიან ამოსული მგზაურებითა და ბარგი-ბარხანით იყო გაჭრილი. გამაყრუებლად ჭყიბინებდნენ სიხარულისაგან აღგზნებული ბავშვები, სიცითა და ხმაურით გალიზიანებული შშობლები ხმამალლა ტუქსავდნენ მათ. ვიდრე ეს აურზაური ცოტა მაინც არ მიწყნარდებოდა, კაპეში შესვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო და გურამმა კვლავ სახე შეუშვირა ფანჯრიდან შემოჭრილ თბილ ნიავს.

მატარებელი უკვე გასცდენოდა ქალაქის გარეუბნებს და რახახით გადადიოდა რკინის უანგიან, ვიწრო ხილზე. მალე თვალს მიეფარა ეს ხილიცა და ტალახისფერი მდინარეც, რომელზეც იგი ირიბად იყო გადებული.

მატარებელი ახლა მდოგვისფერი, ხრიოკი ბორცვების გასწრები მიჰქროდა. ბორცვები რიგრიგობით, ჩქარ-ჩქარა შორდებოდნენ ლიანდაგს და ცადაზიდული თეთრი მთებისუკნ მიისწრავთ უკრო და უფრო და უფრო დიდებოდა სივრცე, იწმინდებოდა და გრილდებოდა ჰაერი, მკვეთრდებოდა ფერები და ისვენებდა ქალაქის სიტრელით დალლილი თვალი. ტკივილამდე იბერებოდა ქალაქელი კაცის მტკრიანი და გავეარტლული ფილტები, წყნარდებოდა და ჩუმი ნეტარებით ივებოდა მთელი სხეული. მატარებელი უმატებდა სვლას და იზრდებოდა გურამის გარეგნულად თითქოსლა უმიზეზო მხიარულებაც. რა ცოტა რამ ყოფილა საკმარისი უგუნებობის გასაქარწყლებლად! აბა რას იფიქრებდა, რომ ასე მალე აიტანდა ის სიხარული, ბაეშვებაში მგზავრობისწინ ლამეს თეთრად რომ ათენებინებდა ხოლმე?!

გულახილად რომელია კაცები, მარტო არა, საერთოდ თუ აიტანდა, აღარც კი ეგონა. როგორც ჩანს, ჯერ მთლიანად არ გაუფ-

ლანგავს ის აუნაზლაურებელი სიმდიდრე, რომელსაც ზოგი ბედნიერი ბოლომდე იზოგვას ხოლმე, ზოგი შუაგზაშენებული ფანტაზის მის უკანასკნელ მარგალიტებს, ზოგი კი, საბრალო, ისე მიღის ამ ცხოვრებიდან, ბუნდოვნად ახსოვს, რომ ამ განძის მფლობელი იყო ოდესლაც და ვერც კი ნანობს, მის ნამდვილ ფასზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონია.

...მატარებელი უფრო და უფრო სწრაფად მიჰქრის, მგზავრის ფიქრი ამ სიჩქარეს ვერ აცყოლია და ხან წინ გარბის, ხან უკან ჩერება. გარეთ უკვე ზაფხულის ლურჯი ბინდი ჩამოწოლილა, აღარაფერი მოჩანს გარევევით და მისი სამყაროც უნებურად ვაგონის კედლებით იფარგლება. მხოლოდ გარედან შემოჭრილი გრილი ნიავი, სავსე რაღაც გამოუცნობი და ამავე დროს ყველასთვის გასავები, ბავშვური იუმორით, მხიარულად უწეშავს თმას და არ აძლევს საშუალებას დაივიწყოს, რომ ნამდვილი სამყარო, ბუნება, უსასრულოდ უფრო დიდია და ფართო, ვიდრე ის სივრცე, რომელსაც კაცის სუსტი თვალი გასწვდება.

გურამი ისევ გაუნდჩევლად დაგას ფანგარასთან და გასცემრის სიბნელეს, თუმც კარგა ხანია დაცარიელდა დერეფანი, თავთავის აღგილებზე დალაგდა ხალხიცა და ბარგი-ბარხანაც. გორგლების რიტმულმა რახახახმა ბოლოსდაბოლოს დამშვიდა ბავშვებიც და ახლა მხოლოდ ერთი მათგანილა განაგრძობს სადღაც ჭყიბინსა და ჭირეცეულობას. მაგრამ აი, მიზანუნდა კუპის კარი და ეს ხმაც მიწყდა. გურამს ზურგს უკან ხენეშით ჩაუარა ერთ-ერთმა ლიპიანმა წარმომადგენელმა „კომფორტის მოყვარული“ მგზავრებისა, რომელნიც საოცრად შინაურულად გრძნობენ თავს ყველგან და ყველასთან და ზოლებიან პიევამებში გამოწყობილი, შიშველ ფეხზე წამოცმული უქუსლო ქოშებით, მამლაყინწებივით თავმომწონედ დაისარებან ხოლმე ვაგონების დერეფნებში, ხშირად — ბაქნებზეც. თეთრიკიტელიან რუს გამცილებელ ქალს უკვე მოუსწრია ცხელი ჩათ სავსე ჭიქების კუპე-კუპე ჩამოტარება.



და რადგანაც ამ — მისი აზრით შესანიშვნავი — სასმელის ერთი მსურველიც კი ვერ მოუნახავს, უქმაყოფილო ბურტყუნით ბრუნდება უკან. პიყამიანი მგზავრი დიდი ვაივაგლაბით მაღას თავის ვე-ებერთელი ღის, რათა გზა მისცეს მას და დამტვრეული რუსულით, ხმამალლა გამოთქვამს თავის აზრს, რომ ახლა ზაფხულია, ძალიან ცხელა და ჩაის სმის დრო სულაც არ არის. ქალი ხმას არ იღებს, იბლივიება და გზას განაგრძობს.

გურამი გრძნობს, როგორ ითრევს მას ნელ-ნელა მგზავრული ცხოვრება, როგორ აინტერესებს მისი სრულიად უმნიშვნელო წვრილმანები, რომელთა უმრავლესობა უბრალო ყურადღებასაც არ იმსახურებს. იგი ცდილობს არ მისცეს თავს ამის უფლება. რა მისი საქმეა, ფრაკი ეცმევა ამ ღიპიან მგზავრს თუ ჩიხა-ახალუხი ან რა დროს იმაზე ფიქრია, თუ რას გამოუწვევია გამიტლებელი ქალის უქმაყოფილება, როცა კეშმარიტად მნიშვნელოვანი კითხვები, მას, ოცდაათი წლის ადამიანს, დღემდისაც უპასუხოდ აქვს დატენილი. ვინ არის თვითონ იგი? რას წარმოადგენს? ნამდვილად მიაგნო მან თავის ადგილს ცხოვრებაში, თუ ეს მხოლოდ დროებითი მოჩვენებაა? ხოლო თუ ეს ასეა, ეყოფა კი დარჩენილი წლები ამ შეცდომის გამოსასწორებლად?

მართალია, ვაგონის დერეფანი შეუფერებელი ადგილია ასეთი სერიოზული საკითხების გადასაწყვეტილ, მაგრამ მართალია ისიც, რომ ამისათვის „შესაფერ“ ადგილს ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მანილზე ვერსად პოულობს აღამიანი.

— გურამ! — ესმის მას უეცრად და იხედება იქით, საიდანაც უძაბიან: ერთერთი კუპილან თავი გამოუყვავა წაბლის-ფერთმიან ახალგაზრდა ქალს და საყველურით სავსე, დიდი, ცისფერი თვალებით იყურება მისქენ. ქალს დაბალი და ხავერდოვანი ხმა აქვს, — სადა ხარ აქამდე? რამდენი ხნია გელოდებით!

— მოვდივარ! — უპასუხებს გურამი და რატომდაც დარცხვენილი შედის კუშეში, სადაც მას ხვდება თავისი თანამ-

გზავრების ხმამალლი შეძახილები / გურამი აზრით გაშლილი სუფრა.


გადის კიდევ ბევრი დრო, ვადჟუჭუჭუა არამ ახერხებს ზედა თაროზე აძრომასა და ჭდომისაგან დაბუქებული ფეხების გაშლას. დალლილობისა და სიმოვრალის მიუხედავად, არა და არ ეკარება ძილი. კუპეში ლურჯი სინათლე ანთია, მერე ისიც ქრება. მხოლოდ დროდადრო იჭრება ფანჯრიდან სინათლის სხივი, ანათებს ულავებელ ნასუფრალს და ისევ ქრება. გურამი შეუგნებლად უსმებს გორგოლების რახრახასა და მძინარეთა სუნთქვას და უკერის, რომ აქ არის, უკვირს და ვერ ისხენებს, როგორ აღმოჩნდა მატარებელში, სად მიღის და რისთვის. მაგრამ ნავიკ პირდაპირ სახეში ურტყამს მას, მალე სრულიად აფხიზლებს და ყველაფერი ნათლად და მყაფიოდ ავონდება.

## 1

ივნისის ცხელი საღამო იყო. გურამი ჩაფიქრებული იჯდა ტახტზე, თავის პატარა ანგრეულ ოთახში, რომლის ქვევითაც, პირველ სართულზე, თევზის დიდი მაღაზია მდგბარეობდა. ნეონის ფერადი რეკლამა ფანჯრის ქვეშ წამდაუწუმ ინთებოდა, ქრებოდა და თან იბობას ქსელში გაბმული ბუზივით ზუზუნებდა განცწვერილი. ლია ფანჯრიდან ოთახში მღამე სიმყრალე შემოიღოდა და შეუჩვეველი კაცისათვის ძნელი იყო აქ დიდხანს გაძლება. ყოველივე ეს კმაროდა, რომ ადამიანი ცუდ გუნდაშე დაეყენებინა, მაგრამ გურამის მოწყენილობის ნამდვილი მიზეზი სხვა გახლდათ.

ტახტის წინ დეველებური საწერი მაგიდა იდგა მწვანე, გაცრეცილი მაუდითა და უმძრავი უჯრით. მაგიდაზე იდგა სიგარეტის ნამწვებით გადავსებული საფერფლე, იქვე იდო ავტოკალამი და ქალალდას ცარიელი ფურცლების დასტასე იყო ყოველდღე: დგებოდა საღამო, ისებოდა საფერფლე, ფურცლები კი ცარიელი რჩებოდა. მას შემდეგ, რაც გამოვიდა გურამის მოთხრობების პატა-

რა წიგნი და რაც მან თავი დაანება სამ-სახურს, გავიდა წელიწადზე ცოტათ მეტი. ამ ხნის განმავლობაში იგი დარწმუნდა, რომ არც ზეპირი მითქმა-მოთქმა მისი წიგნის გამო, არც რამდენიმე სასიამოვნო საგაზეთო სტრიქონი ამ წიგნის „ახალგაზრდა“ ვტორზე და არც ნაცნობების მკვეთრად გამახვილებული ყურადღება მის მიმართ არ იყო ნამდვილი და მტკიცე წარმატება, აჩვენდ — დროებითი და უმნიშვნელო. იგი მიხვდა, რომ ვერ გაქცეოდა ამ მოჩვენებითი გამარჯვების მაცურ გავლენას და რომ მის თვითკონტროლს სტულიად გამორჩენოდა დარის ის მონაკვეთი, როცა ილუზიებით გათამამებულს თავისი მომავალი ძალიან ნათლადა და გარკვეულად ეჩვენებიდა. და ის დადგა დრო, ძალიან სწრაფად და მოულოდნელად, როცა მან იგრძნონ თავისი თავით უქმაყოფილება და სცადა ამ უსიამოვნო გრძნობის მოშორება. სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გმირები, რომელთაც „ქმნიდა“ იგი, უსისხლონი და უხორცონი იყვნენ. იგი ისევ სპობდა მათ და უკვე ნნობდა, რომ გადაუჩჩნენ ისინი, რომლებმაც წიგნის ნაბეჭდ ფურცლებზე შეასწრეს და ისე გამრავლდნენ, რომ ალარაფერი ეშველებოდათ. „ყველაფერი გადაღლის ბრალია!“ — იმედებდა თავს გურამი და ოცნებობდა სადმე წასვლაზე, სადმე შორს ამ ზუზუნა რეკლამებისა და უძილო ღამეებისაგან. იგი სინანულით იგონებდა სტუდენტობის წლებს, როცა ყოველ ზაფხულს გეოლოგიურ ექსპედიციაში ატარებდა, ზამთრის ორიოდ კვირას კი — აუცილებლად მაღალმთინ სახითომური იგარაკზე. პო, ახლა ეს ყველაფერი მხოლოდ მოგონებებს და წარმოადგენდა. სურვილი დარჩა, მაგრამ მხოლოდ სურვილი არ კმარიდა, მითუმეტეს, რომ თავმოყვარეობა არ აძლევდა ნებას დაბრუნებოდა იმ გარემოს, რომელსაც ასე დაუჭირებლად გამოექცა. მის გარშემო იკვრებოდა რაღაც უცნაური, მოგადოებული წრე და ამ წრის გარღვევას გურამის ნება აღარ ჰყოფნიდა. საჭირო იყო ვიღაცის თუ რაღაცის ჩარე-

ვა გარედან და ასეც მოხდა.  დროულადა და საბედნიეროდ.  იმ წუთში, როცა ოთხში ტელეფონის მიკრიალი გაისმა, გურამი უყურებდა კედელზე ჩამოყიდებულ ერთადერთ ფოტოსურას, რომელზეც მისი მშობლები, საქორწილო ტანისამოსში გამოწყობილი და სახეგაბრწყინებული, ულიმოდნენ ერთმანეთს. დედას ისეთივე ტალღისებური თმა და დიდრონი ჭროლა თვალები ჰქონდა, როგორიც გურამს, მამისგან კი მას სწორი ცხვირი და ოდნავ ჩაყვალეტილი, ვაკაცური ნიკაპი გამოჰყოლოდა. გურამი უყურებდა მათ და უხარიდა, რომ ისინი იმ დროს ისეთი ბედნიერები იყვნენ, უხარიდა, რომ ბედნიერები იყვნენ მერეც, თითქმის მთელი სიცოცლის მანძილზე.

რაც არ უნდა ექნა მას ახლა, უკვე ველარაფრით ატენდა მათ კეთილ და მოსიყვარულე გულებს. მისი სიხარული იყო ჩუმი და სევდიანი. საიდანაც ზარის შორეული და თითქოს საიდუმლო წკრიალი ისმოდა და როცა გურამი ფიქრებიდან გამოიჩეა, მიხვდა, რომ ტელეფონი რეკავდა. ახლობელთაგან ქალაქში დარჩენილი მას ალარავინ ეგულებოდა და ალბათ, ნომერი შეეშალათო, ფიქრობდა რატომდაც გაღიზიანებული. მაგრამ რეკავა არ წყდებოდა და გურამი იძლებული იყო იეღო ყურმილი.

— მაია ვარ! — მოესმა ხრინწიანი ხმა. — მიცანი?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა გურამმა.

— რამდენი ხანია, რაც აღარ გვინახავს ერთმანეთი! როგორა ხარ?

— ისევ ისე.

— პო, მაგრამ, მე არ ვიცი როგორ იყავი! — გიოცინა მაია. — თუმცა არა! ცოტა ვიცი! შენი წიგნი წავიყოთხე! მომილოცას! ძალიან მომეწონა!

— გმაღლობთ! — ჩაიბურტყუნა გურამმა და გაიფიქრა: „ნუთუ მხოლოდ მისთვის დარეკა?“

— განა იმის ღირსი არა ვარ, რომ ერთი ცალი ვეტორისაგან მივიღო საჩუქრად? — განაგრძობდა მაია. — ხომ იცი. როგორ გამიხარება? სხვა რომ არაფე-

ଏହି ଯୁଗେ, କ୍ଷେତ୍ରି ପ୍ରକାଶରେ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ  
ମେହିରୁ ରା, କନ୍ଧ ଉଚ୍ଚ ମଧ୍ୟରେଣ୍ଟି ବାର, ମେ  
ହି ପୂର୍ବାଲଙ୍କ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ? ଏହି ବାରଙ୍କ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ

— ეს! მაია! — ამოიოხრა გურამმა, —  
შენს დანაშაულს მე მაბრალებ?

— ვეუმრობ, — გაიცინა მაიამ, — ახლა რას აკეთებ? წერ რამე ახალს?

— კი, — უპასუხა გურამმა.

— հա՞յ?

— ანდერძს.

— ამ! კარგი ერთი! ეს რაღა ხუმრობაა? შენ! მართლა! ამ ზაფხულს როგორი გვეგმები გაქვს? საით მიიტხორ?

— არც საიო! — უპასუხა გურამმა, —  
მე აღარ ვმუშაობ.

— რას ლაპარაკობ! მართლა? — გაუ-  
კვირდა მაის. — რა კარგია!

— Ի՞նչ արօն քաղցո՞ւ?

— იცი, რატომ დაგირებე? კოლექტო-  
რი მცირდება ერთი თვით და ვერავინ  
ვიშოვე. უცხოს წაყვანა მანიც არ მინ-  
დოდა. შეზე ვიფიქრე, იძნებ ეცალოს-  
მეთქი! ხო წამომყვები? ვა? წამომყვე-  
ბი? — ვეღარ ითმენდა მაია.

— დამიცა, გოგო, გამაეგბინე რა გინ-  
და! — თქვა გურამმა და იგრძნო, როგორ  
დაეხვა თავბრუ. „შეუძლებელია! — ფი-  
ქრობდა იგი, — ეს რაღაც ზოპარსა  
ჰგავს!“

მაგრამ მაია არ ჩერდებოდა, სწრაფად  
ლაპარაკობდა, რაღაცეც ს ეკითხებოდა  
და პასუხის გაცემასაც ოარ აცლიდა:

— ...ერთი თვით, გურამ! მხოლოდ ერთი თვით! სამუშაო — არც ისე ძნელი.

ფაუნის შეგროვება. თუმცა ეს ხომ შენც  
კარგად იცი. და რომ გითხრა სად მივდი-  
ვართ, არ დაიჭერებ! ზღვაზე! კეთილი-  
მედის კონცხი გაგიგავა? ბაზა იქ გვექ-  
ნება. ექსპედიციის შემადგენლობა კარ-  
გია. სულ ახალგაზრდობა. ზოგს იცნობ.  
შენ, ყოველშემთხვევაში, ყველანი გიც-  
ნობენ და ძალიან გაუხარდათ, როცა უ-  
თხარი, შეიძლება წამომყენებ-მეთქი, თუ  
ეცლება-მეთქი და აკი გცალია! წამომყ-  
ენი? ჰა?..

მაია, როგორც ჩანს, აღფრთოვანებული იყო იმით, რაზეც ლაპარაკობდა და

გურამსაც სწრაფად გადაედო ეს განუტყობ  
ბილება. უცბად ისიც კი გაითვარია, მაიც  
აფრიკაში მეპატიუებაო. სულიერი მომართებელი  
იღრიცებოდა, როცა ოვალში დაუდგა  
ატლანტიის ლურჯი სივრცეები, გავარვა-  
რებული ცა და პალმებში ჩაფლული ბა-  
მბუკის ქოხები... როგორც მალე გამოირ-  
კვა, კეთილი იმედის კონცხი ერთ-ერთი  
ადგილობრივი პატარა კურორტის სახე-  
ლოდება ყოფილა, რეკლამის მზნით  
მოგონილი და შერქმეული, მაგრამ ამან  
უკვე ვეღარაფერი დაკლო გურამის სი-  
ხარულს. მას უნდოდა ხტუნაობა, თავდა-  
ყირა გადასცლა, ხმამალლა სიცილი, მაგ-  
რამ თავს იკავებდა. უშენდა შაიას და  
იგონებდა მის მშვენიერ სახეს, დიდ, ცი-  
სფერ თვალებს, წაბლისფერ თმას და  
აქრისფერ ბუსუსებს თითქოს გაბუტუ-  
ლი ტუჩების ზემოთ.

— ...მაც ასე! — განაგრძობდა მაია. — პირველ ივლისს გავალთ მატარებდით. შენ მხოლოდ პირადი ნიუთების წამოღება დაგვიტრდება; პასპორტი არ დაგრჩეს! ხომ წესრიგში გაქვეს? აბა შენ იცი! შენ იმედზე ვარ! ნახვამდის! — დაამთავრა მან და ყურადღილი დაჭკიდა.

გურამი გულაღმა გადაწვა ტახტზე,  
მერე გადაკოტრიალდა და ყიძა გაჭიმია.  
პატარა, შავი ობობა, ჭერზე რომ მიბო-  
ბლავდა, უცერად შეჩერდა, — ალბათ გა-  
უკვირდა ოთახის პატრონის ასეთი უც-  
ნაური ქცევა, — მერე ისევ დაფაცურ-  
და, იქით ეცა, აქეთ ეცა და სწრაფად მო-  
ძერდა საიმელო თავშესაფრისკენ ჭერის  
კუნიულში.

II

ივლისამდე დარჩენილმა ღრომე სწრა-  
ფად და შეუმჩნევლად გარბინა. გურამის  
რამდენჯერმე მოუხდა მაისათან მისევე  
ინსტიტუტში, ვიდრე იქაური საქმეთა  
მართველი, ბებერი და ჭავლანა ქალი,  
მის საბუთებს გააფირმებდა. ათასნაირი  
ცნობებისა და ქალღდებისობის სიჩრი-  
ლი, რაც სხვა დროს ალბათ წინასწორო-  
ბიდან გამოიყანდა გურამს, ახლა სუ-  
ლაც არ აღიზინებდა და ყველაფერს  
წყნარად და მშვიდად აკეთებდა. მომავა-

ლი მგზავრობის მოლოდინის გარდა გურამის გუნებაზე, ცხადია, კარგად იმოქმედა ავანსად მიღებულმა გარკვეულმა თანხმაც, თუმცა ამას თავის თავსაც კი უმაღლდა.

გათენდა პირველი ივლისის ულრუბლო დილაც. გურამი ადგომისთანავე მოუთმენლად შეუდგა სამგზავროდ მზადებას, რამაც სულ რალაც ოციოდე წუთი წართვა. პატარა ჩემოდნის უმეტესი ნაწილი წყალქვეშ საცურაო მოწყობილობამ დაიკავა: ნიღაბმა, ჩეზინის ფარფლებმა და ლითონის მიღმა. დარჩენილი ადგილი თავისუფლად ეყო საწერ ქალალს, რამდენიმე წიგნს, ტანისამოსსა და სხვა აუცილებელ საგნებს. აბლა მხოლოდ სადგურზე წასვლად დარჩენილა გურამის ბილეთის ასაღებად, თუმცა არც კარგი საუზმე იქნება ურიგოო, გაიფირა ქუჩაში გამოსულმა და მოაგონდა, რომ გუშინდელი საღილის შემდეგ არაფერი ეჭამა.

თევზის მაღაზიის გვერდით კაფე-საშა. ქარლიმ იყო. თუმცა აქაც, ისევე როგორც გურამის ოთახში, თევზის სუნი ტრიალებდა. მატროხელა კაცისთვის მაინც ცხონება იყო მისი საცხოვრებელი აღგილის სიახლოვეს ასეთი დაწესებულების არსებობა. ამ გარემოების გურამი მუდან მოწინებით უწევდა ანგარიშს. მით უმეტეს, რომ მათ, ამ კაფეს მუდმივ მუშტრებს, პირადად ემსახურებოდა დეიდა ვართუშა, რაც მის პირდაპირ მოვალეობას არც შეადგენდა.

— ვა! დღეს რალაც ძალიან ეშხინი ხარ, ა! — უხხრა მან გურამის, როცა იგი კართან ახლოსმდგარ მაგიდას მიუჭდა და ლოყაზე ხელიც კი მოუცაცუნა, — ჟა?! რა ამბავია? ცოლს ხმო არ ირთომ?

— ეს! დღედა ვართუშ, მე ვინ გამომყება?! — თავი მოისაწყლა გურამმა.

— რაო, რაო?! — ჩვეულებისამებრ აღშეფოთდა ვართუშა და ისე შემოიყარა დოინჯი, როგორც ხელჩართული ბრძოლისათვის მზადყოფმა, გაკაპასებულმა დედაკაცებმა იციან ხოლმე. — ეს როგორ თუ ვინ გამოგყვება?! მითამ რა, შენისთანა ბიჭები სულ ყრია, არა?! უი,

უი... — და სომხურად მოყვა წყალქვეშ კრულეს იმ ქალებისას, რომელთაც კარგი თვალები ჰქონდათ თავის ადგილზე და ერც გონების გამჭრიახობას დაიკვეხნიდნენ.

ვართუშის თვალში გურამი კიდევ უფრო გაიზარდა და დამშევნდა, როცა მან საუზმის შემდეგ იმდღევანდელ დანახარჯთან ერთად ძევლი ვალებიც გაისტუმრა და მეტრი ისიც აცნობა, თუ სადა და რამდენი ხნით აპირებდა წასვლას.

— მაშ ერთი თვე არ გნახამ? აფსუს, აფსუს! — სინანულით იქნებდა ვართუშა თავის იქით-აქეთ და როგორც საკუთარ შევილს, ისე არიგებდა ჭკეუას გურამს, — ნელა იყავი, შევილო! ხო იცი, ზღვასთან ხუმრობა არ იქნება! იქ ბლომად ქალებიც იქნებიან, რამე ხათაბალში არ გაიჩინორ! — მერე მას თვითონვე შერცხვა თავისი დამრიგებულები ტონისა და საშრაფოდ დაუმატა: — არა, ისე შენ ჭიუიანი ბიჭი ხარ! ვართუშის სწავლება რა განდაბად გინდა!

გურამი გულგამთბარი გამოემშვიდობა მას და სადგურისაკენ გაემართა. „როცა სადმე ასე შეგხვდებიან და გაგაცილებენ, — ფიქრობდა იგი გზადაგზა, — ძალაუნებურად აღარ აქცივ უურადღებას არც ნამცხვრების სურნელში არეულ თევზის სიმყრალეს და არც იმას, რომ წყალშეყალა კაკოს სიტკო აკლია, ხაჭაპურს კი — კერცხი და სმელშე“.

საბილეთო სალაროებთან მისულ გურამს დახვდა ყველა, ვისთანაც მთელი თვე ერთ ჭერქვეშ უნდა გაეტარებინა. მაია მართალი გამოდგა: ზოგიერთს გურამი აღრეც იცნობდა, მაგალითად — გიორგის. იგი ერთ ღრმს კარგად ფარიკობდა და რაღვან ბავშვობაში გურამიც გატაცებული იყო ამ სპორტით, ამიტომ ჭერ კიდევ იმ დროიდან ახსოვდა გიორგი. მასაც გურამივით მობეზრება ბოლოსდობოლს „მეშამფურებობა“ — როგორც ეძახდნენ დამცინავად მოფარიკავებს სხვა სპორტს მენები, — და ახლა დიდი მომავლის მქონე, მუყაითი ახალგაზრდა მეცნიერის სახელი ჰქონდა გავარღნილი. სუფთად და საღად ჩატმუ-

ლი, სანდომიანი სახის შავგრემანი ყმა-წვილის გარეგნობაში ყველაფერი მის შინაგან წესრიგსა და სერიოზულობაზე მიუთიობდა: პატარა, კოტად შეკრეჭილი შავი ულვაშებიც, იდეალურად გა-პარსული ყბებიცა და ნიკაპიც, გვერდზე გადაყოფილი პრიალა თმაცა და კარგად მოვლილი, ქაფათა თეთრი კბილებიც, რომელთაც მხოლოდ იშვიათად თუ მოჰკრავდა კაცი თვალს.

გურამი იცნობდა ნანასაც, მეტად ლა-მაზი სახისა და აღნაგობის ქალს, რომე-ლსაც, ეტყობა, არ აქმაყოფილებდა თა-ვისი თითქმის უნაკლო გარეგნობა და უამრავი ხელოვნური საშუალებით — ფარულითაცა და თვალსაჩინოთიც — ცდილობდა მის გაუმჯობესებას. გურა-მის აზრით, ნანა ბევრს კარგავდა ამით, ისევე, როგორც ყველა ლამაზი, მაგრამ უგემოვნებო ქალი.

ნანა გვერდით იდგა მისი ქმარი, ნუგ-ზარი. იგი თუმც არქიტექტორი იყო, მა-გრამ ექსპედიცია, რომელშიც მისი ცო-ლი მონაწილეობდა, არასოდეს გაუცდე-ნია და თურმე არც ახლა აპირებდა ამ ტრადიციადქმედული ჩვეულების დარღ-ვევას. იგი მაღალი და მსხვილი კაცი იყო. ნააღრევი ჭალარა და მზისაწინააღმდე-ვო, სქელჩარჩინიანი სათვალე საქმიან იერს ადებდა მის უხეშნავთებიან, ტლანქ სახეს, მაგრამ საყმარისი იყო მო-ქსნა სათვალე, რომ მხოლოდ ჭალარა ვეღარაფერს აწყობდა და დაკვირვებუ-ლი თვალისათვის აშეარა ხდებოდა ამ სახის პატრიონის შინაგანი იმსუბუქება.

— ვა! შენც მოდიხარ? — წამოიძახა მან ძალიან ბოხი ხმით, როცა დაინახა გურამი და გაკვირვებისაგან წარბები შუბლზე ჩამოშლილი თმის ქვეშ შეე-მაღალა, მერე პირი ყურებამდე გადაეხსნა და ასე დარჩა, — მაშ, კაი დრო გვიტარები!

„ვითომ რატომ?!“ — გაიფიქრა გურა-მა და წამოსცდა:

— რა ვიცი, ვნახოთ.

გიორგიმ თვალი ჩაუკრა მას და ირო-ნიულად გაიღიმა, მერე ნახევრად მიბ-

რუნდა და ცერემონიულად წარუდგნა გურამი ელენეს, ექსპედიციის ხელმძღვა-ვანელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქე-ო-თმიან, გამხდარ ქალს. როგორც შემდეგ გამოირვა, იგი რუსეთში დაბადებული-და გაზრდილი ყოფილა, რასაც უშედე-გოდ არ ჩაუვლია მისთვის; სასაცილო ქცეუნტის მიუხედავად, ელენე არ ერ-იდებოდა ქართულად ლაპარაკს. მან უთ-ხრა გურამს, რომ თურმე ყველასთვის „დიდატ“ სასიამოვნო იყო გურამის მათ-თან „შეერტება“ და მას, ელენეს, თა-ვის მხრივ იმედი აქვს, რომ გურამიც „ქმახობილი“ დარჩება ექსპედიციით. გურამმა უნებურად შეაჩერა ყურადღე-ბა მის სიფრიფანა ტუჩებზე და თითქოს სევდიან, ნაცრისიფერ თვალებზე. და მხოლოდ მერელა შეამჩნია მაღალი, უწ-ვერულვაშო ყმაწვილი, რომელსაც უჭ-რედებანი ვიწრო შარვალი და სისხლის-ფერი ფართვაშა პერანგი ეცვა. ცალი წა-რბი ამაყად აზნექოდა მაღლა, მარცხენა ხელი მარჯვენის იღლიაში ამოედო, მარ-ჯვენა ხელი კი გურამისკენ ჰქონდა გამო-წვდილი. გურამი ძლიერ მიხვდა, რასაც ნიშანვდა ყმაწვილის ეს უცნაური პოზა. მათი ხელის ჩამორთმევა ლონეში შე-ჯიბრს უფრო წაგავდა, ვიდრე ჩვეულე-ბრივ მისალმებას. ამ ყმაწვილსაც თურ-მე ნუგზარი ერქვა და საქმაოდ ღონიე-რიც გამოლგა, რაშიც, მისი აზრით, გუ-რამს, ეტყობა, ეჭვი ეპარებოდა.

„პოო, — გაიფიქრა გურამმა, — ორი ნუგზარი, ეს უკვე დიდი ძალაა!“ — და გადაწყვიტა ერთმანეთისაგან განსასხვა-ვებლად ერთისთვის — „დიდი“, ხოლო მეორისთვის „პატარა“ ეწოდებინა. ვიდ-რე იგი ზურგსუქან ფარულად იხელ-და მოულოდნელად ნატკენ ხელის მტე-ვანს, მაიც დაბრუნდა. იგი, როგორც საღვარის უფროსის ქალიშვილის მეგო-ბარი, ბილეთების შესაძნად იყო გაგ-ზავნილი. სალაროვებან არც ისა გრძე-ლი რიგი იდგა, მაგრამ რატომ არ უნდა ისარგებლო კაცმა ნაცნობობით, თუკი ამის საშუალება გაქვს?

მაიას თეთრი კაბა ეცვა, თავზეც თეთ-რი ნაჭერი ჰქონდა გადაყრული. ასეთ-

ფონზე მისი დიდი, ცისფერი თვალები კიდევ უფრო შესამჩნევად გამოირჩეოდნენ, ვიდრე ყოველთვის.

— ესეც ასე! — თქვა მან ქმაყოფილი ღომილით, როცა ბილეთები ჩამოარიგა, — ზედა და ქვედა აღვილების გარჩევა ახლა არ არის სპეირო. ცხადია, ზემოთ ჩენი რაინდები აძვრებიან, არა?

— რა თქმა უნდა! — დაიგუგუნა დიდა ნუგზარმა და პირი ისევ ყურებამდე გადაეხსნა.

— აბა რა!

— ცხადია! — აყაყანდნენ დანარჩენი „რაინდებიც“ და მხოლოდ პატარა ნუგზარის ხმაში არ იგრძნობოდა იმ შეთანხმებით გამოწვეული აღტაცება და ენტუზიაზმი.

„ამ ყმაწვილს, როგორც ჩანს, „ზრდა“ ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია“, — გაიფიქრა გურამმა და თავისი ბილეთი ფრთხილად შეინახა ჭიდებში.

ამასობაში დიდ ნუგზარს, მისივე თქმით, „გენიალური იდეა“ დაებადა.

— ...ჰა? — აგუგუნდა იგი, — მგზავრობის წინ თითო ჭიქა არ უნდა დავლიოთ! მოღით, წავიდეთ სადმე და ერთად... — პატარა ნუგზარს უკვე თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ აქ ნანა ჩერია და თავისი მეუღლის „გენიალური“ წამოწყება სასწავლოდ ჩაშალა:

— მოიცა რა, ნუგზარ! რა დროს ეგარის, ათასი საქმე გვაქვს!

მას მაიამაც მხარი დაუჭირა:

— რა გეჩეარებათ, კიდევ მოასწრებთ!

რა გაეწყობათ, მხრები აიჩეხა დიდმა ნუგზარმა და ყველანი ერთმანეთს დაემშეიღობნენ. გურამი კვლავ მარტო დარჩია.

იყო შუადღე, საღამოდე კი, როცა მათი მატარებელი გადიოდა, გურამს არაფერი საქმე აღარ ჰქონდა და იგი აუჩემარებლად გაუყვა ახლადმორწყულ, მზეზე აღაპლაპებულ ხალხმრავალ ჭუჩას.

დიდხანს იხეტიალა ქალაქში, უხაროდა, რომ ტოვებდა აქაურობას და იმავე დროს გრძნობდა, როგორ ეძნელებოდა მასთან განშორება.

აღარ იქნა და აღარ მოსაღამოვდა.

უფრო დროის მოსაკლავად, ვიღრე სავახშიროდ, გურამმა სახინჯლეში ჩაუხდეს სადაც ჩვეულებრივი სიცხე, პილუტის ცხარე სუნ და აყალმაყალი დახვდა. წამოწილებულ სახეებს შორის გურამმა რამდენიმე შორეულ ნაცნობს მოჰკრა თვალი. ისინი უკვე საქმიაღ შეზარხოშებულიყვნენ და ამიტომ თუ სცნეს საჭიროდ გურამის მიპატიუება და მასთან გულითადი საუბრის გამბა. რატომღაც ესიამოვნა ნახევრადნაცნობთა შორის დგომა, უფრო მეტად კი — ცივი და გემრიელი ლუდის სმა; ლუდი ნელ-ნელი და ოდნავ ათრობდა და მალე ლაპარაკის გუნებაზეც კი მოიყვანა. დამხვდურნი შესანიშნავი მსმენელები გამოღვნენ და გურამის ყოველ ნათქვამს ბევრად უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე ის იმსახურებდა სინამდვილეში. მის უფერულ ზუმრობაზეც კი დიდხანს და ხმასალა ხარხარებდნენ. რამდენიმე ახალი ანეკდოტის მოყოლის შემდეგ, რამაც თვითონაც გაამხიარულა, გურამმა უმშობრო მათ, თუ სად მიემგზავრებოდა ორიოდე სათასის შემდეგ. ამ ცნობამ მის მსმენელებში ისეთი გამოცოცხლება აღარ გამოწვია, როგორსაც მოელოდა და ამიტომ მან უფრო მომხიბლავადა და დაწყრილებით აღწერა აღგილი, რომელზეც თვითონვე არავითარი წარმოღვენა არ ჰქონდა. თუმცა სხვებზე არც ამას მოუხდენა სასულევლი შთაბეჭდილება, მაგრამ თვითონ კი დაუჭერა საკუთარ მონაგონს და მომავალი მგზავრობის მოლოდინმა უფრო აღაგზნონ და ააღელვა. ეს შეგრძნება ბევრად სასიმოვნო იყო, ვიდრე ლუდით ან სხვა რომელიმე სასმელით თრობა და რომ იგი არ გაჰქიმობდა, გურამი ჭურდულად გამოიპარა სახინჯლედან. ამ საქმიაღ უზრდელურმა საქციელმა გურამს მარტლაც უშველად მოლოდინი გაუმართლა: სასიამოვნო მღლელვარება არმცულ არ გაჰქირა, უფრო გაძლიერდა და, როცა პატარა ჩემოღლით ხელში (რამაც შეაღინა მთელი მისი საზაფხულო ავლა-დიღება) გურამი საღვრის ყვითელ და უშინ შენობას უახლოვდებოდა, მისი განწყობილება საყ-

ვარელ ქალთან შესახვედრად მიმავალ ახალგაზრდას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე სამგზავროდ გამზადებულ ადამიანს.

### III

ადგილი, რომელსაც „კეთილი იმედის კონცხი“ — ეს რომანტიკული და მიმზიდველი სახელი ერქვა, რეინიგზიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა, სამანქანო ვზა კი ჩიხთ თავდებოდა, რის გამოც აქაურობა მყუდრო ადგილის შთაბეჭდილებას ტოვებდა და თითქოს რაღაც დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა. იგი შედგებოდა ერთი სანატორიუმისაგან (რომელიც საერთაშორისო მასშტაბისა ყოფილა და მთლიანად უცხოელების — ამჯერად უმტესად გრძმანელების — განკარგულებაში იყო) და მის გარშემო განლაგებული პატარა ერთსართულიანი სახლებისაგან. ამ სახლებში ძირითადად სანატორიუმის მომსახურე პერსონალი ცხოვრობდა, ზოგში კი კერძო პანსიონატები იყო გახსნილი. თვით სანატორიუმი სუბტროპიკული მცენარეებით დაბურულ პარქში უწესრიგოდ გაფანტული ორსართულიანი თეთრი კოტეჯებისა და ერთი მთავარი კორპუსისაგან შედგებოდა. პარქს რეინის მაღალი ღობე ჰქონდა შემოვლებული, ერთადერთი ჭიშკრით ზღვისაჟენ. ჭიშკრიდან პლაზამდე მაგნოლიების ხეივანი იყო გაშენებული და ქვის მაღალსაფეხურებიანი ფართო კიბე ჩადიოდა. ეს ღობეც, ხეივანიცა და კიბეც კეთილი იმედის კონცხის ბინადართ ორ ნაწილად ჰყოფდა — დამსვენებლებად და ადგილობრივ მოსახლეობად ანუ არადამსვენებლებად. გურამი და მისი ამხანაგები, ცხადია, ამ უკანასკნელ ნაწილს ეკუთვნონდნენ და არა მარტო იმის გამო, რომ „ღობის გარეთ“, ერთ-ერთ კერძო პანსიონატში მოუნდათ დაბინავება, არამედ იმიტომაც, რომ დასვენება არც ყოფილა მათი აქ ჩამოსვლის მიზანი.

უძვე ერთი კვირა გასულიყო, რაც ისინი აქ იყვნენ. ასეთ ადგილის კი ეს საკმარისი ღრრთა იმისათვის, რომ კარგად გაიცნო თუნდაც სრულიად უცნობი ადა-

მიანი. ქალაქებარეთ ერთად ყოფილი სწრაფად ხდება ხოლმე შესამჩრდილებელი ცის ცუდიცა და კაზგი თვისებებზეც, მაგრა თქოს თვისეთავად კრისტალდება ხასიათები და ადვილად ყალბდება უშეცდომ შეხედულება ამა თუ იმ ადამიანზე. გურამს უხაროდა, რომ იგი შორის შეკრებელი გამოდგა და მისმა პროგნოზებმა ამ ხნის განმავლობაში თითქმის არავითარი ცვლილებები არ განიცადა.

ეს ღრრთ საკმარისი გამოდგა იმისთვისაც, რომ ექსპედიციას მტკიცებ შემუშავებოდა დღის რეერმი, რომელმაც უქვე მეოთხე თუ მეხუთე დღეს მთლიანად ჩაითრია გურამიც: აღრე ადგომა — ეს აუცილებელი პირობა ყოველგვარი საქმის წარმატებისათვის; რაც შეიძლება მცირე ღრროს დახარვება დიღის ტულეტსა და საუზმებზე; სწრაფად მისვლა უშუალოდ სამუშაო აბიექტზე; დინგი და დაკვირვებული მუშაობა ხელსაყრელი ანუ მშრალი ამინდის მაქსიმალური გამოყენებით, და ბოლოს — დარჩენილ თავისუფალ ღრრში — ე. წ. აქტიური დასვენება. აი ყოველივე ის, რამაც გურამი ასე მაღლე გამოთიშა თავისი აღრინდელი, ჩვეულებრივი ცხოვრებისგან და რამაც თითქმის სრულიად დაავიწყა ფერი და „გარედან დაკვირვება“ თავის თავშე.

აღრე ადგომა მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ეს სასახავებლო ჩვევა დიღი ხნის გამომუშავებული ჰქონდა. ამიტომაც, ყოველ დიღა, ვიდრე დანარჩენებიც გაიღვიძებდნენ და ადგებოდნენ, იგი კილომეტრამდე მანძილის გაცურვას ასწრებდა ჯერ კიდევ გრილსა და სრულიად ცარიელ, წყნარ ზღვაში. პანსიონატი ასილდე ნაბიჯით იყო დაშორებული წყლიდან. გურამს შეუდარებელ სიამოვნებას ჰყერიდა ლოგინიდან ჩაუცმელად წამოხტომა, სწრაფად ჩაბენა ზღვამდე და სირბილიდან შეუჩერებლად გადასვლა ცურვაზე. მშე თითქოს მას უცდიდა და არ ამოღილდა. სოსანი ნისლი გაწოლილი ხვდებოდა ზღვაზე, თითქოს ეძინა და ნაცრისფერ, უძრავ წყალთან ერთად მი-

სი გარღვევა და გაღვიძება დიდ სიხარულს აშენებდა გურამს. როცა უკან ბრუნდებოდა, მხოლოდ მაშინდა მწვანებოდა და ზყალი და ხდებოდა გამჭვირვალე; მისი ზედაპირი თვალისმომჭრელად იწყებდა ლაპლას ამომავალი მზის სხივებზე და გურამი ძლივებდით არჩევდა ნაპირზე გამოსულ ხალხში თავის ნაცნობებს.

— გურამია ისევ აგვასწრო ყველას! — იტყოდა ნანა, როცა გაიხდიდა კაბას და რეზინის ლურჯ ქუდს ჩამოიფხატავდა თავზე.

დიდი ნუგზარი, როგორც რაღაც ქვირფას ნივთს, ისე შეავლებდა თვალს ცოლის ლამაზ სხეულს, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებდა ყვითელი საცურაო ტანსაცმელი, მერე სასაცილოდ გმომშენდულებოდა ზღვისენ და, ნაპირთან ახლოს, კამეჩივით ჩაწევებოდა წყალში. ცურვასთან იგი ცოტა უკაცრავად იყო, რაშიც, თუმც თვითონ არ ტყებოდა. დარწმუნება მაინც მაინც ძნელი არ იყო. ნანა დამცინავად გადახედავდა მას, მერე გამორბოდა და თთქოს წაიქცაო, ისე ვარდებოდა წყალში.

— შორს არ გახვიდე! — უბრძანებდა ქმარი და ნანაც პირნათლად ასრულებდა ამ ბრძანებას.

საუცხოოდ ცურავდა პატარა ნუგზარი. ნაპირზე ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ, რაც ამავე დროს მისი კუნთების დემონსტრაციასაც წარმოადგენდა, სიჩბილით შევარდებოდა წყალში, მკლავის რამდენიმე ლონიერ მოსმით გაუსწრებდა ნანას და გურამაძლეც მალე მიაღწევდა ხოლმე.

— ვა! უკვე ბრუნდები? — გამომწვევად ჰკითხავდა იგი გურამს, რაც ნიშნავდა, რომ ვაკეაცს ეს არ ეკარდებოდა, და განაგრძობდა სიღრმისკენ ცურვას.

ამასობაში გიორგი აუჩქარებლად გაცურავდა ოჩასიოდე მეტრს, ისევე აუჩქარებლად დაბრუნდებოდა უკან და დიდხასს იმშალებდა ტანს თავისა დიდი, ბანჯველიანი პირსახოცით, ურომლისოდაც აჩასოდეს გამოლიოდა ზღვზე, სიცხეშიც კი. იგიც საქმაოდ კარგად ცურა-

ვდა, მაგრამ დილაობით მეტის ზაფრუ /  
ვა საჭიროდ არ მიაჩნდა და არცაცლება  
პილეობითია.

ელენე და მაია ჩაცმულები ისხდნენ ნაპირზე. მაია პირველივე დღეს გაციფდა და სურდო აქამდე ვერ მოეშორებინა, ელენე კი საერთოდ არ ბანობდა, მხოლოდ ფეხებს ისველებდა წყალში და ამით სავსებით ქმაყოფილი, მთელ დილას ნაპირზე ჯდომასა და ჰქონის დარიგებას ანდომებდა.

— ნუგზარ! — გასძახოდა იგი პატარა ნუგზარს, — გეხობა! ნუ მიდიასა ასე შორს! დაიგლები!

ან არადა ნანას უყვიროდა:

— ნანა! ცხალი ცივია! შენც მაიასავიტ გაციფდები! დაბრუნდი! ხო ხედავ, გორგი უკვე დაბრუნდა!

მაგრამ ნანა უყრსაც არ უგდებდა მას და იქამდე არ ჩერდებოდა, ვიდრე გურამს არ უსწორდებოდა. ისინი ღმილით ესალმებოდნენ ერთმანეთს და გურამს მხოლოდ წყალი შველოდა, რომ ნანა მიერ ვითომდაც ხუმრობით ნათქვამ კომპლიმენტებს არ გაეწითლებინა. „ვითომდაც“ იმიტომ, რომ ნანას სახე, ხმის უღრადობა, და რაც მთავარია, თვით გურამის ინტუიცია, უტყუარად არწმუნებდა მას ნანას ყოველი სიტყვის ცუდად დაფარულ გულწრფელობაში.

— თქვენ ისევ ყველას აგვასწარით, ბატონო მწერალო! მე დაგინახეთ რამსი შორეზეც იყავით გასული. არ შიშიბთ, რომ თქვენი გეგმები განუხორციელებელი დაგრეხეთ? თქვენზე ისეთ დიდ იმედებს ვამყარებთ, რომ აღარც კი ვაქვთ უფლება თქვენს ნებაზე მოეცყრათ თქვენს თავს! ნახეთ, როგორ უფრთხილებიან სხვები თავიათ ძეირფას პერსონებს...

— დაებრუნდეთ, უკვე საუზმის დროა, — აწყვეტინებდა გურამი, რათა სიტყვა ბაზზე აეგდო და ისინი მართლაც ბრუნდებოდნენ ნაპირისკენ, მაგრამ ნანა მაინც არ ცხრებოდა:

— ი! რა სანაქებო თავმდაბლობა! სხვა თქვენს ადგილას უკან დაიწყობდა ხელებს და მაღლა თავაწეული... — მხო-

ლოდ ნაპირთან მიახლოება აიძულებდა მას გაჩიტებულიყო და გურამიც თავი-სულად ამოისუნთქვდა; თუმცა ზოგჯერ ნანა სხვების თანდასწრებითაც ბე-დავდა მას ქება-დიდებას.

წყლიდნ გამოსვლისას გურამი სათი-თაოდ ესალმებოდა ყველას, შეგნებუ-ლად არიდებდა თვალს მაიას თითქოს ეჭვიანსა და ნალვლიან მზერას, რომლის-თვისაც მას, გურამის აზრით, არავითა-რი საფუძველი არ ჰქონდა, და კიდევ ერ-თხელ უხდებოდა პატარა-პატარა, დაუმ-სახურებელი კომპლიმენტების მოსმენა უკვე სხვებისგანაც.

— დღეს რამდენი დაურტყი? — სახე-გაბადრული ეკითხებოდა დიდი ნუგზა-რი, რომელსაც, როგორც ჩანს, ეჭვიანო-ბის ნატამალიც კი არ გააჩნდა, — კილო-მეტრი?

— არა მეონია, — თითქოს თავს იმარ-თლებდა გურამი, — ალბათ ნაკლები.

— კველი უნდა მიბაძოტ გურამს! — ამბობდა ელენე, — ადრე დგება, კველ-პერს ასცრებს, არაპერი არ ეზარება, აი მესმის!

გურამმა არ იცოდა ეჩევნებოდა თუ არა, მაგრამ მაია თითქოს სიამაყით ივსე-ბოდა მის მაგივრად და თვალები მხია-რულად უწყებდნენ ციმიტს. გოორგი შეოლოდ ერთი წამით გაილიმებდა და გა-მოაჩნდა თეორად ჩაწიკშიერებულ კბი-ლებს, ხოლო მისგან უკეთესი „შექება“ არც იყო მოსალოდნელი.

გურამს დღითიდლე უფრო და უფრო უჭირდა ექსპედიციის წევრთა ერთსუ-ლოვან სიმპათიების მძიმე ტეირთის ტარება და ამიტომაც პატარა ნუგზარის მუდამ დამცინავი და ჯიბრიანი დამოკი-დებულება თავისაღმი სრულებით არ აღიზიანებდა, პირიქით, თითქოს უწონა-სწორებდა სულის დარღვეულ სიმშვი-დეს. ახლაც, პატარა ნუგზარი თუმც შორს იყო ნაპირიდან და სულაც არ ეხ-ებოდა გურამს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ სწორედ ამ შორსყოფნით იწვევდა და ეჭიბრებოდა მას. გურამი გასცემრი-და ზღვას და მხოლოდ ელიმებოდა ნუგ-ზარის ამ ბავშვური საქციელის გამო.

ბოლოსდაბოლოს პატარა ნუგზარებ-ბრუნდებოდა უკან, ვითომდა დარცხვე-ნილი ღიმილით ისმენდა ელენეს და უკან დურებს თავისი უდისციპლინობის გამო და აშეკარად ეტყობოდა, რა ემაყოფილიც იყო სინამდვილეში იმთე, რომ რაღაცით გამოირჩეოდა დანარჩენებისგან. ამის შემდეგ ყველანი ერთად ბრუნდებოდნენ შინ, სადაც ეზოში, ლეღვის ხისქევეშ მო-წყობილ გრძელ სასალილო მაგიდაზე, უკვე ელოდათ ცხელი ჩაი და ნოყიერი საუზმე.

„კვება“ პანიონატის დაუწერელი კა-ნონების ერთ-ერთ უმთავრეს მუხლს შე-ადგენდა და მას პირნათლად ასრულებ-ლენ მასპინძლები — მოხუცი დიასხ-ლისი და მისი ორი ქვრივი რაძლი. ისინი მორიგეობით ემსახურებოდნენ თავიანთ მდგმურებსაც და სანატორიუმის უც-ხოელ დამსვენებლებსაც. ყოველი სადი-ლის დესერტს, გარდა კომპორტისა ან თათარასი, წარმოადგენდა აგრეთვე მდგმურებისა და დამსვენებლების საქ-ციელისა და ჩვევების შედარება და, რო-გორც წესი, უპირატესობა მუდამ მდგმურებს ენჭებოდათ. ეს იმიტომ რომ (თუ მასპინძლთა ნათევებს დიპ-ლომატიურ სიცრუედ არ მივიჩნევთ და დავუკურებთ) მდგმურები ჭამის დროს არ ხმაურობდნენ, საუზმის დაგვანების შემთხვევაში არ ჩხუბობდნენ, არაფერს იწუნებდნენ და, — რაც მთავარია, — სუფრას ადამიანურად ჩაცმულები უს-ხდენ ყოველთვის.

ასე თუ ისე, თავდებოდა საუზმეც და იწყებოდა დღის საქმიანი ნაწილი.

ექსპედიციის უშუალო სამუშაო ობი-ეგტს წარმოადგენდა კლდოვანი კონცხი, რომელიც სავარცხლის კბილებივით გან-ლაგებულ სხვა კონცხებს შორის ყველა-ზე მოზრდილიც იყო და სხვებზე უფრო ღრმად შეჭრილიც ზღვაში. კურორტის მომხიბლავ სახელწოდებას ეტყობა სწო-რედ ამ ლამზზი კლდის არსებობა დასდე-ბოდა საფუძვლად.

კონცხების მწრიერი სანატორიუმიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით იწ-ყებოდა და გრძელდებოდა ნაპირის გას-

წვრიებ, შორს, პორიზონტამდე. მთავარი კონცხი დასაწყისიდან რიგით მეხუთე იყო. ყველ ორ მეზობელ კონცხს შორის ნახევარმთვარის ფორმის ქვიშიანი პლაჟები შეექმნა ზღვას. ეს იყო ერთმანეთისგან კუპებივით გამოყოფილი მყუდრო აღგილები, რომლებიც თთქოსდა საგანგებოდ წყვილების განმარტოებისთვის მოწყო ბუნებას. სამი მხრიდან მათ ფარავდა კლდოვანი ნაპირი, მეოთხედან კი — ზღვა.

მცირე დელვის დროსაც კი კონცხები თეთრად ამსხვერდნენ ტალღებს და მათ სახლოეს პაერში შუდამ წყლის უშმინდესი მტვერი, უამრავი ცისარტყელა და ზღვის გაბმული, ექოდეცეული გუგუნი იდგა. მხოლოდ სრულიად წყნარ ამინდში შეეძლო კაცს წყალდაწყალ შემოვლო ფეხით კონცხისთვის და ერთი „კუპებიდან“ მეორეში გადასულიყო. თუ არა და სველ კლდეზე ცოცა იყო საჭირო, რაც არც ისე სასიამოვნო და ადვილი გახლდათ. ამიტომაც გურამი და მისი ამხანაგები ჩქარობდნენ დილაობით აღვილუჟ მისვლას, ვიდრე ზღვას ჯერ კიდევ ეძინა და არ ინძროდა. ზურგჩანთებითა და გრძელტარიანი ჩაქუჩებით შეიარაღებულთ, მათ ძალაუნებურად უცხოელების პლაჟის გასწრივ უნდა გაევლოთ და ეს პირველ ხანებში ფრიად უსიამოვნო პრიოცედურა წარმოადგენდა. მათი უცნაური, „არაკურორტული“ ჩაცმულობა, საველ ჩანთები და ჩაქუჩები, რაც შეუძლებელი იყო თვალში არ სცემოდა ზღვის პირას უდარდელად გაშელართულ აღმიანს, ცხადია, იძყრობდა უცხოელთა ყურადღებას და ეს ბევრად უფრო ძნელი ასატანი იყო გურამისთვის, ვიდრე მშე, რომელიც დილიდან დაუნდობლადა და ცხარედ იყბინებოდა.

— აბა, მოვემზადოთ ილლუმისათვის! — იტყოდა ნანა, როცა უცხოელებით მოფენილ ნაპირს უახლოვდებოდნენ, და თუმცა კი ყველანი ცდილობდნენ ბუნებრივადა და ძალაუტანებლად სკერდათ თავი, ილიმებოდნენ კიდევაც, მაგრამ გურამი დარწმუნებული იყო,

რომ ისევე, როგორც თვითონ, დაწარჩენებიც შინაგანად იბოჭებოდნენ, თვითქოსდა რაღაც მნიშვნელოვანი გამოცდის პატივშე ემზადებოდნენ და იქრებდნენ გამბედაობას.

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე, რას შემდეგაც უცხოელებს, ეტყობა, მობეზრდათ მათი თვალიერება და აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ფრენბურთის თამაშიც კა აღარ წყდებოდა მათი გამოჩენისას. ახლა როლები შეიცვალა და უკვე გეოლოგებს გაუჩნდათ შესაძლებლობა უცხოელი დამსვენებლების მოურიდებელი დათვალიერებისა, ხოლო რადგან ცნობისმოყვარეობა ძნელად დასაძლევი ნაკლია კაცისა, ამიტომაც მათ არ დააყოვნეს ამ შესაძლებლობის გამოყენება და ერთგვარი სამაგიერო გადაუხადეს უცხოელებს. დიდად საინტერესო ვერაფერი იხილეს მათმა თვალებმა. უცხოელები სრულიად ჩვეულებრივი აღამიანები აღმოჩნდნენ და ისევე ატარებდნენ დროს ზღვაშიც და ნაპირზეც, როგორც ყველა. ზოგი ცურავდა, ზოგი — ფრენბურთს თამაშობდა, ზოგიც უბრალოდ მზეზე იწვა და შავდებოდა. იყო რამდენიმე კაცი, რომელიც წიგნს კითხულობდა. ცურვის უცოდინარიც კი იღმოჩნდნენ და დიდი ნუგზარის მსავასად ნაპირთან ახლოს, თავთხელ წყალში ჭყუშმალაობდნენ ბავშვებივით. იყვნენ ლამაზებიცა და ულამაზონიც, სიმბათიურნიცა და ანტიპათიურნიც, ერთი სიტყვით, კრელ-ჭრული საბანაო ტანსაცმლის მიუხედავად დამსვენებელთა საერთო მასა საკმოდ ჩვეულებრივი და ერთფეროვანი გამოდგა და რამე განსაკუთრებულ უცხოდებას არც იმსახურებდა. მხოლოდ რამდენიმე ტიპი გამოიჩინოდა. გურამმა პირველივე დღიდან შეამჩნია და დაიხსომა ისინი.

ერთი იყო ტიპიური გერმანული გარეგნობის ქალიშვილი, რომელიც შესანიშნავი ბრასთ ცურავდა, თან ნაცრისფერი თვალები და ორ მეტრამდე სიმაღლე ჰქონდა; შეუძლებელია არ შენიშვნო ასეთი აღმიანი. მეორე ყველაზე საინტერესო ტიპი ჩანდა. მას პატარა, წევეტიანი

წვერი ჰქონდა, განუწყვეტლივ აბოლებდა ჩიბუხს, მუდამ ერთსა და იმავე კუნძული იქდა და ერთი და იყივე უცნაური საქმით იყო გართული: დაიჭერდა მარცხენა ხელში მუყაოსაგან გამოჭრილ პატარა ბუმერანგს, გაპრავდა მარჯვენათი წკიპურტს და ყურადღებით გააყოლებდა თვალს მის ფრენას. ბუმერანგი მცირე წრეს მოხაზავდა ჰაერში და მორჩილად დაუბრუნდებოდა პატრიოს. იგი იჭერდა ბუმერანგს, ცოტა ხანს ჩაფიქრდებოდა და მერე პატარა ჩინირით, ქვიშაზე რაღაც გაუვეგბარ იყროგლიფებს ჭაბნიდა. ეს იყო ერთადერთი ადამიანი მთელ ამ ნაპირზე, რომელმაც ზურგჩანთებან და ჩაქუჩებიან ხალხს თავიდანვე არავითარი ყურადღება არ მიაცია. ის ან გიყი იყო და რაღაც „პერაპენტუმ მობილუს“ მაგვარ პრობლემაზე მუშაობდა, ან — დიდი სწავლული, რომელიც აქაც კი არ კარგვადა ღროს და მართლაც რამე სერიოზულ და საინტერესო ექსპერიმენტს თუ ატარებდა. გურამშა მას „არ-ქიმედე“ შეაჩევა და ყველაც მოიწონა ეს მართლაც შესაფერი მეტსახელი.

მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ლირუსებანიშნავი ადამიანი იმდენ ხალხში — ნამდვილად ცოტაა. ამიტომაც გურამისაც და მის ამხანაგებსაც მალე მობეჭრიდა უცხოელთა თვალიერება და აქ გავლა ისეთივე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მათვის, როგორც, ვთქვათ, დილას ადგმა და პირის დაბანა. ერთადერთი, რასაც გურამი დიდხანს ვერ შეეჩია და რისადმიც ვერაფრით განეწყო გულგრილად, ეს იყო ამ პლაյის მრავალენიანობა. მის სმენამდე უნებურად აღწევდა ცალკეული ფრაზები ხან ინგლისურ, ხან ფრანგულ, უფრო ხშირად გერმანულ ენაზე, ერთი-ორჯერ იტალიურსაც კი მოპერა ყური. იგი გრძნობდა სინანულსა და სირცევილს იმის გამო, რომ არც ერთი უცხო ენა არ იცოდა ისე, როგორც საჭირო იყო. ამ უსიამოვნო გრძნობებს ოდნავ უმსუბუქებდა იმის გახსენება, რომ თავის უმეტებაში მხოლოდ თვითონ არ მიუძღვოდა ბრალი. ამაში ომიც იყო დამნაშავე, ისევე, როგორც

ბევრ სხვა რამეში. გურამის შეშეღუბს აუცილებელ საჭიროებად მიაჩინდა თუნდაც ერთი უცხო ენის ცოლზე დამზადებან ვას პატარობიდანვე აუყვანეს მას-წავლებელი — გერმანელი ქალი, რომელსაც გურამი „ტანტე ზიგრიტს“ ეძახდა და ძალია უყვარდა იგი. „ტანტე ზიგრიტ“ ყოველდღე დადიოდა მათთან რამდენიმე საათით და გარდა ენისა, სხვა სასარგებლო რაღაცებსაც პწავლიდა გურამს.

მერე დაწყო ომი და მასთან ერთად უამრავი უბედურებაც გურამის ცხოვრებაში: მამა პირველსავე დღეებში დაიღუპა, დედამ ვერ გადაიტანა ეს უბედურება. გურამი დაობლდა. მიუხედავად ამისა „ტანტე ზიგრიტ“ განაგრძობდა მასთან სიარულსა და ენის სწავლებას, ცხადია — უსასყიდლოდ, რადგან ხელმოკლე ნათესავებს, რომლებმაც გურამი შეიყვალეს, სწავლის საფასურის გადახდა არ შეეძლოთ. სულ მალე „ტანტე ზიგრიტ“ სადღაც შორს გადავიდა საცხოვრებლად.

მას შემდეგ გურამს ალარაფერი გაუგია ამ კეთილშობილ ადამიანზე და მისი გერმანულის სწავლაც ასე უდროოდ შეწყდა. დიდი ხარევზის შემდეგ განახლებულმა დამოუკიდებელმა ცდებმა სასურველი ნაკოფი ველაზ გამოილო და ამიტომ იყო, რომ ახლა მხოლოდ შიგდაშიგ თუ გაიგებდა შემთხვევით ყურმოკრული ფრაზის მნიშვნელობას.

გასცდებოლნენ თუ არა გურამი და მისი ამხანაგები დამსევნებლებით მოფენილ ნაპირს და კლდოვან კონცებს მიუახლოვდებოლნენ, დაბარებულივით გამოჩნდებოდა ჰაერში კალიასავით აფრენილი პატარა ვერტმფრენი, რომლის რეისების კუსი, როგორც ჩანს, მუდმივი იყო და სწორედ ამ ადგილებში გადიოდა. მისი ჩუმი რაკრაკი თანდათან ძლიერდებოდა, გადაიფრენდა და შემდეგ სრული სიჩქმე ისადგურებდა ირგვლივ; მას მხოლოდ ზღვის სუნთქვის ჭერ კიდევ წყნარი და სუსტი ხმები არღვევდა.

— უჲ! არ დაისვენა ყურებმ! — იტყოდა ნანა და შორსმყოფ უცხოელებს ხუმრობით მუშტს მოულერებდა.

ყველანი მცირე ხნით შეისვენებდნენ და გაპედავდნენ მაგნოლიებში ჩამალულ თეთრ კოტეფებს, გამოყლილ გზასა და ფუტქრის სკასავით მოზუზუნე ნაპირს.

— ნამდვილი ბაბილონის გოდოლია! — იტყოდა მაია და თითქოს გაუბედავად გაულიმებდა გურამს.

— გოდორია თუ არა, არ ვიცი, მაგრამ კა გოგოები კი ყრია შიგა! — დაიგუშენებდა ღიძი ნუგზარი და თავისი ენამახვილობით ქმაყოფილი გადაიხარხარებდა. მერე იქით-აქეთ გაიქნევდა თავს, — აფსუს! რა დროს არა გვცალია! პა?

დაბღვერილ სახეზე პატარა ნუგზარს ნათლად ეტყობოდა, რომ მართლა ნანობდა მოუცლელობას. ელენე სერიოზულად აღშფოთდებოდა:

— აბა, მიტხარიტ, რომელი ჭობდა ან ნანას, ან მაიას? ოჲ, ოჲ! პირდაპირ მოსაკლავები ხარტ ეს კარტველი ბიჩები!

— იი! მეხი კი დაგაყარე მაგ ჭალარაზე! — მიაძიხებდა ქმარს ნანა და ქოქოლასაც არ ივიწყებდა, მერე გურამს გაულიმებდა და თვალს ჩაუკრავდა.

გურამი თავის დასახრელად ვითომ კისერს მოიფანდა და ფარულად შეხდავდა მაიას, რომელიც ელენეს ნათვამით ქმაყოფილი და ოდნავ დარტკენილი იღიმებოდა. გიორგი ხმას არ იღებდა და ამაყად წარბაზეული გასცეროდა ზღვას.

— აბა, გვეხმა დასვენება! ცავილეტ! — იტყოდა ბოლოს ელენე.

ქვიშაზე სიარული ძნელი იყო და მცირე მანძილის გავლა ბევრად მეტ ენერგიას მოითხოვდა, ვიდრე მიწაზე. მიტომაც ყველანი ერთგვარ შვებას გრძნობდნენ, როცა ფეხევეშ კლლოვან ქარაფების უსწორმასწორო, მაგრამ მცერივ ზედაპირს დაიგულებდნენ. მი ადგილს იხდიდნენ ფეხსაცმელებს და წყალდაწყალ განაგრძობდნენ სვლას. შემოუცლილენ პირველ კონცხს და კლლეებში შეკრილ წყნარ, ქვიშიან „კუპეში“ აღმოჩნდებოდნენ. სამწუხაორი, სწრაფად უხდებოდათ ამ მშვენიერა ყურეს გავლა, რადგანაც აქ აუცილებლად ხედებოდათ სულ ცოტა ორი-სამი წყვილი მაინც. საოცარი



ის იყო, რომ გურამისა და მის მძინადებელი როცა სამუშაოდ მიმავალი ხალხის უფროს ტურ ფრესკებსა და ბარელიეფებზე გამოსახული ღმერთებივითა და ფარაონებივით გვერდულად ჩაუვლიდნენ ხოლმე ამ წყვილებს (ნაპირისაცენ ზურგითა და პირით ზღვისაცენ), ისინა აულელვებლად განაგრძობდნენ ბლლარძოს. გურამის ყურადღებას არ ეპარებოდა არც პატარა ნუგზარის აღგზებული მზერა და ელენეს წითლად შეფაქლული ღაწვები, არც გიორგის მკაცრი და აღშფოთებული გამმეტყველება და ნანას ირონიული ღიმილი, არც მისი მეულის უნებურად დაცემეტილი, ღიძი ყურები და, თუ გურამს არ ეჩვერებოდა, მხოლოდ მაიას სახეზე ხედავდა ამ ზიზლნარევ გაოცებას, რომელიც რატომლაც ძალიან უნდოდა რომ დაენახა.

მეორე და მესამე „კუპეში“, პირველთან შედარებით, „მორალური სიწმინდე“ სუფევდა. ეტყობა აქამდე მოსვლით თავს აღარავინ იშუხებდა და გეოლოგებიც თავისუფლად ამინისუნთქავდნენ ხოლმე. ამით გადალახული იყო ყველა მოსალოდნელი დაბრკოლება გზაზე და ჯუფიც თავის სამუშაო აღგილს აღწევდა.

მიუხედავად თავისი „გეოლოგიური წარსულისა“, გურამს რამდენიმე ღლე ღლაშირდა, ვიდრე გაიგებდა, თუ რა საჭირო იყო მდგრადი ღრო და ამდენი ხალხი ერთადერთი კონცხის გეოლოგიური ისტორიისა და აგებულების გამოსავალევად. როგორც გამოირკვა, ასაკი იმ ქნებისა, რომლებითაც იყო აგებული კონცხების ეს მთელი სისტემა, მეცნიერთა უკვე რამდენიმე თაობის უურადებისა და შეუნელებელი დავის საგანს წარმოადგენდა. და თუმცა მი დავის გადაწყვეტილ მაინცდამაინც ღიძი პრაქტიკული შედეგები არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ თეორიულად კი, წარმატების შემთხვევაში, მკვლევარებს ფრიად მისიშვენელოვან ფაქტონ ექნებოდათ საქმე, რაც თურმე რამდენიმე საფისერტაციო შრომით უნდა დაგვირცხვინებულიყო (ჩვენ

განზრას არ ვცდილობთ უფრო ღრმად ჩავაწერდინოთ მეითხველი ამ სამუშაოთა აჩსა და მიზნებს, რადგან, ჭერ ერთი, თვითონ გურამიც ვერ გარკვეულიყონ ნათლად ყველაფერში, და მეორეც ისა, რომ თუკი ეს საქმე პრატიკულად დადი ყურადღების ღირსი არ ყოფილა, მით უმეტეს ჩევნი ამბისთვის მას სულაც არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს).

ერთი სიტყვით, კეთილი იმედის კონცხს მთელი ოვთი დაეპატრონა გეოლოგიური ექსპედიცია და მისი ტერიტორია შემდეგნარად დანაწილდა: უკელაზე ქვედა შერები, რომლებიც ბუნებრივად შედგულადგული რიყის ქვებისაგან შედგებოდა (რასაც გეოლოგები „კონგლომერატს“ უწოდებენ) წილად წელა ელენეს და ე. ი. პატარა ნუგზარსაც, როგორც მის თანაშემწეს ანუ „კოლექტორს“. გურამს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა პატარა ნუგზარის მოვალეობათა არსეც, რაც შემდეგში მდგომარეობდა: ქვისმთლელივით ჩაქუჩითა და სატეხით შეიარაღებულ ნუგზარს კლდიდან ქვარგვალები უნდა ამორტება, დაემტვრია ისინი ოთხად და თითო მეოთხედი, ასასი ცალი, პატარა ტომრებში უნდა ჩაეყარა. შემდეგ ეს პატარა ტომრები ლაგდებოდა ძალიან დიდ ზურგჩანთში, რომელიც დღს ბოლოს ნუგზარს ზურგზე უნდა წამოეკიდებინა და მიერთან პანიონატამდე. თავის მოვალეობათა ამ ბოლო ნაწილს იკი სრულიად უხალისოდა და ზოგჯერ უქმაყოფილ ბურტყუნითაც კი ასრულებდა.

ელენეს „ტერიტორიის“ ზემოთ, რომელიც სულ რაღაც ათიოდე კვადრატულ მეტრს მოიცავდა, იყო მაისა და გურამის უბანი. კონცხის ეს ნაწილი ქვიშაქვებისაგან შედგებოდა და მათში კაცი ხშირად შეხვდებოდა ცოცხალი ორგანიზების განამარხებულ ნაშთებს — სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნიუარებს, — რომლებსაც მაია გურამს არც კი ანდობდა და თავისი ხელით სათუთად ახვევდა ჭერ ბამბაში, მეტ ქაღალდში, ბოლოს კი ალაგებდა პატარა მუყაოს კოლოფში

და ისე ფრთხილად სდებდა ზურგზებულაში, როგორც ქათმის ახალდადებულ, ჭირკიდევ თბილ კვერცხებს. გურგული მუდმივი ცდილობდა თავის შეკავებას და მუდმივად გაღიმებული ეხმარებოდა მაისა.

მათ ზემოთ დიდი ნუგზარი და ნანა შოლვაშეობდნენ. ისინიც იგივეს აეთებდნენ, რასაც მაია და გურამი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათი უბანი რბილი, თოხვანი ქანებისაგან შედგებოდა და იქ მუშაობა, ცხადია, უფრო ადვილი და ალბათ სასიმოვნოც კი იყო.

თავზე კონცხს გიორგი მოქცეოდა. მას უკვე სამჭერ გადაექვედა თავისი უბანი და ახლა ისევ თავიდან იწყებდა. იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ ნამცეცს, სულ პატარასაც კი არად ტეხდა და და ლიდანს ათვალიერებდა გამადიდებელი შუშით. უცხო თვალისათვის გიორგის მოქმედება არაფრით განსხვავდებოდა იმ წვერიანი უცხოელის საქმიანობისაგან, რომელსაც გურამმა „არქიმედე“ შეარქვა. ისე კი, მთლიანად, ეს კონცხი და ზედ მომუშავე გეოლოგები შორიდან მნახველს ჯავბინან ფერდზე შეფენილ თხებს მოაგონებდა და, ცნადია, გულიანადაც გააცინებდა. მაგრამ გურამს არც კი გაღიმებია, როცა პირველად შეიძინია ეს სასაცილო მსგავსება. „თხა რომ თხა არის, — ფიქრობდა იგი, — მანაც კი იცის რისთვის მიძღვება კლდეზე, ეს მისი მიზანია, რადგან სწორედ იქ, მაღლა, იზრდება ის ბუჩქი, რომელიც თხისთვის ყველაზე გემრიელსა და ნოკიურ ფოთოლს ისახს...“ და მით უმეტეს, გიორგიმაც ცოდა, თუ რისთვის უჩხიკინებდა ამ კლდეს; იცოდა ნანამაც კი, რომელსაც უმთავრესად თავისი გარებობა აინტერესებდა; იცოდა მაიმაც, მიუხედავად იმისა, რომ კლდეზე ცოცვასულ არ შეეფერებოდა მის ნაზ, ქალურ ბუნებას; იცოდა ელენემაც, რომლისთვისაც მეცნიერების გარდა თითქოს ყველაფერს დაკარგვოდა თავისი მნიშვნელობა. ამ კონცხზე იყო მათი გონებისათვის საჭირო საზრდო და ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო მათი იქ ყოფნა.

ნუგზარებსაც კი გააჩნდათ გარკვეუ-

ლი მიზანი: დიდი — თავის ცოლს ეხმარებოდა, პატარას კი — თუმცა თითქოს უქაყაფთილო იყო თავისი ხევდრიო — აღმათ შეგნებული ჰქონდა, რომ აქ ყოფნა უცილებელი ეტაპი იყო გარკვეული გამოყიდვის შესაძენად. და მხოლოდ ის, მხოლოდ გურამი იყო აქ შემთხვევით, რაღაც გაურკვეველი, აბსტრაქტული მიზნით მოხვედრილი. იგი გამოუკეცა თვისისთვის ერთადერთ გარკვეულ მიზანს, რომელიც დაისახა და რომელსაც ვეღარ ახორციელებდა, და ცდილობდა აქ ეპოვა ის რაღაც, რაც დაკარგა, თუმცა გარკვევით არც იცოდა რა იყო „ის“.

თავის ამ ცდის აღარებდა ობუნები მოლას საქციელს, როცა იგი ოთახში დაკარგულ ჭუდს ჭუჩაში ეცებდა, რადგან ოთახში ბნელობდა, გარეთ კი სინათლე იყო. გურამი გრძნობდა, რომ გულუბრყვილოდ მოექცა ამ ადგილის რომანტიული სახელწოდების გავლენის ქვეშ იქვე, როგორც ერთ დროს, პროფესიის არჩევისას და უკვე ეჭვობდა, რომ ეს მის მიერ გადაღმული კიდევ ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი იყო.

— დაიღალე? — ჰქითხავდა მაია და გურამიც საბოლოოდ გამოერკვეოდა ფიქრებიდან.

— არა! — უპასუხებდა და თვალს მოავლებდა მიდამოს.

პატარა ნუგზარმა დაუკითხავად მოპხვია ნანას წელზე ხელი, გიორგიმ რომელიაც უცხოელ ქალთან გაბედა მისვლა და ცერემონიულად დახარა მის წინ თავი, დიდი ნუგზარი ცეკვა-ცეკვით მიეჭრა მაისს და ისე სასაცილო მიიწვია ვალსზე, რომ უარს ვერავინ ეტყოდა. ბრუნო სკიავის გულიანად გაეცნა და ელენეს ნუგზარზე მიუთითა, რა მხიარული უმაწვილიაო. მერე პირისპირ დაუდგა მას, თავი დახარა და სთხოვა ვიცევოთთ. ელენე ცივ უარზე იყო თა ბრუნო, ცოტა არ იყოს, ნაწყენი დარჩა.

გურამმა იგრძნო, რომ ძალიან მოეწონა ეს იტალიელი, რომელიც მეტად საინტერესო, ჭიკვანი და კეთილი აღამინი ჩანდა. იგრძნო ისიც, როგორ ებრალებოდა რატომლაც ელინე, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებდა თავისი ცხოვრების დარჩენილი ნახივარგზის მარტოდ გალევის. მხოლოდ ამით თუ გამართლდებოდა გურამის ის უცნაური და იქნებულამაზო საქციელი, რაც მან ჩაიდინა:

მან თვალი ჩაუკრა ბრუნოს, გამომყევიო, ანიშნა ღიმილით, და ელენეს ისე უცრად სტაცა ხელი, რომ ვიდრე იგი გონს მოვიღოდა, ორივენი უკვე თავგრულამხვევად ტრიალებლნენ მოცეკვევეთა შორის. ბრუნო მიუხვდა გურამს; მადლიერი ღიმილით სახეზე, იგი იდაყვებით მიიკვლევდა გზას მათკენ და როცა გაუსწორდა, გურამა ესტაფეტასავით გადასცა მას დაბნეული ელენე. გურამის სიცოცხლეში ეს იყო პირველი და ალბათ უკანასკნელი „მაჭანკლობა“, თუკი მის საქციელს საერთოდ მიუდგებოდა ამ საზიზლარი სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა.

იმ საღამოს გურამი მართლაც სხვებზე აღრე გამოიპარა ციკვებიდან და მას შემდეგ ყოველთვის რალაც უსიამოვნო გრძნობებს ულვიძებდა გახსენება ყოველივე იმისა, რაც იქ გადახდა, აბრაზებდა და აღლვებდა.

ახლაც იგვე დაემართა ზღვაში მარტინლყოფს და რამდენიმე წუთი ზურგზე წოლა დასჭირდა, ვიდრე ნორმალური სუნთქვა აღუდგებოდა და აჩქარებული გულიც კვლავ საგულეს დაუბრუნდებოდა. ფიქრებით გართულს ერტ კი შეემჩნია, როგორ ჩამალულიყო წითელი მშებნელი ჰორიზონტის უკან. გაუჩერებლად მიტრიალდ ნაპირისაკენ და ოდნავ მოუჩქარა ცურვას. მის სმენამდე დიდი ნუგზარის ტრანზისტორის ხრიალმა მოაღწია. გავირებულმა ყური მიუგდონ და მალე მიზევდა, რომ ეს ხმა ნაპირიდან მოდიოდა. ბეგრა დაუბრულებლად და სწრაფად მოსრიალებდა წყლის წყარი ზედაპირზე და გურამს ისე გარკვევით ესმოდა გაუთავებელი „ქისმი-პანი-პანი“, რომ ხელების მოძრაობაც კი ააყოლა ამ სიმღერის ტაქტს და ამის გამო უფრო მოუმატა ცურვის ტემპს. ცოტა ხნის შეძლევ შეამჩნია, რომ მარჯვნივ სულ ახლოს, ოციოდე ხელის მოსმაზე, ვიღაცია თავი მოჩანდა და როცა დააკვირდა, პატარა ნუგზარი იცნო. ისინი თანდათან დაუახლოებლნენ ერთმანეთს და ახლა ისე პარალელურად მიცურავდნენ ნაპირისაკენ. თუმცა პატარა ნუგზარს ხმაც არ

ამოუღია, მაგრამ გურამშია იგრძნო, რომ იგი ახლაც ეჭიბრებოდა მას. გზა შეიძლება ერთი გვაქცეო, გაიფიქრა გურამშია უზარესი ნდათან მოუჩქარა ცურვას. ნუგზარი მალე ჩამორჩია, რამაც იგი ისე გააბრაზა, რომ ვერც კი მოითმინა და თავი გასცა. — გამასწერბ, აბა რა! — ღვარდლიანად მიაძახა მან გურამს, — ფარფლები გიკეთია!

— რა, მეჯიბრებოდი? — პეითხა გურამშია ისე, ვითომ არც იცოდა.

— არა ბიჭო, სულ ეგვე ტემპში ცურავ, ხო იცი! — მიუხვდა ოინს პატარა ნუგზარი.

— კი მაგრამ, აყი ამბობდი უფარფლებოდ ჭობიან ცურვა? დარწმუნდი, რომ ასე არ ყოფილ?

— ჰო, მართალია! — აგდებულად უპასუხა პატარა ნუგზარმა და გაჩუმდა.

როცა ნაპირს მიაღწიეს, უკვე გვიანი საღამო იყო და თურმე ყველან ძალიან ლელავდნენ მათი დაგვიანების გამო. დიდი ნუგზარი და ნანა პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდნენ — მათ ფერწითით ნამწვების მთელი გროვა ეყარა. ელენე და მაია თითოსწერებზე დგომისაგან დალლიან, გიორგის კი ფრჩხილების კვნეტა დაუწყია უკვე, რაც მას თურმე ძალიან იშვიათად, მთლილ ძლიერი ნერვიულობის ძროს თუ ემართებოდა.

— მერამდენედ იკეთებთ უკვე ამას?! — საყვედურობდა იგი დაგვიანებულებს, — ბაეშვები ხომ არა ხართ?! არ მესმის პირდაპირ, რა სიამოვნებაა ასე შორს გასვლა?

შალე ელენეც ჩაერია:

— მე შემიძლია ნუგზარს ავუკრალო, გურამს კი ტკვენ ტიტონ მოურეტ! — და ნიშნად იმისა, რომ ეს სიტყვები მთლად სერიოზულად არ იყო ნათქვამი, მან ლიმილით დაუწნია თითო გურამს.

— მოვუვლით, მოვუვლით! — ცბიერად გაიცინა ნანამ და მაიას იდაყვი წაჟერა, — არა, მაია?!?

— ჰო, — უნებურად თქვა მაიაშ და ფარული საყვედურით სავსე შეერა მიაპყრო გურამს.



ვიდრე გურამი იცვამდა, ნანა დოინჯ-შემოყრილი უვლიდა მას გარშემო და ხუმრობით ტუქსავდა:

— ...იმის მაგივრად, რომ სამ-სამი სა-ათი ცურვაზე დაკარგოთ, გრძელებიათ იყდეთ და რამეს წერდეთ, ბატონო მწერალო! ქმარა ზარმაცობა! ან იქნებ მასალა გამოგელიათ? თვალი გაახილეთ! გა-იხდეთ! გამოიხედეთ! განა ის, რაც თვევეს გარშემო ხდება, არ არის საინტე-რესო? განა ჩვენი ექსპელიციის ცხოვრე-ბა კარგი ოემა არ არის?..

გურამი გააოცა სიმართლემ, რომელიც ნანას ხუმრობაში იყო. ის, რასაც ნანა ურჩევდა, გურამს თვითონაც ჰქონდა ნა-ფიქრი და თუმცა დიღმა ნუგზაარმა მას-ხად აიგდო ნანას სიტყვები, ჩვენს ექს-პელიციაზე რა უნდა დაიწეროს, საინ-ტერესო არაფერი არა ხდებაო, მაგრამ გურამი გრძნობდა, რომ „არაფერი“ არ-სად არ ხდება და გარეგნულად სრული-ად უფერულ და მდორე ცხოვრებას შე-საძლოა რთული და საინტერესო „საჩ-ჩული“ აღმოაჩნდეს. სინამდვილეში გუ-რამი არც კი ხუმრობდა, როცა ვითომ-დაც საზეიმო ხმით ჰპირდებოდა შუბლ-შეკრულ ნანასა და დანარჩენებს:

— პირობას ედებ, აუცილებლად დაფ-შერ მოთხოვბას, რომელშიც ბევრ ნაც-ნობ ადგილსა და ხასიათს წააწყდე-ბით. მაგრამ მასში იქნება ბევრი მოგო-ნილი რამ და მე, წინასწარ და მოწირე-ბით გთხოვთ არ აურიოთ ერთმანეთში სინამდვილე და მონაცონი! ნურც კარგსა და ნურც ცუდს, თუ რამ შეგვდებათ, პირადად თქვენს თვეზე ნუ მიიღებთ და ნუ შემოწყებით ამის გამო თქვენს ყუ-რმოქრილ მონას... როგორც ხშირად ხდება ხოლმე! — სიცალით დააყოლა გურამმა პოლოს.

ამ პათეტიურმა მონოლოგმა გიორგიც კი გულიანად გააცინა და მან, ყველასათ-ვის მოულოდნელად, მღვდელივით ჩაი-ბუტბუტა:

— ...და ისმინე უფალო თხოვნაი შე-ნთა მონათა, და გადმოხედე მათ თვალი-თა შენითა კეთილითა! ამიიინ!!!!...

სალამოობით ექსპელიციის შემოგვია-სმენას, სამწუხაროდ, აღარ ჰპირდებოდა მაის სიმღერა, რადგანაც მას ჩაქუჩით დაბეკილი თოთი გაუმიზეზდა, სტკიოდა და გიტარაზე ველარ უკრავდა. ამაში რომ გურამი იყო დამნაშავე, თვითონ გურა-მისა და მაის გარდა არაენ იცოდა. ეს პატარა საიღუმლო უხილავად ბოჭავდა მათ და თანდათან თთოქს უტრო შეიღ-როდ აკავშირებდა ერთმანეთობა.

გიტარა დღუმდა, მაგრამ სამავიეროდ ერთი წუთითაც არ ჩუმდებოდა დიდი ნუგზაარის პატარა რადიო და ცველანი იძულებული იყვნენ უკვე კბილების კრეპით ესმინათ გაუთავებელი „კისმი-პანი-პანი“. პანისონატში ჩეცულებისა-მებრ აღრე ქრებოდა სინათლე და კაცი ვერც კითხვით და ვერც ჭაღრაკის თა-მაშით გაირთობდა თავს. იმდენად მო-საწყენი იყო ეს დრო ვახშმობიდან და-ძინებამდე, რომ გურამი სიხარულითაც კი შეეგება პატარა ნუგზაარის მიერ ახა-ლი „გართობის“ შემოლებას, რომელიც, ისევე როგორც ყველაფერი, რაც ნუგ-ზაარს უყვარდა და აინტერესებდა, ჩეცუ-ლებრივ შეკიბრებას წარმოადგინდა. მი-სთვის სულერთი იყო ვის ან რაში ეკიბ-რებოდა, იმ დროს როცა შედეგისადმი სულაც არ იყო გულგრილად განწყობი-ლი. ეს უკანასკნელი გარემოება ერთგ-ვარ დრამატიზმს ანიჭებდა მათ ახალ „გართობას“, რის წყალობითაც იგი ქა-ლების უყრადღებასაც კი იძყრობდა: ორი კაცი ერთმანეთის პირისპირ ჯდებო-ბოდ მავითათან, მარჯვენა ხელის იდა-ყვებს ერთ სწორ ხაზზე აყრინობდნენ, მტევნებს მაგრად ივლებდნენ ერთმა-ნეთს და თითოეული მათგანი ცდილობ-და თავისი მოწინააღმდეგის ხელი მაგი-დამდე გადაეჭია.

პირველ-მეორე აღგილს გურამი და დიდი ნუგზაარი ინაწილებდნენ. დიდი ნუ-გზაარი უფრო ღონიერი იყო, მაგრამ ნე-ბისყოფა ხშირად ღალატობდა და ზოგ-ჯერ ისეთ ღროს ყრიდა ფარხმალს, როცა გურამს მელავში ძალის ნატამალიც აღარ აჩებოდა.

პატარა ნუგზარი მესამე ადგილზე იყო და მკიდრებული, რასაც იგი ვერაფრით ვერ შერიგებოდა და მასთან ყოველი შერქინება გაწიმატებითა და უსიმოვნებებით თავდებოდა. მაგრამ ჩევანშის უძლეველ სურგილს იგი მაღლ ისე თავისი ფეხით მოჰყავდა სარბიელზე. შეგიბრება გვიან ღამემდე გრძელდებოდა, ვიდრე დაღლილი მკლავების ქნევითა და მოქანარებით არ დაიშლებოდნენ მაყურებელნიცა და შეგიბრების მონაწილენიც.

გიორგი მაყურებელთა რიგებში იყო და ამიტომაც მეოთხე ადგილზე ითვლებოდა. ეს უსამართლობა ვერ არლევდა მის ჩეველ სიმშეიდვეს, ხოლო სამაგიეროდ პატარა ნუგზარის შელახულ თავმოყვარეობას ოდნავ მაიც აქმაყოფილებდა.

გურამი სშირად ფიქტობდა პატარა ნუგზარის უცნაურ ხსიათზე და ცდილობდა მის გამართლებას. პატარა ნუგზარი უშიშარიც იყო, ლონიერიც, შეუპირველიც, მაგრამ თითქოს არ იკოდა რაში შეიძლებოდა უკველივე მის გამოყენება და რაღაც წერილმანებში ხარჯავდა ამ ძვირფას თვისებებს. იგი მთელი ათი წლით უტციროს იყო გურამზე და, ცხადია, ჭრ კიდევ ბევრი რამ ეპატიებოდა, რადგან ჭრჭერობით არც კი შეხვედროდა ნამდვილი გასაყირი ცხოვრებაში, რაც აუცილებელი გამოცდა ადამიანისათვის სხვებსხეცა და თავისთავზეც მართალი აზრისა და წარმოლენის შესაქმნელად. „ადრე თუ გვიან ყველას მოუწევს ასეთი გამოცდის ჩაბარება“, — ფიქტობდა გურამი და ცდილობდა გმირცნო, თუ რა ნიშანს მიიღებდა პატარა ნუგზარი.

ახლოვდებოდა კვირადლე და იქმდე დარჩენილ დროში მხოლოდ ორი ლირს-შესანიშნავი ამბავი მოხდა. ეს რომ არა, გურამს, ალბათ, გაუკირდებოდა გარეგნულად მართლაც ერთოფეროვნი დღეების გათრევა, რასაც მას კიდევ უფრო უძნელებდა მაიას დღიმილი და მისგან მოსალოდნელი პასუხის თითქმის სრული გაურკვევლობა.

პირველი ამბავი იყო იტალიელი ნაც-

ნობის — ბრუნო სკიავის სტუმრობა შეთთან კონცენტრი, მუშაობის დროს. ეს მეტენჯუ ხდა პარასკევს. ბრუნო შეუტჩენევოდნებული მოადგა გრილოებებს თავზე იმ დროს, როცა ისინი ის-ის იყო იწყებდნენ მუშაობის და ისე ხმამაღლა დასახა მათ „ჩაი“, რომ ყველანი შეაშნა. მეტ ორივე ხელი მაღლა ასწია და გულიანად გადაიხარხარა. საპასუხო მშიარული მისალმების შემდევ მან დიდი ვაიგალისით გააგებინა გრილოებებს, რომ თერმე გადაწყვეტილი ჰქონდა შეამოწმოს, რატომ უჩისინებენ ისინი ამ საბრალო კონცენტრის და ხომ არაფრით ემუქრება მათი ეს საეჭვო საქმიანობა მშეიღიობასა და მეგობრობას მსოფლიოს ხალხთა შორის, რომელთა წარმომადგენელიც ასე ბლომად არიან აქ დასასვენებლად ჩამოსულნი. მათი შემდევ მან მაღლიანად გააბოლა ჩაბეხი, წვერი მოიქექა და სამუშაო თბილებების შემოვლა ყველაზე ზედა ანუ გიორგის უპნიდან დაიწყო.

როგორც ნამდვილი, მეცატი და მოუყიდველი ინსპექტორი, ისე ათვალიერებდა იგი ყოველ წვრილმოწნს, — თვითონაც კი სცადა ჩაქუჩისა და სატეხის ხმარება, — და თანდათან კვემოთკენ მოიწევდა. დიდმა ნუგზარმა, თავისი მხიარულებისა და იტალიელისათვის ეგზომებით უზრუნველი ქვეტიულაციის წყალობით, მისგან საჩუქრდ მუყაოს ბუმერანგი მიიღოდ და უზომოდ კვაყოფილი, მაშინევ შეუდგა მისი ხმარების ტექნიკის შესწავლას. ყველაზე ზერელედ ბრუნომ მაიასა და გურამის უბანი დაათვალიერა და სწრაფად გადაინაცვლა უფრო ქვევით, ელენესაკენ, რომელიც ფეხზე წამომდგარიყო და თავაზიანი ღიმილით ელოდებოდა სტუმარს.

პატარა ნუგზარისაგან გამსხვავებით იტალიელს ძალიან მოეწონა მრგვალი ქვების ოთხად მტვრევა და მას შემდევ ელენეს ერთგულ თანაშემწედ იქცა. პატარა ნუგზარი კი, როგორც სრულიად ზედმეტი ძალა ამ უბანზე, მარტოდმყოფი გიორგის დასახმარებლად „გადაისროლეს“ კონცხის წვერისაკენ.

ელენე საგრძნობლად გამოიცვალა იმ

დღის შემდეგ. იგი აღარ ჭავრობდა, როცა შესკენების დროს პატარა ნუგზარი დამთხვეულივით ჩავარდებოდა წყალში და ბევრად უფრო ლრმად შესცურავდა ხოლმე, ვიდრე ეს მუშაობის დროს იყო დასაშვები; აღარც „პალეონტოლოგიურ ატლასს“ უთმობდა მთელ თავის თავისუფალ დროს. ერთი-ორჯერ, შინ ყოფნისას, გურამმა ისიც კი შეამჩნია, როგორ იხედებოდა ელენე ნანას პატარა სარქეში და მერე რა დაფაქტებული ისვამდა ხელს თმაზე, რომელშიც აქა-იქ უკვე წალარაც გამოიროდა.

ის იყო პირველი ორს შესანიშნავი ამბავი. მეორე კი, თავისთვის უფრო უმნიშვნელო იყო პირველზე, მაგრამ სამაგიეროდ იგი სასაცილოცა და სამწუხაროც იყო ერთსა და იმავე დროს, და არც თუ მთლად უშედეგოდ ჩაუვლია გურამისათვის. მისი გადმოცემა შორს არ წაგვიყვანს.

ეს მოხდა იტალიელის სტუმრობის მეორე დღეს ანუ შაბათს. ისევე, როგორც წინა კვირას, ამ კვირასაც დედაქალაქში ფეხბურთის მორიგი მატჩი უნდა გამართულიყო და დიდმა ნუგზარმა უკვე რაშე დენიმე დღით ადრე გამოუცხადა ნანას, რომ ამ, თურმე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე, შეხვერდის გაცდენა მას არამცდაარამც არ შეეძლო. დიდ ნუგზარს მნარი დაუჭირა პატარამაც და, მიუხედავად იმისა, რომ ნანას ამის გაგონებაც კი არ სურდა, ისინი მაინც გაფაციცებით ემზადებოდნენ ორიოდე დღით გასამგზავრებლად და მომავალი სიამოვნების მოლოდინში წინასწარ იტკბარუნებონენ პირს.

— ია, იცოდე, ნუგზარ! — კატეგორიულად აფრთხილებდა ნანა ქმრს, — თუ წახვალ, თვალით აღარ დამენახვები! აირჩიო: ან მე, ან ფეხბურთი!

დიდი ნუგზარი, ნაშნად იმისა, რომ ორივეს ირჩევდა, ხმამალო ხარხარებდა და ცოლს საკოცნელად ეძალებოდა, მაგრამ ნანა ახლოსაც არ იყარებდა მას.

ახლოვდებოდა გამგზავრებ-ს დღეც — შაბათი — და ექსპედიციის წევრთა თვალშინ მშიოფდებოდა დიდი ოჯახური სკა-

ნდალი, რომელშიც გურამისა და გარიგებული ფრიად უსიამოვნო როლი ენიჭებოდა. — ტუტუცო! — გავაასებული უცხადებისა როდა ნანა თავის ქარს და მათხე უთითებდა, — შეხედე ამ ხალხს! რატომ შეუძლიათ აქ დარჩენა? — და თავის თავს თვითონვე უპასუხებდა: — იმიტომ, რომ ნორმალურები არიან!

„ნორმალურები“ ამ დროს დამნაშავე-ებივით არიდებდნენ თვალს დიდი ნუგზარის უდარდელ, მცინარე სახეს, ხოლო პატარა ნუგზარი, რომელიც „არანორმალურთა“ რიცხვში მონვეღრილიყო, იღვინებოდა და გულში, ალბათ, ნატარიბდა ხუთიოდე წუთით დიდ ნუგზარად გახდომოდნენ. ნანა ოთხში ჩიყეტა და გარეთ არც კი იხედებოდა. პატარა ნუგზარი ლია ფანგრილან დაემშვიდობა მას, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

— აბა! არ მოიწყინოთ! — მოუბრუნდა უნებურად დაღვრემილ გამცილებლებს უკვე კართან მისული დიდი ნუგზარი, — რაღიც ჩემს ჩემოდაშია. ნანაზე ნუ დარღობთ, ასე იცის ხოლმე. გადაულის!..

— მიწა გაგისკდეს, მიწა! და თან ჩაგიტანოს! — გასმა აოთახიდან ნანას ყვირილი და (ჰოი საოცებავ!) მოხდა სასწაული.

ეს იყო ნამდგილი და ერთადერთი სასწაული, რომლის პირდად მომსწრეც იყო გურამის: ნანას ჯერ კიდევ არ მოეთავებინა თავისი წყევლა, რომ... არა, მიწა არავის გასკლომია ფეხებული, არც ქარიშხალი იმოვარდნილა და არც ზღვა გადმოსულა ნაპირებიდან. მოხდა სრულიად უბრალო რამ: დიღმა ნუგზარმა სასაცილოდ აბზიდა თავისი მსხვილი ცვეკირი, მთელი სახე უცნაურად დაეჭლანა, პირი დაალო და, „ააფჩხიიიშ!“-ო, დააძახა. მეტე, როგორც იყო იმ წუთის თავდახრი-

ლი და კისერმოლრეცილი, ისევე დარჩა. — ვააა! ვააა! — იყვნისლა დიდი ნუგზარი საცოდავად და განძრევაც კი ვეღარ მოახერხა.

ყველანი გაოცებულნი უყურებდნენ მას და ვერ გაეგოთ, რა მოუვიდა. ყველაზე აღრე ისევ ნანა მიხედა, რაც მომხდარიყო, — ეტყობა, ცალი თვალი მაინც გარეთ სჭერია, — იგი ისტერიული ხარხარით გამოვარდა ოთახიდან და უცნაურ მდგომარეობაში გაშეშებული ქმრის გარშემო ნამდვილი ველურივით ხტუნაობა და ცეკვა გამართა. მისი თვალები ბრწყინვდნენ რაღაც ბოროტი კმაყოფილებით, რის დაფარებასაც იგი არცა ცდრობდა და ისევ გიყივით ხარხარებდა:

— ამა! გაგიშეშდა თუ არა კისერი?!

წაბრძანდი, წაბრძანდი! რაღაც უდგეხარ?!

მიდი, ფეხბურთზე არ დაგაგვიანდეს! ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

იმ მომენტში ნანა მართლა ილქაჭს ჰერედა და გურამს გულწრფელად შეებრალა მისი „მსხვერპლი“, რომელიც კვლავ საცოდავად კვრენსოდა და დასაკლავი ხარივით უშესებდა ბარიალებდა სისხლით აგსებულ თვალებს.

მიუხედავად სიბრალულისა, შეუძლებელი იყო არ გასცინებოდა ამ ამბის მომსწრე აღმანის და ნანას ხარხარმა მაღლე უველა იყოლია. დიდ ნუგზარს იმის თავიც კი იარა ჰქონდა, რომ რითმებ გამოეხატა მათი უჟულობით გამოწვეული აღშეფოთება თუ წყენა და მხოლოდ კვნესოდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, კისერი ნუგზარს აღრეც არაერთხელ გაშეშებია და, რა არ უცდია, მაგრამ ვერაფრით მოურჩენია საბოლოოდ ეს შემაწუხებელი უკანასკნელად მსგავსი ამბავი მას მეტრის ვაგონში მოსვლია და ბარემ ათვერ შემოუვლია მთელი ქალაქი, ვიდრე აღვიმისა და ვაგონიდან ვაივალისით გამოსულია მოახერხებდა. ახლა ხომ მგზავრობაზე ფიქრიც ზეღმიტი იყო, ლოგინამდე ძლიერსლივობით მიიტანეს გიორგიმ და გურამბა. ამასობაში ნანას უკვე უთო გაეხურებინა და მხარული წყველა-კრულვით ქმრის „დაუ-

თოებას“ შეუდგა (თუმც ეს სიტყვა არ ბრჭყალებში ჩასმას არც საჭიროებულია) პატარა ნუგზარი მხოლოდ ნახევრის გარემონტი დე სათოთ შეაჩერა ამ მოულოდნერელმა შემთხვევამ, რის შემდეგაც მარტოდმარტო გაუდგა გზის ქალაქისაკენ.

ას დასრულდა ექვსედიციის მეორე კვირაც და გურამის ქალაქში დაბრუნებამდე დარჩა კიდევ ზუსტად ამდენივე დრო.

## VII

ნუგზარის კვნესამ გურამი მთელი ღამე არ დააძინა. მას ესმოდა როგორი ბუზლუნით დგებოდა ხოლმე ნანა ქმრის ერთი გვერდიდან მეორეზე გაღასბრუნებლად, უსწორებდა ბალიშს და ისევ წყვებოდა. ავადმყოფი ოდნავ მიყუჩდებოდა, მერე ალბათ დუნდებოდა ძილში, ისევ შეპკრავდა ტკივილი და გამოფეიზლებული გინაგრძობდა კვნესას.

გურამი ამაოდ ცდილობდა მხოლოდ ზღვისათვის დაეგდო ყური და ტალღების ჩემ შეუილში ჩასძინებოდა. ამიტომაც უძილობისაგან დაწითლებული თვალებითა და ატკივებული თავით გათენებისთანავე წამოდგა ლოგინიდან.

წინა კვირალისაგან განსხვავებით ამ ღერს ამინდს დილიდანევ მშევნიერი პირი უჩანდა. ჩიტების მხიარული ულურტული ლელვის ხის ფოთლებში, ზღვის წყნარი, ლაქებინი ზედაპირის დანახვა და გრილი, კრიალა ჰაერი ნეტარებით გამზმორებდა და გააღიმებდა თვნდაც ისეთი „მყრალი“ ხასიათის მქონე აღმიანსაც კი, რომელიც ჩვეულებრივად, უკმაყოფილ, ყვითელი სახითა და პაპიროსის წყვით ეგებება ხოლმე ახალ ღლეს. \*

ზღვის წყალმა სწრაფად მოურჩინა გურამს თავის ტკივილი და ნაპირისაკენ იგი უკვე სრულიად გამოძინებული ბრუნდებოდა.

მოების ტკეცეობიდან თავდალწული მხე, თითქოს სიხარულისაგნ თველის-მომცრელად გაბრწყინებული, სწრაფად მიიწევდა მაღლა, ცის უსაზღვრო სიკრეცებისაკენ. ნელ-ნელა ხალხით იგსებო-

და უცროელების პლატი. პანიკონატი-  
დან ჩაშომვალ ქვიან დაღმართზე ვიღაც  
ორი გამოჩენდა, გურამმა შორიდანვე იც-  
ნო გიორგი და მაია. ნანა, ცხადია, ქმარს  
უვლიდა, ელენებ კი, — რატომრაც ასე  
უგონა გურამს, — ალბათ მარტოობით  
ისარგებლა და ნანას პატარა სარკე იგ-  
ღო ხელთ.

გიორგის ბევრად უფრო შორს გამო-  
ეცდნა ნაპირიდან, ვიდრე გურამი მოე-  
ლოდა, ისინი ლიმილით მიესალმენ ერ-  
თმანეთს, რის შემდეგც გიორგიმ, შეუ-  
ფერებელი გარემოს მიუხედავადაც კი,  
შესაძლებლად არ სცნო თავაზიანობას  
ნორმების დარღვევა და საკმაოდ ხანგრ-  
ძლივი საუბარი გაუბა გურამს.

— რა მშევნიერი დილა! — დაიწყო  
მან.

— შესანიშნავი! — უპასუხა გურამმა  
და გულმა ნაპირისაკენ გაუწია, მაგრამ  
გიორგიმ განაგრძო:

— როგორ გეინა?

— ცუდად! — გულახდილად თქვე გუ-  
რამმა, — ნუგზარის კვნესამ არ დამაძი-  
ნა.

— მართლა? — გაუკვირდა გიორ-  
გის, — მე არაფერი გამიგია. მთელ ლა-  
მეს კვნესოდა?

— მაშ!

— საწყალი! ეტყობა მაგრა სტკივა.  
ისე ახი კია მაგზე! აბა, თქვე, სიგივე არ  
არის ამსორისეზე წასულა თამაშის საყუ-  
რებლად?

— რას იზამ? — გაიცინა გურამმა, —  
ეს უკვე უიმედოდ მოდებული სენია და  
ალბათ იქმდე არ განიკურნება, სანამ  
ყველა გულშემატკივარს ერთდროულად  
არ გაუშეშდება კისერი.

— რა სასიმოვნო წყალია! — არა  
ცრებოდა გიორგი, — პატარა ნუგზარიც  
კარგა უცნაური იდამიანია! ჯერ იყო და.  
ლელვის დროსაც კი ბანაობდა, ზღვაზე  
დღეს როგორ გავაცლენი! ახლა კი ასე-  
თი მშევნიერი ზღვის დატოვება არ დაე-  
ნანა...

გურამი უყურადღებოდ უსმენდა გი-  
ორგის და იმავე ღრის ხედავდა, როგორ  
გაიხადა მაიამ კაბა, როგორ მოსინგა ფე-

ნით — ცივი იყო თუ არა წყალი და ტრ-  
ცა მხრებზე ჭვარებინად ხელების უცე-  
ბილი და სასაცილოდ მობულებული შემტ-  
დიოდა ზღვაში, გულმა ვეღარ მოუმინა  
გურამს, შემცირდა, ჩმამალდა იცრუა  
გიორგის გასაგონად და ნაპირისაკენ მო-  
სვა.

— მე ცოტას კიდევ შეცცურავ! — მო-  
აძახა მას გიორგიმ და გარტარებულმა გუ-  
რამმა გაიფიქრა, რამ მმ შუთას იგი უკე-  
თეს ვერაფერს იზამდა.

მაია ძალიან სასაცილო „სტილით“  
მოცურავდა გურამისაკენ. ხელებს წყლი-  
დან ამოულებლად და ჩქარ-ჩქარა უსვამ-  
და, ლოყები კი ისე ებერებოდა ამოსუ-  
ნონქვისას, თითქოს ლამბაქზე დასხმულ  
ცხელ ჩის აცივებს. მისი დართოდ გა-  
ხელილი ცისფერი თვალები საჩევები-  
ვით ირელავნენ მზის სხივებისაგან  
ალაპლაპებულ წყლის ზედაპირს და და-  
მაბრმავებლად შეუქებლნენ სახეში გუ-  
რამს. როდესაც გურამი გაუსწორდა მაი-  
ას, იგი უხმოდ, მხოლოდ ლიმილით მიე-  
სალმა მას, მერე ნელ-ნელა გაბრუნდა ნა-  
პირისაკენ და ცოტანის შემდეგ ისინი  
ერთად გამოვიდნენ წყლიდნ. მზეს ჯერ  
კიდევ ვერ მოესწრო ლამით გაგრილე-  
ბული ქეიშის გათბობა. ისინი დიღხანს  
იდგნენ, შეჩბოლნენ, და უხმოდ გასცემ-  
როდნენ ნაპირიდან კარგა შორს გასუ-  
ლი გიორგის შავგვრემან თავს.

— მაია! — როგორც იქნა გაბედა გუ-  
რამმა სიჩუმის დარღვევა, — რატომ  
არაფერს მეუბნები?

— რა უნდა გითხრა? — ძლიეს გასა-  
გონად ჩაიჩურჩულა მან და თავი დახარა.  
ნელ-ნელა ჩამოშლილმა სეელმა თმამ ჩა-  
ღრივით დაუფარა გზითლებული სახე  
და არც უცდია მისი მოშორება.

— ნაწყენი ხომ არა ხარ ჩემზე? — გა-  
უბედავად ჰეითხა გურამმა და პასუხის  
მოლოდინში სუნთქვა შეეკრა, თითქოს  
გულისცემაც კი შეუჩერდა.

— არა, რას ამბობდი? — გაკვირვებულ-  
მა წამიძიახა მაიამ, — ნაწყენი რატომ  
უნდა ვეყო, მაგრამ... იყი...

— რა? — ვეღარ მოითმინა გურამმა.

— ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო ის, რაც შენ მითხარი. იცი რატომ?

— რატომ? მითხარი! რამე მითხარი! ნუ ხარ ასე გაჩუმებული! — შევედრა გურამი.

მაისა თითქოს ხმის ამოლება უჭირდა, ერთხანს ჩუმად იდგა, მერე ნელ-ნელა ასწია თავი და ძალიან სერიოზული, დაფიქტებული თვალებით შეხედა გურამს.

— გეტივი, ყველაფერს გეტვი. ოლონდ ცოტა კიდვე დამაცადე... სულ ცოტა... გარგი?..

— ახლავე რატომ არ... — დაიწყო გურამია, მეგრამ მიამა სწრაფად გააწყვეტინა და ნატკენი, შებინტული თითი ნაზად ჩამოუსვა გურამს უკვე გამშრალ მხარქე:

— ძალიანა გთხოვ!

ესეც რომ არ ვთქვა, მათი საუბარი მაინც დამთავრდებოდა, რაღაც ამ დროს გიორგი უკვე წყლიდან გამოდიოდა, ელენე კი ლობეზე გადმომდგარიყო და ყვიროდა:

— მოდიიტ! საუზმე მშაბ არის!

მთელი ის დღე, სადილამდე, ზღვაზე გაატარეს. ამ სიამონებას მხოლოდ ნანა იყო მოკლებული, თუმცა ერთხელ, მცირე ხნით, მანაც მოახერხა ავადმყოფი ქმრის მარტო დატოვება და დანარჩენებთან შემოერთება, რომელთა წყნარ მხიარულებაშიც პატარა ნუგზარის ნაცვლად ახლა იტალიელი ბრუნო სკიავი მონაწილეობდა. მან ელენეს დანახვისთანავე მიატოვა თავისი საყვარელი კუნძი და ჩიბუნის ცისფერ კვამლში გახვეულმა, გაბედულად გადმოლახა უცხოელთა და ადგილობრივთა პლატებს შორის არსებული უხილავი საზღვარი.

პირველი, რასაც მან ელენეს შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ეს იყო გურამის საყვინთავი მოწყობილობა. მან დაუკითხავად მოიჩო ფეხებზე ფარფლები, სახეზე სწრაფად ჩამოიფხატა ნიღაბი და, ისევე სასაცილოდ, როგორც გურამი, ხტუნვა-ხტუნვით გაემართა წყლისაკენ.

კარგა დიდი ხნის შემდეგ იგი უზომოდ კმაყოფილი დაბრუნდა ხმელეთზე და ხე-

ლებისა და ფეხების ენერგიული ჭრაზე საათზე მეტ ხას მოუნდა თავისი უკავებელი ქვეშა შთაბეჭდილებებს დამხეფულობებას თვის გაზიარებას. საერთოდ, მას შემდეგ, რაც იგი ექსპედიციის წევრებს დაუახლოდა, სრულიად დაქარგა ის პირვანდელი ფლეგმატურობა, რომლითაც მუყაოს ბუმერანგთან ერთად, დანახვისთანვე მითბერობ გეოლოგების ყურადღება. და ახლა იგი ისეთივე ჩევულებრივ, ექსპანსიურსა და მოუსვენარ იტალიელს წარმოადგენდა, როგორსაც აქამდე აღგიღობრივი მხოლოდ მათი შევენიერი კინოსურატების წყალობითი იცნობდენ. გურამი გამოიტუდა მას, რომ გაცნობამდე იგი „არქიმედედ“ ჰყავდა მონათლული. ბრუნო ღიდად კმაყოფილი დარჩა ამ მეტსახელით. მან ღიდას იცინა, დაჯდა, აღდა, ისევ დაჯდა და ბოლოს სასაცილო, სერიოზული ხმით გამოაცხადა, რომ არაუგრი ჰქონდა საწინააღმდეგო არქიმედედვე დარჩენისა. ამ ხუმრბის მარილი ის იყო, რომ ბრუნო თურმენამდვილ არქიმედეს გულისხმობდა და არა მეტსახელს.

გეოლოგებმა ჰკიონეს, თუ რა სახის დაკვირვებას ატარებდა იგი ბუმერანგზე და რას წერტილი სოლმე ჩისრით ქვიშაზე, რაზეც მან ცბიერი ლიმილით უპასუხა, რომ ეს ჯერჯერობით მისი პირადი საიდუმლო იყო, რომლის გამოაშეარავების შემდეგაც მისი — იტალიელი მეცნიერის, ბრუნო სკიავის სახელი — მოელი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდებოდა. ეს პასუხი, ეტყობა, აგრეთვე ხუმრბით იყო ნათევამი, თუმცა ეს დანამდვილებით ვერავინ გამოიცნო და ამიტომაც გურამიაცა და დანარჩენებმაც მხოლოდ თვაზიანი ლიმილის უფლება მისცემს თავს.

ცოტა ხნის შემდეგ ბრუნომ შეამჩნია, რომ ექსპედიციის წევრთა რიცხვი სრული არ იყო და ამის მიზეზით დაინტერესდა. პატარა ნუგზარის გამზეავრების ამბავს მასზე ღიდი შთაბეჭდილება არ მოუხდინა, მაგრამ როცა ღიდი ნუგზარის — ამ „მხიარული კუჭვილის“ — როგორც ეძახდა მას ბრუნო, — ივაღმ-

ყოფიბაც შეიტყო და მისი ისტორია დაწვრილებით გამოიკითხა, მან, ზომაზე მეტად შეწუხებულმა, ავადმყოფის ნახვა და მქურნალობაც კი მოისურვა. ორ-სამ დღეში აუცილებლად მოვარჩენო, ამტკიცებდა იგი, რატომ მაც გამშარებული, თუმცა ხმამალა არავის გამოუთქვემს ეჭვი იმის გამო, რომ თავის კეთილშობილურ დაპირებას იტალიელი მართლა შეასრულებდა.

დიდი ნუგზარი ნაწვალევი ღიმილით შეხვდა ოთახში მოულოდნელად შესულ ბრუნოს და ძალიან გაუხარდა, როცა მისი სტუმრობის მიზანიც აცნობეს. ორონდ მომარჩინე და, შამპანური ჩემშე იქნება, დაპირდა დაიმედებული ავადმყოფი იტალიელს, რომელსაც ამის გამონებაზე სანე გაუბრწყინდა.

— გრაცია, სენიორე! გრაცია! — იძახდა იგი ხელების ფუნქეტით და თან თვალს ადვენებდა ავადმყოფის „საოპერაციო“ მომზადებას, ანუ, უბრალოდ, პირქვე დაწოლას, რაც ნუგზარს სულაც არ „ეუბრალოებოდა“.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, იგი ერთის ვაიგაგლახით დაწვა მუცელზე და ტკივილისაგან სახემოლრეცილი ჩუმად მოელოდა თავის მწარე ხვედრს. ეს მწარე ხვედრი ჩვეულებრივი მასაერი გამოდგა. ბრუნომ ნახევარ საათშე მეტნანს დაუღალევად უტყაპუნა ხელები გაშემცულ კისერს, მერე კარგა მაგრა დაჩქმიტა, დაზილა, და, თუმც ავადმყოფი ჯერ არაეთის შეებას არ გრძნობდა, გრაცია, თქვა მაინც და ოპერაცია დამთავრებულად გამოაცხადა. ნანამ თბილად შეუხვია კისერი ნუგზარს და ბრუნოს დღიდ მაღლობა მოახსენა. იტალიელმა ისეთი გამარჯვებული და ემაყოფილი იერით მიიღო ეს მაღლობა, თოვქოს ბრძანდაბადებულ ადამიანს თვალები აუხილაო, მაგრამ շურამსაც და დანარჩენებს უკვე ესმოდათ მისი თავისებური იუმორი და ამ ნუმრობასაც გულიანი სიცილით შეხვდნენ.

ამასობაში საფილის ღრუც დამდგარიყო და ყველამ ერთხმად სთხოვა ბრუნოს დარჩენილიყო მათთან. მან თხოვნა

არავის გაამეორებინა და სადილობრივი ძალიან უბრალოდა და შინაურულად ეცნობოდნენ გამართვას.

პანსიონატის დიასახლისი და მისი რძლები დასაწყისში დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდნენ მათ ეზოში უცხოელის გამოჩენას. ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე თავაზიანად ულიმდნენ მას და როგორც ნამდვილ სტუმარს შეეფერება, ისე ექცევოდნენ.

ბრუნონ ბევრსა და ხალისიანად ლაპარაკობდა და უამრავი საინტერესო რამ უამბო მასპინძლებს თავის სამშობლოზე.

თუმცა ბევრი რამ ყველასათვის ცონბილი იყო, თუმცა მისი დამტკრეული რუსული, მრავლად შერეული იტალიური სიტყვებით და მთელი გამოთქმებით საკმაოდ ძნელად გასაგებსა და ზოგჯერ კი სულაც გაუგებარს ხდიდა ცალკეულ ამბებს, მაგრამ ყველანი მაინც დიდი სიამონებით უსმენდნენ ამ შვეგრემან, ტემპერამერნტიან უცხოელს, რომელიც თავის მშობლიურ ენაზე, ცხადია, ბევრად უფრო სწრაფადა და ალბათ უფრო საინტერესოდაც ილაპარაკებდა.

მან უამბო მასპინძლებს, რომ მისი სამშობლო — იტალია, ესოდენ ბრწყინვალე წარსულისა და დიდებული ხელოვნების მქონე ქვეყანა, აშშეოთი თურქე მაინცადამაინც ვერ დატრაპახებს. ამის დასამტკიცებლად მან მწუხარე სახით ამცნო მსმენელებს, რომ ყველაზე ოჩიგინალური ქალაქი მსოფლიოში — ვენეცია — ალბათ სულ მალე აღიგვება პირისაგან მიწისა („ან უფრო სწორედ — წყლისა“, — ნალვლიანად იხუმრა მან), რადგანაც ზღვის ულმობელ სინესტეს წლების მანძილზე სრულიად გაუერინთავს და კატასტროფის პირიამდე მიუყვანი მშვენიერ ნაეგბობათა კედლები, ხოლ სახელმწიფოს კი „არ გააჩნია“ ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჰირო სახსრები.

— ...და ეს იმ ღრუს, — მჩინხანედ დასძინა მან და მაგიდაზე მუშტი დაარტყა, — როცა შეიარაღებაზე ფანტასტიკური თანხები იხარჯება! განა ეს იდი-

ოტიზმამდე მისული უაზრობა არ არის, ბატონებორ?

ამ ყვირილისა და ხმაურისაგან შეშინებულმა დიასხლისმა გაუბედევად გამოიხედა სამზარეულოდან, მაგრამ მაღვე დამშვიდდა და ისევ მიიმალა, რადგან ბრუნო მეორე წუთში უკვე სრულიად წყნარად ლაპარაკობდა იმაზე, რომ მონაბობა ემუქრება თურმე იტალიური კულტურის კადევ ერთ, ვენეციაზე უფრო საოცარ მატერიალურ ძეგლს — პიზის ცნობილ დახრილ კოშქს, რომელიც თანხიანი გრუნტის გამო ღერძის ხაზიდან სულ უფრო და უფრო მეტად იხრება და როცა მისი სიმძიმის ცენტრის პროექცია გამცდება ფუძის ფარგლებს (— ეს, რა თქმა უნდა, ყველაზ იცით! — მასწავლებელივით წინასწარ აღნიშნა ბრუნომ), კოშქი აუცილებლად წაიქცევა, და, ცხადია, დაინგრევა კიდეცობიექტურობა მოითხოვს (იტალიის მთავრობისათვის ამჯერად უკვე სასახლოდ) ითქვას, რომ მას, მთავრობას, კოშქის გადასაჩენა პროექტების საერთაშორისო კონკურსიც კი გამოუტაცებია. მაგრამ რადგანაც ამ ლონისძიებამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ ან გამარჯვებულის გამოვლინებლად ჩაიარა, ამიტომ ახლა, როგორც ღიმილით დასძინა ბრუნომ, მთელი იმედები გეოლოგებზეა დამყარებული.

საღილის შემდეგ, რომელმაც ასეთ საინტერესო საუბარში ჩაიარა, ბრუნომ ისევ გაუმეორა მასაც დიდ ნუგზარს. იგი უკვე შედარებით უკეთ გრძნობდა თავს და ლოგინში წამოვლომაც კი მოეხერხებინა. მეორე მასაცის წყალობით კიდევ უფრო გაყოჩადებულმა, სხვების დაუშმარებლად დაიდგა მუხლებზე თავისი პატარა რადიო და ფეხბურთის მატის ტრანსლაციის მოსამდენობაზე დავის ლოგინთან იტალიელიც მიიძატება. მან არც ამჯერად გაამეორებინა ნუგზარს მიწვევა, მის ფეხებთან წამოსკუპდა და ჩიბჭების გაბოლებასც არ მოერიდა.

თამაშის დაწყებიდან ხუთიოდე წუთის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ღიმიტორი ქართულად-ლაპარაკობდა და ბრუნოს, ცხადია, ერთი სიტყვაც არ ეს-

მოდა, იგი ისე განიცდიდა მართლაც დრამატულად წარმართული სპორტული ბრძოლის ცალეულ პერიოდზე მუშავდება რომ კიდევ ერთი ტამა და მასი ხეირი წვერიდან თავის ადგილზე აღმართ ერთი ლერიც არ დარჩებოდა. როცა დამთავრდა მატი, იგი ღიღიბისას, დიდნანს ართმევდა ხელს ყველას სათითაოდ და ულოუკვდა „ქართველი ფეხბურთელების ბრწყინვალე გამარჯვებას“.

ანგარიში მართლაც კარგი იყო — 6:4, და დიდი ნუგზარი საშინალად ნანობდა, რომ არამთუ ხტუნაობისა და ყვირილის თავი არა ჰქონდა თავისი სისახულის გამოსახატავად, არამედ ხმის ამოღებაცა და სიცილიც კი აღარ შეეძლო, ისე მოქანცულიყო შინაგანი ფიზიკური ტკივილისაგან, რომელსაც ყოველი გოლის გატანისას განიცდიდა. მას მაღვ ჩაეძინა, ყველანი თითისწვერებზე შემდგარნი გაირითენენ ოთახიდან და ზღვაზე წავიდნენ.

ბრუნო უკვე საბოლოოდ დაეპატრონა გურამის ფარფლებსა და ნიღბას და ღრისს უმეტეს ნაწილს წყალევეშ ატარებდა. დანარჩენებმაც ჩვეულებისაძებრი იჯერეს გული ცურვით — ელენემაც კი გაბედა მცრა ხნით ხმელეთის დატოვება და პატარა ბავშვივით იჭყუმპალავა წყალში. ყველა კმაყოფილი დარჩებოდა, თუ არა მაია, რომელსაც აქ საერთოდ არ სწყალობდა რაღაც ბედი. ჯერ ხმი იყო და სურდომ გაწვალა; მერე ჩაქუჩის დატყმამ დაუბეჭა თითი, რომელიც აქამდე სტკიოდა; ახლა კიდევ სრულიად შეუმჩნევლად ზომაზე მეტად დასწორდა მზისაგან ცალი მხარი და მოულოდნელად ვებერთელა, გამჭვირვალე ღულუდობი დაასხდა ზედ.

— ა ახლა კი მართლა ლაზარეთს დაემსგავსება ჩვენი პანიონატი, — სცადა მან ხუმრობა, როცა პირველად იგრძნო მწვავე ტკივილი და მიხვდა, რომ კარგა ხნით იყო მწყობრიდან გამოსული, მაგრამ მისმა გაბზარულმა ხმამ და უნებურად აცრემლებულმა თვალებმა მიახვედრეს გურამი, რადც უღირდა მაიას ეს ხუმრობა.

მართლაც უცნაური და ნერვების მომზღველი იყო მისი ასეთი „უბედობა“, რის წინააღმდეგაც მჯერად ბრუნოს მედიცინური ნიჭიერებაც კი უძლური აღმოჩნდა და, ყოველშემთხვევაში, სწრაფად ვერაფერს გახდებოდა. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში საჭირო იყო დრო და კიდევ „მეავე აძე“, როგორც უშოდებდა იტალიელი მაწონს და რაც აქ არც ისე აღვილი საშოვნელი იყო.

დამწუხერებულნი დაპატუნდნენ ზღვიდან პანსიონატში, სადაც ნანამ მაიას პირველი დაზამარება აღმოუჩინა.

— მოკლედ, ნამდვილი მოწყალების და გავხდი, — იცინოდა იგი, როცა მაიას დამწუხარ მხარზე ლდეკოლონს უსვამდა. გურამს მოეჩენა, რომ ამ სიცილში თითქოს კმაყოფილებას ავით რაღაც იგრძნობოდა.

საღამოხანს, სავაჭმოდ წასვლის წის ბრუნომ გაახსნა მასპინძლებს, რომ სანატორიუმში კვლავ ცეკვები იმართებოდა და სთხოვა მათ დასწრებოდნენ საღამოს. ოთახებიდან ორი ადამიანის ჩუმი კვენესა მოისმოდა და ბრუნოს ეს თხოვნა გურამს ძალიან უადგილოდ მოეჩენა; იგი ისედაც არ აპარებდა ცეკვებისათვის დაეთმო ეს საღამო და ამიტომაც ყური მოიყრა, მაგრამ მისთვის მოულონელად ელენე ბრუნოს თხოვნას თანხმობით უპასუხა და დაპირდა მას. რომ ყველა კარგადმყოფი აუცილებლად მივიღოდა სანატორიუმში. ბრუნო გახარებული დაემშვიდობა მათ.

სავაჭმოდ დიდი ნუგზარიცა და მაიაც წამოდგენტ ლოგინებიდან და ტკივილებისაგან სახელმიანებულნი ერთმანეთის დაცინვით ირთობდნენ თავსაცა და სხვა-საც ართობდნენ. თუმცა თვითონ ეს გართობა ძვირად უჯდებობლათ, განსაკუთრებით კი გაშეშებული კისრის პატრონს, რომელსაც ბრუნოს მასაუების მიუხედავად. ყველი გაცინების შემდეგ სუნთქვაშეკრულს, თვალშე ცრემლი აღგებოდა და დიდი ხნით ექარგებოდა ხუმრობის ხალისი.

გახშირს შემდეგ ვაღმყოფნი კვლავ ლოგინებს დაუბრუნდნენ, ხოლო ელე-

ნებ ცეკვებზე წასასვლელად დოკუმენტის მზადება და ძალიან გაუკვირდა, როცა შენიშვნა, რომ ამ საქმით მარტივულობის იყო გართული.

— ტკვენ რატომ არ ემზადებიტ? — შეკითხა იგი დანარჩენებს, — არ მოდიანტ?

გიორგიმ და გურამმა უარით უპასუხეს, ნანამ კი თვალი ჩაუკრა და ქმრის გასაგონად ხმამაღლა აბუზლუნდა:

— მე კი წამოვიდოდი, ნუგზარი რომ გამომიშევბდეს... — მერე უცცრად გაახსენდა წუხანდელი ამბავი და უკვე მტკიცე ხმით გამოაცხადა:

— არაფერიც! მოვდივარ, ელენე, მომცადე! — და ოთახში შევიდა.

— სად მიღიხარ, ქალო, ხომ არ გადაირი? — მოისმა იქიდან ნუგზარის სუსტი ხმა, მაგრამ ნანამ ბოლო სიტყვის დამთავრებაც კი არ აცალა და ხმამაღლა აყვირდა:

— ააა! არ მოგწონთ, ბატონო?!

ის კარგი იყო, გუშინ რომ მთელი დღე მახველინი და სისხლი გამიშრდება! ახლა ბრძანდებოდე ლოგინში! მე კი წავალ და მშვენიერ დროს გავატარებ!

ამავე ღროს, ნანა წუთსაც იღარ კარგავდა და გამალებულ ემზადებოდა წასასვლელად. მათ ითახიდან გამოსული შუქებით განათებულ ოთხკუთხედში, მიწაზე, როგორც ჩრდილების თეატრში, ისე მოჩანდა ყველივე, რაც ოთახში ხდებოდა. გურამი ხედავდა, როგორ გაიხადა ნანამ კაბა, როგორ გაისწორა მკერდი და ისევ გადაიცა ალბათ უკვე მეორე, გამოსასვლელი კაბა, მერე თმა გაიშალა და ვარცხნას შეუძღა.

— ფეხბურთი სხვაა, ცეკვები — სულ სხვა... — ისევ სცადა ნუგზარმა წინააღმდეგობის გაშევა, მაგრამ ხმაზე ემჩნეოდა, მალე ღაყრიდა ფარხმალს, და ეს მართლაც ასე მოხდა.

— ჩემოვის ფეხბურთი ცეკვებია, გაიგე?!

— ნიშნის მოგებით მოუცრა ნანამ.

ეს უკვე გამარჯვება იყო.

— მარტონი ხომ არ წახვალთ?!

მოიკენესა ნუგზარმა, — ბიჭები მაინც  
შეიყვანეთ.

— არ მოდიან და ძალით ხომ არ წავი-  
ცვანთ, — დამტინავად უპასუხა მას ნა-  
ნამ და გურამი მისებდა, რომ ეს დაცინვა  
პირადად მას ეხებოდა.

უეცრად ბრაზი მოაწვა ყელში, თავი-  
სი ჩეცული ხერხით — თვალების დახუჭ-  
ვით სცადა დაშვიდება, მავრამ არაფრი გამოვიდა, და როცა ჯერ ელენემ, მერე  
კი ნუგზარმაც, სთხოვეს მას — წაჟო-  
ლოდა ქალებს, გურამს კრინტიც არ და-  
უძრავს, ისე შევიღა ოთახში და ჩაკმას  
შეუდა.

— დამშვიდდი! — უთხრა ნანამ  
ქმარს, — გურამი მოდის!

— აი, იკოდე! — გურამის გასაგონად  
უპასუხა ნუგზარმა ნანას, — შენს თავს  
გურამს ვაძირებ, შეკვიანად იყავი!

ელენემ გოორგისაც გაუმეორა იგივე  
თხოვნა, რაც გურამს, მავრამ გოორგი  
ჯორზე შეკდა და ოლარ ჩამოდიოდა. წა-  
ვიდნენ სამნი: ელენე, ნანა და გურამი.

უჩეცულოდ ვამოწყობილი ელენე  
(ერთი ისეთი კაბა, რომელიც ცეკვების  
სალამოს შეეფეხებოდა, მას მაინც აღმო-  
აჩნდა თავის პატარა ჩემოდანში), თუმ-  
ცა კი ცდილობდა თავის შეკაებას, მავ-  
რამ უნებურად მაინც ისე ჩემობდა.  
რომ ნანა და გურამი ძლიერს ეწეოდნენ  
და ოდნავ ჩამორჩენილები მისდევდნენ  
უკან.

როცა უკვე უახლოვდებოდნენ საცეკ-  
ვაო მოდანს, ნანამ აღერსიანად წაავ-  
ლო გურამს ხელი მკლავში და შიგ ყუ-  
რში უჩურჩულა:

— ბატონი მწერალი რატომლაც ცუდ  
გურებაზეა? ჩემი ბრალი ხომ არ არის?

გურამს ალარ გვკირზებია ამ ჭკვიანი  
ქალის გამშრიახობა, მავრამ მაინც არ  
იცოდა რა ეპასუხნა და ალბათ სულე-  
ლურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა,  
სახეგამარტყინებული ბრუნო რომ არ მი-  
კრილიყო იმ წუთში მათთან და, ხელებ-  
გაშლილი, „გრაცია, გრაცია, სენიო-  
რე!“—ს ძახილით არ შეჰვებებოდა. თუმ-  
ცა საბოლოოდ გურამი მაინც ვერ გაეჭ-  
ცა ამ პირდაპირ დასმულ შეკითხვაზე

გულახდილი პასუხის გაცემის აუცრლებელი  
ლობას და, ის ორად-ორი ცეკვა, ჩამომახუ-  
ლიც დასცალდათ, ნანამა და მან ჩემუკიც და  
მოუკიბავ საუბარს მოანდომეს.

ელენე მათგან მოშორებით ცეკვავდა  
ბრუნისთან და აღტაცებული ლიმილით  
უსმენდა თავის არცთ ისე სიტყვაძვირ  
იტალიელ თაყვანისმცემელს, რომელ-  
საც პირზი გაჩრილი ჩამერალი ჩიბუხიც  
კი არ უშლილა ლაპარაკს; ნანას და გუ-  
რამის ახლომახლოს კი მხოლოდ უცხო-  
ელთა წყვილები ტრიალებდნენ ნელი და  
მელოდიური ტანგოს სასიამოვნო, მშვიდ  
ტაქტს ყოლილნი, ისე რომ მათ გულახ-  
დილობას არაფრი გარეშე ხელს არ უშ-  
ლიდა.

საუბრის დაწყება ითავა ნანამ და გუ-  
რამის მიერ ნანასგან პირველად გავონი-  
ლმა ჩეცულებრივმა მომართვამ თავიდა-  
ნევ გარკვეული მიმართულება მისცა მათ  
საუბარს.

— გურამ! — უთხრა მან გურამს ისე-  
თი ხმით, როგორითაც ბაშვებს ეფერე-  
ბიან, — მე გვითხე და პასუხი არ მიმი-  
ლია: რატომ ხარ ასე დაღვრემილი? —  
და თვალი თვალში გაუყარა.

— რატომ უნდა ვიყო მხიარულად? —  
უპასუხა გურამმა, რომელსაც უკვე აღარ  
უშეირდა ნანას თვალებში ცეკვა.

— შენ თუ მაგას ამბობ, სხვას რაღა  
ეკმის? — აღერსიანი ლიმილით დაიწ-  
ყო ნანამ, — შენ ჭკვიანი, ლამზი, ღონი-  
ური კაცი ხარ. შენ იცი რისი გაკეთებაც  
გინდა და იმას აეთებ. შენ ყველას უყ-  
ვახსარ... ყველას... მეც მიყვარხარ! —  
თქვა უცდათ ჩურჩულით და მერე ისევ  
ხმამაღლა განაგრძო: — ალბათ უკვე მი-  
სვდი ამას, მავრამ არ იმჩნევ. ესეც შენს  
კეთილშობილებაზე მეტყველებს! შენ  
უყვარხსარ იმასაც, ვინც გიყვარს! რაღა  
გინდა მეტი?..

გურამი გაბრუებული უსმენდა და  
რაც უფრო იღელევებული ლაპარაკობდა  
ნანა, მით უფრო მშვიდებოდა გურამი,  
მისი გონება უფრო და უფრო საღად იწ-  
ყებდა აზროვნებას.

— მეტი რაღა უნდა მინდოდეს, მაგ-  
რამ... — ჩაიცინა მან, როცა ნანამ კიდევ

რაღაცის თქმა დაპირა, — შენ ეს ყველაფერი გეჩენება, ნანა! მე არც ლამაზი ვარ, არც ჰქვიანი, არც ლონიერი. მე ბევრად მეტის გაკეთება მინდა, ვიდრე გაკეთებ. მე ყველას არ ვუყვარვარ, მაგრამ ეს არ მაღარებს, ეს ასეც უნდა იყოს. ვთქვათ, ის ყველაფერი, რაც შენ მითხარი, მართალია. ეს მაინც არ არის საქართვისი იმისათვის, რომ კაცი ბედნიერი იყოს. მე რომ შენი ნათქვამი გვიმეორო, გამომიგა სულ „მე! მე! მე!“.. ჰო, მე! მაგრამ ჩემს გარდა ხომ სხვაც არის შეეყანაზე?! რას უზამს კაცს მხოლოდ თავისი ბედნიერება, თუ გარშემო თუნდაც სულ რამდენიმე უბედური ადამიანი ეგულება?! ძალიანა გთხოვ, ეს ცარიელ სიტყვებად არ მიიღო! სიტყვები ხშირად ყალბია და მაღალფარდოვანი, მაგრამ ახლა, გიფიცები ყველაფერს, რაც ჩემთვის წმინდა, მხოლოდ იმას გუბნები, რასაც მართლა ვფიქრობ, რაც მართლა მჯერი!.. — ეს თხოვნა გურამს უნებურად წამოსცდა და არ იყო საჭირო, რადგან ნანას უნდობლობისა არაფერი ეტყობოდა. — ჰო, ია მე ლამაზი ვარ! — განაგრძო მან, — მე ვაკეთებ სწორედ იმას, რაც მინდა! მე მთელი დღე შესანიშნავად გავარარე, ვიცინე, გავერთე, ვიცურავე! მე მიყვანს ვიღაც და, როგორც შენ მარწმუნებ, მასაც ვუყვარვარ, ახლა კი, ამ წუთას, მე ვცევავ ძალიან ლამაზ და მიზიდველ ქალთან, რომელთანაც ასეთ სიახლოვეზე ბევრი ალბათ ოცნებასაც კი ვერ გაბედავს და რომელსაც, ისევე როგორც ყველას, თურმე მე ვუყვარვარ, მაგრამ... მთელ ამ ზღაპრულ სიამოვნებას სრულიად მითუჭებს მხოლოდ გაფიქრება იმისა, რომ ჩემს გვერდით არის კაცი, რომელსაც... — გურამა ნერწყვი გადაყლაპა და მოიკიბა გამბედაობა, რომელმაც კინალამ უდალატა. — რომელსაც რა? — მოუთმენლად ჰკითხა ნანამ.

— ...დალატობს ცოლი! — დაამთავრა გურამა და თავისუფლად ამოისუნთქა. ნანაც მას ხელი შეუშვა. მუსიკა შეწყდა. ძნელი იყო იმის დადგენა, თუ რომელმა დაასწრო რომელს.

— წავიდეთ! — თქვა ნანამ, ძნელად, თითქოს არაფერი მომხდება როგორც ხლომ გამაცილება?

— რა თქმა უნდა! — მშვიდადვე უპასუხა გურამმა. — ელენეს არ ვუთხრათ, რომ მივდივართ?

— არ არის საჭირო, — უპასუხა ნანამ და გაცინებაც კი მოახერხა, — ელენეს კარგად ექვს საქმე.

მათ ნელ-ნელა ჩამოიარეს ქვის კიბის მაღალი საფეხურები და შოსეზე გავიღნენ. მოწმენდილი და ვარსკვლავებით მოჭედილი მუქი ცა მდუმარედ დაცუურებდა მათ თავზე. ლილი, საცსე მოვარე საღალაც შორის, წყნარ ზღვაში ჩაძირულიყო და „ნაუტილუსივით“, ფანტასტიკური შუქით ანთაბდ ჩაბნელებულ წყალს. ისინი ჩუმად მიცყვებოდნენ გზას და ღამის ნიავი სასიამოვნოდ უგრილებდა გურამს გახურებულ შუბლს, გულს კი თანდათან უვსებდა ისეთი იშვიათი ძალის კმაყოფილება, როგორიც აქმდე ჭერ არასოდეს განუცდია. იგი მოელოდა, რომ ბოლომდე ასე ჩუმად ივლიდნენ. რადგან თვითონ მას სათქმელი აღარაფერი დარჩენდა, ნანა კი, არ ეგონა როდისმე მაინც თუ გასცემდა ხმას. მაგრამ მან შუაზაში რაღაც უცნაურად ჩაიცინა, წინ გადაუდა გურამს და ჩუმი, გაბზარული ხმით უთხრა:

— ია, რას გეტყვი, გურამ! მე ალბათ არავის, არავის მთელ მევყანაზე არ ვაპატივებდი იმ სიტყვებს, რაც შენგან მოვიშინე. მე მინდა იცოდე, რომ არასოროს მიღალატია ნუგზარისათვის, თუმცა ის უკეთესს არაფერს იმსახურებს. მინდა იცოდე ისიც, რომ მე იგი არ მიყვარს, არც არასოდეს მყენებია, მხოლოდ მეგონა, რომ... — ნანას ცრემლი მოადგა თვალებზე და ისედაც არამტკიცე ხმა საბოლოოდ აუკანკალდა.

— კი მაგრამ, რატომ? — სცადა გურამა მისი დამშვიდება, — მას ხომ შენ გაგიუებით უყვარხარ?! ყველაფერს ვისრულებს, გეფერება...

— არ მინდა! — ძლიეს წამოილულულა მან, გურამს თავი მკერლზე მიაყ

რაღონდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ატირდა, — მე მაინც შენ მიყვარხარ...

— ესეც გეჩევენება! — უხეშად მოუჭრა უზრამმა, რადგანაც გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ასეთი ტონით თუ მოულებდა ბოლოს ამ მძიმე საუბარს, — როც არ გეჩევენებოდეს, უნდა თავი შეიკავო! ხომ იცი რომ მე... თვითონ არ მითხარი? გინდაც მიყვარდე, მაინც ასე მოვიქცეოდი! რა ვენა? სხვანარად არ შემიძლია! აა ასე! მორჩა! — ამ სიტყვებით მან ლონიგრად მიატრიალა წინისავენ ნანა. იგი აღარ ტიროდა, მხოლოდ ნერვიულად ისრესდა ხელის გულით შუბლს, ცოტა ხნის შემდეგ კი გურამს სიგარეტი სთხოვა, გამოართვა და ხარბად გააბოლა.

იმ საღამოს შემდეგ მათ ამ თემაზე აღარასდეს ულაპარაკნიათ და ყოველივე, ცხადია, მათ შორის დარჩა. ნანასა და ნუგზარის ოჯახურ ურთიერთობებში გარეგნულად თთქმის არავითარი ცვლილებები არ შეიმჩნეოდა და რადგანაც ამ „თთქმის“-ში, თუმც ძალიან მცირე, მაგრამ მაინც. უკეთისობა იგულისხმებოდა, გურამი ბეღნიერად გრძნობდა თავს, აღამიანებისათვის თვალის გასწორება რაღაც ძალიან, ძალიან უცნაურსა და სრულიად ახალი სახის სიხარულს ან-იქნებდა.

## VIII

ორშაბათ საღამოს სამუშაოდან დაბრუნებულებს ავადყოფების გარდა შინ პატარა ნუგზარიც დახვდათ. იგი ის-ის იყო ჩამოსულიყო ქალაქიდან, ტანსაცმლის გამოუცვლელად იჯდა დიდი ნუგზარის საწოლზე და ლოთიერით ხმაჩახლებილი უამბობდა მას წარსული მატჩის ეპიზოდებს. ნანაც სხვებშე აღრე შეამჩნია, რომ ჩახლებილი ხმის გარდა პატარა ნუგზარს კიდევ ერთი უსიამოვნო რამ შეუძრინა ქალაქში და გაკვირვებულმა ჰქითხა მას:

— ეს რაღა არის, ბიჭო? ასე რამ ჩაგილურება თვალი?

როგორც უხალისოდ გაცემული პასუნიდან გამოირკვა, ეს სილურჯე თამაშის

შემდეგ ფეხბურთის თერიტორიაზე საკუთხების გამო ატეხილი „კამათის“ შედეგი გამოიყიდა.

— კა ნიშანი კი დაუდვია შენთვის იმ ვიღაც დალოცვილს! — ისუმრა დიდმა ნუგზარმა და გაცონების ნაცვლად სახე საცოლავად დაელრიგა.

— ნუ გეშინი! — წაიყოლოჩინა პატარა ნუგზარმა, — ეს მალე გამივლის, მაგრამ იმ ტიპის ჩამტკრეულ კბილებს კი რაღა ეშველება!

— ჰო! — ამოიხრა გიორგიმ, — ჩამტკრეული კბილები და ჩალურჯებული თვალი, იმ დროს, როცა ჩერებში ისე ჩინებულად ითამაშეს! წარმომიღენია, რა იქნებოდა წაგების შემთხვევაში!

— გეკოფატ! — წამოიძახა ელენემ. — არ დაიცხოტ ახლაც იმდევნებადილივიტ!

ამ შეძახილმა მართლაც ბოლო მოუღო უკვე დაწყებულ დეარძლიან საუბარს. თვალზე ხელაფარებულმა პატარა ნუგზარმა უმშპ დანაჩერებს, რომ ქალაქში თურმე საშინელი სიცხე ყოფილა, რომ მის ერთ-ერთ მეზობელს ლატარით მანქანა მოუგია, ოღონდ — საკერავი, და რომ მისი სახლის პირდაპირ მდებარე კაოლიკური ქალებისის სამრეკლოს ახალი ზარები შემცტებია, რის გამოც კვირაობით შინ დარჩენა ყოვლად შეუძლებელი გამხდარა.



გვიდა კიდევ რამდენიმე დღე, კიდრე ავადყოფები საბოლოოდ გამოგანმრთელდებოდნენ, რაშიც გადამწვეტი როლი ითამაშა იტალიელმა ბრუნო სკიავიმ. მისმა გულთბილმა ყურადღებამ ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. გარდა იმისა, რომ ელენეს მხარდამხარ მთელი დღის მუშაობით დაღლილი, იგი ყოველ საღამოს ნახულობდა დიდ ნუგზარს და სამხრეთული სისხლისათვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით განაგრძობდა მისი გაშემუშავებული კისრის მორჩალობას. არც ამას დასჭერდა და იშვიათად თუ მოვიდოდა ისე. რომ მაისათვის არ მოეტან „მუავე ჩიძით“ სავსე ჭიქა. რომელსაც ვახშმის დროს იგი თურმე მოხერხე-

ბულად ჰპარავდა... თავისსავე თავს. მისი ასეთი საქციელის შემდეგ ელენე საჭიროდ აღარ თვლიდა უცხო თვალთაგან თავისი გრძნობებისა და განცდების დაფარვას და სახეგაბრწყინებული წამოხტებოდა ხოლმე ზეზე, როცა ეზოს კარის ჭრიალსა და იტალიელის მხიარულ ხმას გაიგონებდა.

ბრუნოს გადამდებმა სიცილმა, რომლის დროსაც იგი ისე კრიჭუდა კრილებს, თითქოს პირში გაჩრილი ჩიბუხის გაენეტს ლამობსო, მისმა მოხიბლავმა უშუალობამ და ოპტიმიზმა, საგრძნობლად დააჩქარა ევალმყოფთა განკურნება და, ალბათ უფრო მეტიც კი გაკეთა მძიმესთვის, ვიდრე თვით მასაებმა და „მეავე რეგე“.

ასე იყო თუ ისე, მზეზე დამწვარ მხართად მაისს დაბეჭილი თითოც კი მოუჩია, ხოლო დიდ ნუგზარს, მას შემდეგ, რაც ყველგვარი ტკივილი უკალოდ გაუქრა, სხვა ალარა დარჩენლი რა, გარდა იმისა, რომ თავისი დაპირება გახსნებოდა და ერთ მშენეოებ დღეს (თუმცა არც მოლად „მშენეოებ“, რადვან იმ დღეს ისევ გაწვიმდა და მათ სამშაოს მიტოვება მოუხდათ), შემპანურის ბოთლებით დატვირთულმა შემოაღწის კარი.

ძალიან გემრიელი იყო საღილი სიგრილეში და სუფთა ჰაერზე. ლელვის ხის ხშირი ფოთლები საიმედოდ იცავდა კაცს წევისაგან. კვლივ მაღისიანიშვრელად შუშეზენბებდა ფინჯნებში შამპანური და აღტაცებულმა ბრუნომ, რომელმაც, რა თქმა უნდა, არ გამოტოვა ეს საზეიმო საღილი, და უფრო მეტიც — თამაღობაც კი იგდო ხელი — ფეხზე წამომდგარმა ხმამაღლა წარმოოქვა საღლეგრძელი იმ „მშენეოები მიწა-წყლისა, რომლის სტუმარიც იყო იგი“, და იმ „გულგახსნილი“. მისთვის ეგზომ „მშობლიური ბუნების ხალხისა, რომელიც ასე გულისამაჩუყიბელი ყურადღებით მას-ზინდლობდა“ მას.

მასპინძლებიც, ცხადია, ვალში არ დარჩებოდნენ და იტალიის ქება-დიდებას ბოლო არ ჰქონდა. ამით მართლაც ცრე-

მლებამდე გულაჩუყებულმა სტუმარმა ხელმეორედ ადღეგრძელა საქართველო. მან აღნიშანა, რომ თუმც იტალიულების ხშირად საყვედურობენ სიტყვამრავლბასა და მოჟარბებულ ემოციურობას, მაგრამ ამგერად იგი დაზღვეული ყოფილა ამ საშიროებისაგან, რადგან, როცა საქართვების გამოთქმას ასეთ შესანიშნავ ქვეყანაზე და ასეთ შესანიშნავ ხალზზე (მან კიდევ უფრო მძლავ ასწიო მარჯვენა ხელი, რომელშიც შემპანური საგეს ფინჯნი ეჭირა, მარცხენით კი დადი წრე შემოხაზა ჰაერში) ძელი ყოფილ გადაბაზება. მის აღტაცებას საზოგადი აღარ ჰქონდა, როცა მათი ყველა-სათვის მოულოდნელად მოიმარჯვა გრიარა და თვითი საამო ხმით იმღერა ერთ-ერთი ტკბილი იტალიური რომანი.

— ბრავო! ბრავო! — ისე ხმამაღლა აყვირდა ბრუნო, როცა მაისს ჯერ არც კი დაემთავრებინა სიმღერა, თითქოს „ლა-სკალას“ ქანდარაზე მჯდარიყონ და არა აქ. პატარა მავიდასთან, ლელვის ხის სკელი ფოთლების ქვეშ. იგი, ისევე, როგორც დანარჩენები, არავითარ ყურადღებას არ აქციებდა ფოთლებიდან ღროდაღრო ჩამოვარდნილ მსხვილ და ციც წვეთებს, რომლებიც ხან ცხვირზე ეცემოდნენ კაცს ტკაპუნით, ხან კი კისერზე და მერე წელამდე ჩაიღვრებოდნენ ხოლმე.

უკვე მოსალამოებულიყო, რატომ-ლაც დენი გამოერთოთ. დიასახლისმა სამზარეულოდან სამი სანთლელი გამოიტანა. იტალიელი ამ ამბავსაც აღტაცებული შეხვდა, სანთლების პატარა ლამბა-ქებზე დამაგრება და დანობება თვითონ ითვა და ეს უბრალო და მეტისმეტად იოლი საქმე რალაც რთულ საზეიმო რიტუალად გაღაერცია.

სანთლების ციმციმა სინათლეზე მარგალიტებად აბრწყინებულმა წვეიმის წვეობმა, რომლებიც აქა-იქ ეკიდნენ ფოთლებზე, ორიონსავით აგუაზენებული ზღვის შორეულმა ხმებმა და მაისს მომხიბლავმა სიმღერამ ბრუნო საბოლოოდ გამოიყანა წონასწორობიდან და იგი მალე დათვრა. კვლივ ფეხზე წამომდგარმა,

မან გამოაცხადა, რომ ქართველი ქალები ულამაზესნი ყოფილან მსოფლიოში, და არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც, რასაც თურმე მისთვის ბევრად მეტი მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს. ამის შემდეგ იტალიელმა ბარბაცით შემოუარა მაგიდას, სათითაოდ და ძალიან ცერემონიულად დაუკოცნა ქალებს ხელები და ბოლოს, ეშმაკური ღიმილით გამოტყდა, რომ ბოლო ხანებში მას თურმე სრულიად დაპქარვია ინტერესი ყოველგვარი მეცნიერული პრობლემისადმი, გარდა... გარდა ზოგიერთი გეოლოგიური საკითხებისა, კერძოდ კი — კეთილი იმედის კონცხის წარმოშობისა და განვითარების ფრიად შევბენელი წყვდიადით მოცული გეოლოგიური ისტორიისა.

ელენე ამავდა ცდილობდა ბედნიერი ღიმილის შეკავებას და იძულებული გახდა დიდი ნუგზარის განიერი ჩრდილისათვის შეეფარებინა თავი.

ცოტა ხნის შემდეგ ბრუნომ დიდი მოწიწებით ჩამოართვა მაიას გიტარა და არც ისე ცუდად იმღერა მსმენელთათვის უცნობი, მშენიერი იტალიური სერენადა. მოჭარბებული გრძნობებისაგან თვალდაჭული, სიმღერის დროს იგი ხან ცალ მუხლზე ჩაიჩინებდა, ხან სკამზე შეხტებოდა და თან სასაცილოდ აცანცარებდა თვის წვეტიან წვერს. გურაში დაინტერესებული აყვირდებოდა მა „იტალიურ“ სიმთვრალეს, რის შემდეგაც მას დაასკვნა, რომ ალკომლი თურმე ერთნაირად მოქმედებს ყველაზე.

— უხერხსული! — თავშეკავებული ღიმილით თქვა გიორგიმ, — როგორ დათვრა!

— უხერხსული ის იქნებოდა, რომ ვერ დამთვრალიყო! — შეეკამათა მას დიდი ნუგზარი.

— მართალია! — დაეთანხმა მას პატარა ნუგზარიც და მერე, რატომლაც, ისეგთვისი ქველი გართობა გაიხსენა.

მან სწრაფად გასცალა ჭურჭლისაგან მაგიდის ერთი კუთხე, გაოცებული ბრუნო თითქმის ძალით დასცა თვის პირდაპირ და ვიდრე იგი გონს მოსვლას მოას-

წრებდა, ლონიერად დაეჭიდა მის ჟელს და სწრაფად გადაუწია მელავი.

ეს დამარცხება იტალიელმა ჟაჟოშელება უსამართლობად ჩათვალა, კატეგორიულად გააპროტესტა და, რადგან დანარჩენებმაც მხარი დაუჭირეს, შეკიბრება გაგრძელდა. აღებულმა რევანშმა ცოტა დაამშვიდა იგი, მაგრამ სამაგიეროდ სრულიად საწინააღმდეგოდ იმოქმედა პატარა ნუგზარზე. სულ მალე მაგიდა უკვე საეჭვოდ ჭრაჭუნობდა გაწიწმიატებულ მოწინააღმდეგთა დაწითლებული იდაყვების ქვეშ და საჭირო გახდა მათი გაშველება.

— უხერხსული! — ამბობდა ისევ გორგო, — რაც არ უნდა იყოს, უკინა და რას იფიქრებას?

— მან უკვე უკელაფერი თქვა, რასაც ფიქრობდა, — სიცილით დამშვიდა იგი გურამმა.

ჭიდილმა საგრძნობლად გამოაფხიზა სტუმარი და იგი კვლავ ლაპარაკის გუნებაზე დადგა. მან თქვა, რომ დირი, დიდი ხანია, რაც ასე მხიარულად არ გაუტარებია ღრია და რომ მას ალბათ არასოდეს დავიწყება ეს ზღაბრული საღამო. თუმცა, იმედი აქვს, რომ ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს და არა მატრი აქ, ამ მშენიერი ხის ქვეშ, არც მხოლოდ იქ, იმ ლამაზ კონცხზე, არამედ „იქაც“, იტალიაში, მის მშობლიურ ჩომში!

— მაგაზე ადვილი რა არის?! — წამოიძახა დიდმა ნუგზარმა, — ტურისტული საგზური და მაგის ჭანი! არა, ნანა? ა ჩეენ ნახევარი ევროპა შემოვიარეთ, პოლონეთში ვიყავით; უნგრეთშიც, იუგო-ლავიაშიც, მოკლედ იტალიად დაგვრჩია, ხა-ხა-ხა! ახლა იქაც გვეპატიუებიან, რა გვენდლვლება!

გურამმა ის-ის იყო დაპირა შექამათებოდა ნუგზარს, დააპირა ეთქვა, რომ იტალია ღირსი არ იყო ისეთი ზერელე და ფორმალური ყურადღებისა, როგორსაც ჩვეულებრივ ტურისტები იჩენენ თვავანთი მარშრუტის მიმართ, მაგრამ ბრუნომ დაასწრო და ხმამალა წამოიძახა:

— о, არა! არა! ოღონდ არა ტურისტული საგზურით! განა დასაშევბია, რომ რაღაც ორიოდე კვირაში ადამიანმა მონახულოს რომიც, ნეაპოლიც, კენეტიაცა და მილანიც, თავიანთი ურიკები ღირს-შესანიშავი ძეგლითა და მუზეუმით? უმოციური დატვირთვის ასეთი ინტენსიურობა მხოლოდ და მხოლოდ დამღალავად თუ იმტვედებს ადამიანზე. არა! ოქვენ უნდა როგორმე ჩამოხვილეთ ჩემთან, როგორც სტუმრები. და დამეტეშუნეთ, ყოველივე ეს თქვენ არანაკლებ სასიამოვნო მოგონებებს დაგიტოვებთ, ვიღრე მე — სენიორიტა მიას მომხიბლავი სიმღერები და, საერთოდ, ეს ზღაპრული, სანთლებიანი სალამო!..

ნილა! — უქმაყოფილოდ ჩავილაპარაკე.

— ჰა-ჰა-ჰა! — გადაინარხარა ირი-  
ნემ, — არ იცი?

— არ?

— ზეინაბი გაფრინდა!

— გათხოვდა! — თვალები შევაფეო  
ალელვებულმა. ისეთი ფერი დამდებო-  
და, თურმე მიცვალებულს ვგავდი.

— სადა ხარ, ჭურში ხომ არა გძინავს!  
გაქვავებულივით ვიდექი.

— ვის გაჰყავა? — ძლივს მოვიბრუნე  
ენა.

— კი არ გაჰყავა, აწინაურებენ.

— სად! — ცოტა მომეშვა გულზე.

— კომკავშირის რაიკომში გადაჰყავთ.

— მართლა?

— გადაწყვეტილი ამბავია.

— როდის მოხდა ეს ამბავი?

— ახლა ხდება. დღეს კომკავშირის  
ცეკაშია გამომახებული მაგ საკითხე.

სიტყვის თქმა გამჭვირდა.

— ეე, კარგ მუშაქს ერთ აღილზე ვინ  
გააჩერებს! — დაიჩივლა მერქ.

ხდა არ ამომილია.

— მალხაზი რას იტყვის, ნეტა!   
მაკურად შემომხედა.

— ვინ მალხაზი!

— გამოწვის სამტროს უფროსი.

— რა უნდა თქვას.

— სატროო რომ მასთან არ იქნება.

— რა გამოცანებით მელაპარაკები, გა-  
მაგებინე რა ხდება? — ახლა კი მთლად  
ვფორმოქდი.

— გასაგებად არ ვლაპარაკობ, ხო არ  
დაგიხატავ! — იცინის ირინე, — ზე-ი-  
ნ-ა-ბი გა-და-ყავთ კომ-ქაში-რის რაი-  
კომ-ში. მალ-ხაშსა და ზე-ი-ნაბს ერთმა-  
ნეთი უყვართ! ახლა გაიგვე?

გავიროვებისაგან ტუჩები დამებრიცა.  
ნიკაპი ამიცაცახახდა.

— რაო, ცუდი წყვილია? — ისევ მო-  
ილერა ყელი.

— არა, პირიქით... მე კი არ ვიცო-  
დი! — მიოვილულულუ.

— შენ კი არა, ბევრმა არ იცის. ასეც  
არის საჭირო. „სიკუარულსა მალვა უნ-  
და“... — წაიღილინა.

გული ისე ამინდერდა, ასე მეგონა მის  
ხმაურს ყველა ისმენს-მეტე.

— რაო, გეწყინა? — შემომაცქერდა  
ირინე.

— არა, რა საწყინია, პირიქით... კაი  
გოგოა და ჩენთან ყოფილიყო! — უხე-  
რხულად ვთქვი.

— ნუ მალავ, გეწყინა, კი არა დაიღუ-  
პე კაცი და ეგ არი! რამდენიც გინდა იფ-  
იცო, თვალები გამხელენ მამლის ბოლო-  
სავით. ახლა ისეთი ფერი გადევს, დანა  
რომ გამოგისვან, წვეთი სისხლი არ გა-  
მოგივა... არაფერია. არ იდარღო... აქ  
იმაზე ნაკლები გოგოები არიან? გაიხედ-  
გამოიხედე!

საყვირმა ყველანი წამოგვშალა.

აგრეგატი ჩავშტერებოდი.

— გამოფხიზლდი, ავარია არ მოახდი-  
ნო! — გამაფრთხილა ირინემ.

## ჯანსუ ჯანელიძე

\* \* \*

ვიბადებით და ჩვენი თვალები  
წამსცე საყვარელ თვალებს ეძებენ,  
ვიბადებით და ჩვენი თვალები  
ეწალებიან მზეს და ენძელებს.

ვიბადებით და ჩვენი გულები  
უსიყვარულოდ წუთით ვერ ძლებენ,  
ვიბადებით და ჩვენი ხელები  
წამსცე საყვარელ ხელებს ეძებენ.

ვიბადებით და ჩვენი გულები  
იმახსოვრებენ ძვირფას სახელებს.  
ვიბადებით და ჩვენი ფიქრები  
უთვლელ სურვილს და მიზანს ამხელენ.

ვიბადებით და ჩვენი ტერფები,  
როგორც ფესვები, — მიწას ეძებენ,  
ვიბადებით და ჩვენი გულები  
უსიყვარულოდ წუთით ვერ ძლებენ.

სოხუმი.



# კონფლიქტი თეატრის გადასტურება

თეატრის კონფლიქტი

ნოდარ გურაბანიძე

თანამედროვე თეატრის სტილისა და ახალი თეატრალური ფორმების ძიების პროცესი ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მძაფრი პოლემიკის საგანია არა მარტო ჩევნში, არამედ საზღვარგარეთაც. ედინბურგის ტრადიციულ ფესტივალზე და თეატრალურ კონფერენციაზე, მსოფლიოს თეატრმცოდნეთა საკუთრივალურ ფორმზე ვენაში, წამოიჭრა თაგარის ესთეტიკის საჭიროობრივ საკითხები: „რა არის თანამედროვე დრამატურგია?“, „გინ ქმნის თეატრს — მსახიობი, დრამატურგი თუ რეჟისორი?“, „ნაციონალური თუ ინტერნაციონალური თეატრი?“, „თეატრის მომავალი!“

ყველა ეს საკითხი (რომელთაგან ზოგს საქმაოდ სქლად ადგევს წარსულის თეატრალური მტვერი, მაგ.: — „ვინ ქმნის თეატრს — მსახიობი, დრამატურგი თუ რეჟისორი?“) შეუძლებელია გადაიჭირას ერთი თეატრის ან ერთი ეროვნული დრამატურგის მაგალითზე. პრობლემა ფართო და მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვს. მაგრამ თეატრს, რომელსაც აქვს ბუნებრივი, გასაგები და გასამართლებელი პრეტენზია თანამედროვე თეატრალურ ძიებათა ავანგარდში ყოფნისა, ეს პრობლემები მეტნაკლები ინტენსივობით ეხება. ამას გარდა, გარკვეულ ეტაპ-

ზე მას აქვს საკუთარი, პირადი შინაგანი კონფლიქტები, ინტერესები, მიღრეკილებები, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელია „შემობრუნების“, „გარდატების“ პროცესის კეთილად დაგვირგვინება. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რომელიმ თეატრი, განსაკუთრებით ეროვნული თეატრები, თავისუფალი იყვნენ ან იქნებიან „რეევებისაგან“, „სასახლის კარის გადატრიალებისაგან“, ზოგჯერ „ჭიქულში“ ამტყდარი ქარიშხლისგანაც კი. ასევე შეცდომა იქნება (მეტი რომ არ ვთქვათ) ამ პროცესის დაკავშირება მხოლოდ თეატრალური ესთეტიკის სფეროსთან და მისი მოწყვეტა სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული პრობლემებისა და ტრადიციისაგან. ისეთი თეატრიც კი, როგორიც გახლავთ „აბსურდის თეატრი“, რომელიც ცდილობს ყოველგვარი თეატრალური ტრადიციის დარღვევას, ახალი თეატრალური ენის შექმნას და მთელ თავის მიზანს ორიგინალური თეატრალური ხერხის შექმნით შემოფარგლავს, ნებსით თუ უნებლიერ, მეტად შეიძროდ უკავშირდება მძლავრ პოლიტიკურ პროცესებს და ტენდენციებს.

ყველა თეატრი თავისი ლირსებებით და ნაკლოვანებებით საკუთარი ეპოქის

პირმშოა და თავის წიაღში ატარებს ამ კოქის დამახასიათებელ ნიშნებს.

ამჟამად ისე შორს გაიზიდა თეატრალური აზროვნების პორიზონტი, ისე ცხოველმყიფელი გახდა თეატრალურ სკოლათა, მიმდინარეობათა, სტრილთა ურთიერთობა, რომ თითქმის შეუძლებელია (ეს საღი აზრის საწინააღმდეგო იქნებოდა) ეროვნული თეატრის შენობის აგება თეატრალური ესთეტიკის ახალ მონაპოვართა გათვალისწინების გარეშე. ბ. ბარეტის, უ. ვილარის, პ. ბრუკის, ფ. უემის თეატრებმა სრულიად ახალი ეტაპი შექმნეს სამსახიობო და სარეკისორო ხელოვნებაში, ახალი თვალით შეხედეს როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო თეატრალურ ჭარსულს, სასცენო ხელოვნების პრინციპებს და განსხვავებული თეატრალური სინამდვილე შექმნეს. ამ თეატრებს ამოძრავებთ დიადის, ამაღლევებლის შექმნის სურვილი, ახალი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების გაშეუძა და ეს დიდი მიზნები განსაზღვრავს მათ შეუპოვარ მისწრაფებს შესატყვევის თეატრალური ენის შექმნისაკენ. ამ მიზნით მათ ბევრი რამ აიღეს ჭარსულის თეატრალური ასევნალიდან (მისტერიები, აღმოსავლური თეატრის ნილები, მოედნის თეატრი, სახალხო სანახაობები და სხვა) და მათი ახლებური შერჩწმით განსხვავებული ეფექტი შექმნეს: ცნობილ კეშმარიტებათა, ძველი ხერხების მოულოდნელი შეთანხმება-შეპირისბირება, ურთიერთის გვერდით მოთავსება, პარადოქსალური შემობრუნება, საერთოდ, მოული ეს პოლიტიკური ნაკადი თვისობრივად სულ სხვა ხარისხშია ყვანილი.

საკითხი ასე დგას: რა უნდა ითვისოს თანამედროვე თეატრმა (უფრო სწორი იქნებოდა გვეოქვა — დღვევანდელმა თეატრმა, ვინაიდან თანამედროვე თეატრის ცენტრი გულისხმოს უკეთ ჩამოყალიბებულს, თავისთავეში სრულქმნილს) მსოფლიო თეატრალური მიღწევებიდან და საკუთარი ეროვნული თეატრის მექვიდრეობიდან, როგორ უნდა მოახდინოს

მათი შერწყმა და ამაღლება ახლო კუთხე-ტიკური აზროვნების დონემდე?

ნულარ გამოვისმობთ თქმულებულ წარსულის დიდ აზრილობებს, ნუ გვიმეორებთ მათ ბრძნულ აზრებსა და თეორიებს და ქართული თეატრალური სინამდვილის არცთუ შორეულ ხანას მივმართოთ.

ქართული საბჭოთა თეატრის სათავესთან ორი დიდი რეესორტი — კოტე მარჯანიშვილი და სანდრო აბმეტელი დგას. შემთხვევითი არ არის, რომ კ. მარჯანიშვილი, როცა ახალ საბჭოთა თეატრს ქმნიდა, დიდ ყურადღებას უთმობდა სუურნეთა მანძილზე შექმნილ, პოეტური სულით განმსჭვალულ ქართულ ხალხურ თამაშობებს, მისტერიებს, საკართველო და საკულტო ფორმებს და ცდილობდა მათ არს ჩასწერომოდა. თუმც რეესორტის ისინი „შემინდა“ სახით არსად გამოუყენებია, მის სპექტაკლებში ზემობდა კეშმარიტი პოეზია, სადაც უშანიშნვად იყო შერწყმული პლასტიკა და მუსიკა, სიტყვა და მოქმედება, იდეა და მის ბრწყინვალე თეატრალური ფორმა მოქალაქეებრივ გამიზნულობასთან. მაგრამ კ. მარჯანიშვილი ნოვატორი იყო და, ბუნებრივია, მას არ შეეძლო აქ შეჩერებულიყო. იგი ეყრდნობოდა როგორც დევლ ტრადიციებს, ასევე ახალ მიმართულებას და ამ ნიადაგზე შექმნა ახალი თეატრი — თეატრი სინთეტური, სადაც ფაქტების სინამდვილეზე ფაქტების პოეზია ბატონიშვილი, სადაც მოვლენის არსი იყო განსხილი, ემოციურობა წინა პლანზე წმინდებული და ზოგჯერ პიპერბოლურ მასტაბებამდე გაშერდილი. უაღრესად ლაკონიურ, ლაპიდარულ ფორმაში გაღმოცემული იყო დიდი შინაგანი განცდები. კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლებში ყველაფერი ჩქეფდა, მოძრაობდა, იბრძოდა, იგი საერთოდ უარყოფდა სტატიკას როგორც მიზანსცენგბში, ასევე კომპოზიციებში. მხოლოდ კვეთობლასტიკურ ფორმებში ხედავდა იგი ნაწარმოების იდეას, მის ფილოსოფიურ სილჩქეს. სცენაზე იგი ვერ ითმენდა გულგრილობას. მსახიობის სიტყვა უნდა

ყოფილიყო ზედმიწევნით გამომსახველი, მოქმედება მოქნილი და ცხოველმყოფელი.

კ. მარჯანიშვილის სპეცტაკლები — ალსავსენი დინამიკითა და მშთოთარებით, განმსჭვალული ნათელი აზრითა და ემოციებით (აქედან მათი ზემოქმედების უსაზღვრო ძალა) — ჰქონდა იყო. მისი ჩეირისორული ხელშერის მყაფით თავისებურება და მთლიანდ მის შემოქმედება მარად ცოცხალი ტრადიცია, რომელიც კვლავ და კვლავ იქნება (ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს) ჩვენი ჩეირისორების შთაგონების სათავე.

კოტე მარჯანიშვილისაგან სანდრო ახმეტელმა მექანიზმებით მიიღო ბიესაში ასახული ამბებისადმი პოეტური და მოყიდვებულების მძაფრი გრძნობა. თავისი დიდი წინამორბედის მსგავსად, ისიც, პირველ რიგში, მოვლენის სიღრმეს სწოდებოდა, ხსნიდა მის ფოლისოფიურ, საზოგადოებრივ მნიშვნელობას და აღამიანთა ცხოვრებაში უფრო მეტ როლს ანიჭებდა. ასე იქმნებოდა სცენური სინამდვილე, განსხვავებული ცხოვრებისეული სინამდვილისაგან, მაგრამ მისგან შთაგონებული. მას შემდეგ, რაც აღმიანთა შინაგანი სამყარო და მოვლენის არსი ასე გადაჭირებულად, პიპერბოლურ მასშტაბებში იყო მოცემული, რეაისორს უკვე საშუალება ჰქონდა ასევე გაემახვიდებინა თეატრალური ფორმა.

ერთ ჩეირტელიციაზე ს. ახმეტელი მიმართავდა დასს: „ყაჩალები“ დაწერილია ოჯახური ურთიერთობის ფონზე. ჩვენ კი მას გადავიტან სახელშიფოს ფონზე და გმირების ტრაგედიას ავიყვან დიდი სოციალური, პოლიტიკური ტრაგედიის პათოსამდე“.

ს. ახმეტელი რუსთაველის სახელობის თეატრის სტილს პოეტურს, გმირულს, რაინდულს უწოდებდა. მას იზიდავდა ძლიერი ხასიათების, ეპოქის ძირითადა ტენდენციების შეჯახების, დაუკეტელი აღამიანური უნდების, მწველი სიძულვილისა და სიყვარულის გამომსახველი თეატრი. ასეთ გმირებს სჭირდებათ

სივრცე, ფართო არენა, რათა პლასტიკურად გვიჩვენონ თავიანთი ვნებაზი. პლასტიკური ხატი ამ თეატრში იქმნება რეალური და რიტმის, მისწრაფებისა და გრძნობების შინაგანი მუსიკალობის, სიტყვისა და მოქმედების (ემოციისა და გონიერის) შერწყმის ნიადაგზე. ამგვარად, ახალი თეატრალური ფორმების, ახალი გამომსახველი ენის ძიება შთაგონებული იყო დიდი იდეებით, ცხოვრებაზე, აღამიანთა შემოქმედებებსა და გრძნობებზე გამომუშავებული შეცვლილი შეხედულებებით. ს. ახმეტელი აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ ჰგონიათ თეატრში ახალი მიმართულება იქმნება თუ სპეცტაკლში დეკორაციები ახლებურადა გადაწყვეტილით. სიახლე უნდა ეხებოდეს არსებით მხარეს — დრამატურგიულ მასალას, მის შინაგან არქიტექტონიკას, ახლებურად დანახულ აღამიანს. კ. მარჯანიშვილი ამბობდა, უძველესი ხატი რომ ახლებურად (მოდერნისტულად) გაკეთებულ ჩარჩოში ჩაესვათ და ვამტკიცოთ ეს აოეზმია, ღვთის უარყოფაა — სულელურ მდგომარეობაში ჩავიყენებთ თავსო.

კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის თეატრალური იდეების ცხოველმყოფელობის დამტკიცებას დრო დასჭირდა. თავის დროზე ამ რევოლუციურ, გარდამშველ მომენტს ყველა ერთნაირი თანაგრძნობით როდი მოეკიდა. ეს ეხება როგორც მაყურებელს, ჩვენს ინტელიგენციას, ასევე თვით თეატრის დასს. თავის დროზე კ. მარჯანიშვილი და რუსთაველის სახელობის თეატრი დატოვა ძველი თაობის მსახიობთა ბეჭერმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ხოლო ს. ახმეტელი — ახალი თაობის მრავალმა ნიჭიერმა მსახიობმა. თუ პირველ შემთხვევაში საქმე გვქონდა ნოვატორული რეჟისორული სტილის გაუგებრბაძსათან, ძველი და ახალი სამსახიობო სკოლების შეუთავსებლობასთან, მეორე შემთხვევაში საქმე უფრო როტულად იყო. ს. ახმეტელს გაემიჯნენ ის მსახიობები, რომლებმაც არ სცნეს მისი თეატრის ესთეტიკური პრიციპები, არ მიიღეს მუშაობის მისი მეთოდები. თუ პირველი კონფ-

ლიტერის დროს, როგორც პირადი, ასევე ისტორიული სიმართლე კოტე მარჯანიშვილის მხარეს იყო და მას განსაკუთრებული, დაძაბული ბრძოლა არ დასჭირებია თავისი შეხედულებებისა და ახალი თეატრის უპირატესობის დასამტკიცებლად, ს. ახმეტელისა და თითქმის მის თანატოლი მსახიობების განხეთქილება უფრო ღრმა და მტკიცნეული იყო. კონფლიქტის სიმბატირეს ზრდიდა ის გარემოება, რომ ორივე მხარე (როგორც ეს ნამდვილ ტრაგიულ კოლიზიის შექმნების) მართალი იყო. ს. ახმეტელი მართალი იყო, როცა ქმნიდა ახალი, გმირულ-რომანტიკული თეატრის სტილს და ვერ ითმენდა დაში თავისი იდეების, შეხედულებების მოწინააღმდეგე ძალებს (იდეების, შეხედულებების ერთიანობის), ჰარმონიის გარეშე შეუძლებელია ახალი მიმართულების შექმნა ხელოვნებაში, მით უმეტეს, ახალი თეატრის შექმნა). მსახიობები მართალი იყნენ, როცა დაუფარვად აღიარეს არა მარტო თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ახმეტელისადმი, არამედ სიმპათიები კ. მარჯანიშვილისადმი და საჯაროდ დატვირთვის თეატრი. შემდეგ ორივე მხარემ თავისი პოზიციების სისწორე, გამძლეობა, სიახლე და ორიგინალობა დამტკიცა არა დეკლარაციებით, არა ბუნდოვანი აღთქმებით და დაპირებებით, არა „ლონისძიებებით“, არამედ ხელოვნებით, შემოქმედებით, სპექტაკლებით, პრატიკული მოღვაწეობით.

ჩვენმა ინტელიგენციამ და საზოგადოებამ უდიდესი გულისტკივილთ გააცილა თეატრიდან წასული კოტე მარჯანიშვილი და მისი თანამოაზრენი. ამ საზოგადოებას გულწრფელად სწამდა, რომ ს. ახმეტელი და უმარჯანიშვილოდ დარჩენილი რუსთაველის თეატრის დასი ვერაფერს ახალსა და საგულისხმოს ვერ შექმნიდა. ს. ახმეტელი დიდი გამოცდის წინაშე იდგა. მას უნდა დაემტკიცებინა, რომ მძაფრი პოლემიკა ხელმძღვანელთან განსხვავებული მხატვრული პრინციპების შედეგი იყო და არა სხვა რამ...

ერთ-ერთ რეპეტიციაზე იგი მიმართავ-

და დასს: — ჩვენ მარტონი ვართ, ჩვენს ირგვლივ აღშფოთების ხმები გამოსიმის... ჩვენ არც ავტორიტეტი გვაქვშის სისტემაში, რომ მარჯანიშვილის სახელს გავეჯიბროთ. ჩვენს მხარეზეა მხოლოდ ჩვენი მონილითური სული და დიდი ეროვნული საქმისადმი სიყვარული.

მოხდა მრავლისმეტყველი ფატერი:

კ. მარჯანიშვილმა პირველსავე სეზონში (1928-1929 წწ.) დაღა „პოპლა, ჩვენ ვყოცხლობთ“, „ურიელ აკოსტა“, „ყვარევარე თუთაბერი“, „როგორ“, „კაკალ გულში“ და სხვა (სულ შვიდი სპექტაკლი). ეს იყო ახალი თეატრის დიდი გამარჯვება. კ. მარჯანიშვილმა და მისმა თანამოაზრებმა საზოგადოებას თვალნათლივ დაანახეს თავიანთი თეატრალური იდეების ცხოველმყოფელობა.

იგივე გააქეთეს ს. ახმეტელმა და მისმა თანამოაზრებმა. მიუხედავად საზოგადოების დიდი ნაწილის მყაცრი, კრიტიკული განწყობილებებისა, თეატრი არ დაბრულა. იმავე 1928-1929 წწ. რუსთაველის თეატრმა დაღგა „რლვევა“, „ანზორი“, „ლიანდაგი გუგუნებს“, „ქართა ქალები“ და სხვ. განა „რლვევა“ და „ანზორი“ არ დაასტურებდა თეატრის ახალ, ძლიერ შემოქმედებით პოზიციას?

გავიდა ხანი და ჩვენ მოწმენი გავხდით რუსთაველის თეატრის ახალი, მძლავრი შინაგანი რევენის და კონფლიქტის. ეს კონფლიქტი ბევრ რამეში მიაგავს თავის წინამორბედს შინაგანი დრამატიზმით, მაგრამ მკვეთრად გამსხვავდება მხატვრული შედეგით.

თუ ამ კონფლიქტზე პირდაპირ ვილაპარაკებთ, მაშინ შემდეგი უნდა ითქვას: მართალია, მას არ მიუღია ისეთი დიდი მასტერები, არ ჟეონია დიდი საზოგადოებრივი რეზონასი (პირველ რიგში, მე ვგულისხმობ ჩვენს პრესს), მაგრამ ჩვენი ინტელიგენციის ფართო ფენებში მან ცხოველი ინტერესი და ზოგჯერ ცხარე კამათიც გამოიწვია. ისიც მართალია, რომ თეატრის ხელმძღვანელს დალექსიძეს არ გაჲყოლია არც ერთი მსახიობი, საჯაროდ მისთვის სოლიდარობა არ გამოუცხადებია რუსთაველის თეატ-

ამგვარი თანამიმდევრობა და პრინცი-  
პულობა არ გამოუჩენია მეორე მხარეს.  
იგი თითქოსდა გაორებულია და ჭერ ვერ  
შეძლო საზოგადოებრივად რამებ მნიშვ-  
ნელოვანი თეატრალური სიახლის შე-  
ქმნა.

თავისითავად, რასაკეირცველია, არაფერ-  
რი მქრეხელური არ არის იმაში, რომ თე-  
ატრში სცენური ხელოვნების გამო ორი  
სხვადასხვა დამოკიდებულება წარმოიშ-  
ვას. ეს საცემობით ბუნებრივი მოვლენაა.  
ჩვენ უნდა გაგვიკვირდეს არა ამგვარი  
წინააღმდეგობის არსებობა, არამედ მი-  
სი არარსებობა. ისევე როგორც ყველ-  
გან, თეატრშიც თაობათა შეცვლა მე-  
ტრად მტკიცნეული პროცესია. ახალგაზრ-  
დობას აქვს ჯერ ბუნდოვანი გრძნობა,  
უფრო სწორად იმპულსი წინააღმდეგო-  
ბისა, რომელიც ზოგჯერ სკეპსისში და  
უარყოფაში გადაიზრდება ხოლმე. თავი-  
სი უშუალობის, მძაფრი მეტობელო-  
ბისა და შთამბეჭდაობის გამო მას არ მო-  
სწონს ის, რაც წინა თაობას უკეთებია და  
ამ კრიტიკული განწყობილების გამო  
ხშირად ვერ ხედავს იმ ძირითად დადე-  
ბით მომენტს, რამაც სახელი მოუტანა  
ამ თეატრს, რამაც ჩამოაყალიბა თეატ-

କିମ୍ବା ଶେଷମ୍ଭେଦେବତା ସାନ୍ତ୍ରେ, ଗାନ୍ଧୀଚିତ୍ରରୁ  
ମିଳିବା ଶେଷଫଳମି ହେଲେ ।

ტრადიციის განვითარება ამავე დღის  
მისდამი კრიტიკულ დამოკიდებულება-  
საც გულისხმობს. მასშიველებლის ბრძა-  
მორჩილება დიდს ვერაფერს შეავწენები-  
ნებს მოწაფეს. მაგრამ წარსულისადმი  
არც მხოლოდ შემინდა კრიტიკული, ნე-  
გა-ტური დამოკიდებულება გახლვათ გან-  
ვითარების პროცესის ფაქტი, რომ რუს-  
თაველის სახელობის თეატრში მომზდა-  
რი ცვლილებების მხარდასაჭერად გამო-  
ვიდა მთელი დასი, თავისთავად ადასტუ-  
რებს, რომ თეატრში ძველი და ახალი  
თოაბა (მაშასადმე, აქ ლაპარაკი უკვე  
აღარ შეიძლება მხოლოდ ახალგაზრდა  
თაობისათვის დამახსათხებელ კრიტი-  
კულ განწყობილებაზე) მთლიანად ეწი-  
ნააღმდეგობრდა იმას, რაც კეთდებოდა  
აქამდე და ასევე მთლიანად მხარს უკერ-  
და იმს, რაც უნდა გაკეთდებულიყო მომა-  
ვალში. ბუნებრივად იბადება კითხევა: თუ  
ყოველივე ეს ასეა, თუ თეატრი და მთე-  
ლი დასი ეწინააღმდეგობრდა დ. ალექსი-  
ძის მხატვრულ სტილს, მაშინ სად მოვა-  
თავსოთ ამავე დასის მიერ დ. ალექსიძის  
სპექტაკლებში მოპოვებული წარმატება-  
ზი? ნუთუ ეს მსახიობები, რომლებიც გა-  
უდგნენ თავიანთ რეჟისორს, უარს იტ-  
კვიან იმ შესანიშნავ მხატვრულ-სცენურ  
აახევბზე, რომლებიც მის სპექტაკლებში  
შევწენეს? ჯერჯერობით ვერც ერთი მსა-  
ბობით ვერ მიუახლოვდა იმ სიმაღლებს,  
აადამდეც ისინი ამ სტილის სპექტაკლებ-  
ში ავიდენ (ს. ზექარიაძე — ოიდიპოსი,  
ადაგი, ფიროსმანი; ე. მანჯგალაძე —  
აიდიპოსი, ზომზიმოვა; გ. გელექტორი —  
ახარათაშვილი, კ. მახარაძე — ანდარეზი  
და სხვ.) რუსთაველის თეატრის ახალგა-  
ზრდობა მართალია იმაში, რომ იგი ორ-  
ანულად ვერ ეგუება ყალბ, ზექეულ,  
ცურულომანტიკულ ტონს. აქ ისინი მარ-  
ტონი არ არიან და, სხვათა შორის (თუკი  
ეს რაიმეს ნიშნევს), ამ სტატიის აეტო-  
რიც მათთან არის. საქმე ისაა, რომ  
მირულ-რომანტიკულ თეატრს (რომელ-  
აც აქამდე რუსეთში ჰყავს ისეთი  
გზებაზე დამცველი, როგორიცაა უნი-

ჭიერესი რეჟისორი ნ. ოხლოპკოვი) სახელი გაუტეხს ეპიგრაფურმა სპექტაკლებით, რომლებიც, სამწუხაროდ, გაცილებით მეტია, ვიდრე ნამდვილი, ჭიშმარიტად გულწრფელი სპექტაკლები.

გმირულ-რომანტიკული თეატრის „მარკით“ საღლებოდნენ ეს ყოველგვარი გვირგვინიანი თუ უგვირგვინი მეფენი, ეს გზები მომავლისა თუ წარსულისა, უპატი“, „ამირანი“ და ვინ მოთვლის, კი-დევ რამდენი სპექტაკლი.

მაგრამ ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის განა ნათელი არ არის, რომ ეს მხოლოდ ცუდი ასლია რომანტიკული თეატრისა. მე აქ არ ჩამოვთვლი კ. მარკანიშვილისა და ს. ახმეტელის სპექტაკლებს, მაგრამ ნუთუ „ოტელო“, „დიდი ხელმწიფე“, „ოიდაპოს მეფე“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „ბახტრიონი“ არ არის ნამდვილი გმირულ-რომანტიკული თეატრი! სწორედ ამგვარ მიმართულებას უჭრდა მხარს და მისი განმტკიცებისათვის იძრძოდა და ალექსიძე რომელმაც, მართალია, ხარჯი გადაუხდი ცრურობანტიზმს, მაგრამ შექმნა სპექტაკლები, რომლებიც ათასგზის ანაზღაურებენ წარსულის ცოორმილებას.

რა უყოთ, რომ ამგვარი სპექტაკლები ცოტაა. დიდი ხელოვნება ასე ადვილად და ასე ხშირად არ იქმნება. სამაგიეროდ, ეს სპექტაკლები ქმნიან გარდატეხის მოშენებს თეატრში, ისინი არიან ნიშანსვეტები, მთავარი ქედები. სიმართლე, გულწრფელობა და ადამიანურობა აქ ორგანულადა შერწყმული პოეტურობასთან, მეტაფორულ გამოშესხველობასთან და ზეაშეულ (დიახ ზეაშეულ!) ტრნთან, რომელიც თავისი სიწრფელით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. თეატრში მოქმედი დასის სიბრძნე და შორისშეჭრეტელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ცრურობანტიკულ ტევრში, საღაც მრავალი უდღეური მცენარე ხარობს, დაინახოს ატყორცილი, მაღალი, ამწვანეზული ხე, რომელიც თითქოსდა სიცოცხლის სიმბოლოდ ან გზის მაჩვენებლად ჭცეული. არაფრი არ არის იმაზე აღვილი, ვიდრე წარსული გზის ხელალებით

უარყოფა და არაფრი იმაზე რთული, ვიდრე მოვლენაში დაილექტურული მომენტის შემჩნევა. წლების, სტილის მანძილზე შემნილმა და დაგრძოლილა ცრუპათეტიკურმა სპექტაკლებმა არა მარტო თვით დასში, არამედ მყურებულშიც დაბადა ერთგარი ირონიული განწყობილება. მე განწყობის ინერცია საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა, ზოგიერთში კი ისეთი ძლიერი, რომ ეს გაწყობა გავრცელდა საერთოდ იმ მიმართულების თეატრზე და მის ყოველ სპექტაკლზე. მე განწყობილების ქვეშ მოექცა ამჟამინდელი დასი რუსთაველის თეატრისა, მანვერ შეამჩნია (თუ არ სურდა შეემჩნია!) ახალი ნაკადი იმ სტილის სპექტაკლებში. ეს გახლავთ გამახვილებული ყურადღება ფსიქოლოგიური სიმართლისაღმი, აღამიანობისაღმი, ყოველგვარი ონთფეხების უარყოფა, წრფელი ტრნი და სისადავე დად გამოშესხველობასთან ერთად, საღაც ამავე ღრის შენარჩუნებულ იქნა ქართული თეატრისათვის ეგზომ დამახსიათებელი სინთეტურობა, პლასტიკურობა და რიტულობა. ეს თეატრი ყოველთვის დიდი ამოცანების პირისპირ დგება: მას არ აინტერესებს პატარა, ცხოვრებისეული სიმართლის გამოსახვა (ეს თეატრალური ხელოვნების პირველი, ასე ვთქვათ, სტუდიური საფეხურია და პირველ ელემენტარულ მოთხოვნილებათა რიგში შედის), მას იზიდავს დიდი აღამიანური ტკიფილები, მძაფრი ვნებანი, ღრმა აზრები, რომლებაც საზოგადოების, ერის ფართო ფერებს შეძრავენ. ეს არის ნამდვილი ხელოვნება, ნამდვილი თეატრი და გნებავთ მას უწინდეთ რომანტიკული, გნებავთ—რეალისტური, ვინაიდან საქმე სახელწოდებაში კი არ არის, არამედ არსშია. ეს არს კი ღრმაა, ყოვლისმომცველი, იგი მსახიობისა და რეჟისორისაგან მოითხოვს გამოშესხველი ხერების მუდმივ ძიებას, მძაფრ თეატრალობას, ახალი სინამდვილის შექმნას. ეს არის ძნელი გზა ხელოვნებაში, ამ გზით სიარული ყველას არ შეუძლია და ა, ვისაც არ შეუძლია, იგი იჩჩევს სხვა გზას...

გმირულ-რომანტიკული თეატრის სტილის უარყოფა შეიძლება სხვადასხვა მიმართულების თეატრის პოზიციებიდან: რეალისტური (თუ დაუშვებთ, რომ გმირულ-რომანტიკული თეატრი ბუნებრივად არ შეიცავს რეალიზმს), ნატურალისტური, ფსიქოლოგიური (თუ დაუშვებთ, რომ ეს თეატრი არ შეიცავს ფსიქოლოგიურ მომენტს). ჯერ კიდევ აღრე წამოწყებული „ლაშქრობა“, რომელსაც სათავეში ედგნენ რეჟისორები მ. თუმანიშვილი და აკ. დავალიშვილი (გაიხსენეთ, გნებავთ, მხოლოდ ორი სპექტაკლი -- ი. ფუჩიკის „აღმამიანებო, იყავით ფეხზლად!“ და მ. გაფარიძის „ჩვენებურები“) ეყრდნობოდა მართალ, რეალისტურ ხელოვნებას და მიმართული იყო სამსახიობო ხელოვნებაში დამყვიდრებული შტამპების, ცრუ ტონის, ყალბი ზეარეულობის წინააღმდეგ. შემდეგში ეს ბრძოლა ცვალებადი უკირატესობით წარიმართა. მისი მახვილი მიმართული იყო ცრურომანტიკული თეატრის „მონასორის“ წინააღმდეგ. რუსთაველის თეატრისთვის ეს იყო მართლაც პროგრესული მოვლენა. თანდათანობით, შეუმჩნევლად ეს მასწილი შებრუნვდა საერთოდ გმირულ-რომანტიკული თეატრის წინააღმდეგ. მე მონი, სრული ნონსენსი უარყოფა გმირულ-რომანტიკული თეატრის რეალისტური თეატრის სასარგებლოდ, ანდა რეალისტური თეატრის (ამ შემთხვევაში ეს ცნებები მანიც პირობითია!) უარყოფა პირველის სასარგებლოდ. ორივე მიმართულებისა და სტილის თეატრს წარმატებით შეუძლია არსებობა ურთიერთგვერდით. ურთიერთგვერდით, მაგრამ არა ერთ თეატრში. ეს გარემოება იცოდა დ. ალექსიძემ და დატოვა რუსთაველის თეატრი (სხვა პირად, აღმამიანურ მოტივებს რომ თავი დავანებოთ), თუმცა მის მოწინააღმდეგებს უმაღლ აპრიორულად ესმოდათ თავიანთი მიზნები, ვიდრე პერსპექტივაში კონკრეტულად ხედავდნენ მას (ეს უკვე განვლილმა დრომ დაადასტურა). ისინი ფიქრობდნენ, რომ თეატრში იქნებოდნენ ახალი სტილის დამატებითრებელნი, ახალი სიოს შემომ-

ტანი, მაგრამ სინამდვილეში მათ უფრო ნათლად იცოდნენ რა უარყოფა, ხელმისაწვდომობის უფრო ბუნდოვნად — თუ სახელში როგორ შეექმნათ ეს ახალი. ეს იყო წმინდა თეატრულ პლანში მოიქმედებული პოზიცია, ვიდრე რომელიმე ძლიერი, ნამდვილად ახლებური სპექტაკლით დადასტურებული სინამდვილე. პირველ ხანებში სასურველი უკვე სინამდვილედ იყო გამოცხადებული. თეატრში ასეებული ამ განწყობილების ერთგვარი ანარეკლი იყო 1964 წელს უცრნალ „ცისკარში“ (№ 3) მოთავსებული სტატია, რომელიც ქართველ მეთხველს აუშესდა, რომ „...საქართველოში, თბილისში, მიხეილ თუმანიშვილისა და დორიან კიტიას ხელმძღვანელობით ახალი თეატრი შეიქმნა, თანაც განსხვავებული და სპეციფიკური თვისებების მქონე...“

მე მესმის რა უცერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა თეატრი ამ ნააღმდევი „დეკლარაციის“ გამო, მესმის როგორ შეცდუნდებოდა საერთოდ თავმდაბალი მ. თუმანიშვილი (მე ბოლოშს ვიხდი მის წინაშე იმავე სტრიქონების გამოირებებათვის იმავე უცრნალის ფურცლებზე), ვინაიდან ცველაზე უკეთ მას მოეხსენება, რომ „განსხვავებული და სპეციფიკური თვისებების მქონე“ ახალი თეატრი მას არ შეუქმნია. მით უმეტეს ეს არ შეიძლება თქმულიყო დ. კიტიაზე (ალბათ ისიც შეცდუნდა მაშინ), ვინაიდან, ჯერჯერობით თეატრის ისტორიაში არ იცის ფაქტი, რომ არაშემოქმედ, აღმინისტრაციულ მუშაქს თეატრი შეექმნას. ამ შემთხვევაში არც ჩვენი თეატრის დირექტორი შეიძლებოდა ყოფილიყო გამონაკლისი. წერილში განსილებული იყო რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დადგმული ორიოდე სპექტაკლი. კერძოდ, ვ. როზვეის პიესის („ვანშემობის წინ“) გამო შემდეგი იყო ნათქვამი: — „რა თქმაუნდა, არც ეს სპექტაკლი შეიძლება გამოვაცხადოთ ახალი თეატრის კრედოდ, მიუხედავად იმისა, რომ ესაა კარგი სპექტაკლი, რომელშიც გამოვლინდა თეატრის კოლექტივის ახალი პოზიცია — უველავერი აღმამიანის შინაგანი სამყაროს

შესაცნობად, ყველაფერი — სულიერი ცხოვრების გასახსნელად“. ყურადღება მიაქციეთ ალოგიურობას: თუ ეს არ იყო „ახალი თეატრის კრედო“, მაში როგორდა გამოვლინდა „ახალი პოზიცია“. მაგრამ უმთავრესი მაინც სხვა იყო: — თუკი თეატრის კრედიტივის ახალი პოზიცია: — „ყველაფერი ადამიანის შინაგანი სამყაროს შესაცნობად, ყველაფერი — სულიერი ცხოვრების გასახსნელად“, მაშესაბამე, თეატრის ძევლი პოზიცია ყოფილა საპირისპირო: — ყველაფერი ადამიანის შინაგანი სამყაროს არშესაცნობად, ყველაფერი სულიერი ცხოვრების არგასახსნელად. ამგვარი აბსურდული დებულების გაზიარება ჩეკენ მიგვიყვანს „ჭელი პოზიციის“ ღროს შექმნილი ბრწყინვალე სპექტაკლების და, საერთოდ, მთელი რუსთაველის თეატრის წარსულის უარყოფამდე. ყველაფერი ეს მე გავიხსენე არა იმიტომ, რომ ჭრ კადევ მოუშუშებდელი ჭრილობები გავალიზიანო. უბრალოდ, როგორც ქართული თეატრის ერთ გულწრფელ მოყვარეს, რომელიც თვისი ცხოვრების აზრს ხედავს ამ თეატრის ავ-კარგის შეძლებისაგარ გარკვევაში, გულს მტკენს იმის შეგნება, თუ რა ამაო გამოდგა ეს გამწვავებული კონფლიქტი, რა ტყუილად დაინარჩა ამდენი ნერგული ენერგია, რა ხშირად იყო შეცვლილი ნამდვილი შემოქმედებითი ბრძოლა მისი სუროვატით.

ყოველი თეატრი, რომელსაც სურს ეპოქის მოთხოვნათა ღონისძიების, ბუნებრივია, გვერდს ვერ იუქცევს ამ ეპოქის მიერკვე შებილ სიახლეებს. შეუძლებელია თეატრალურმა ხელოვნებამ — სინთეტურმა ხელოვნებამ — ბუნებრივად არ შეიწოვოს ის ახალი ფორმები, გამოსახვის ის ახალი საშუალებანი, რომელსაც მიმართავს პოეზია, არქიტექტურა, მუსიკა, თანამედროვე პროზა, მხატვრობა... და ა. შ. უფრო ელასტიური, ლაკონიური, სადა ეს ფორმები — თავისუფალი გარეგნული სამკაულისაგან. იგი ცდილობს პირდაპირი გზით, უშუალოდ მიწვდეს არსს, გაანთვისისუფლოს „არა-რაციონალური ჩენწოსაგან“ — ზედ-

მეტი მგრძნობელობისაგან. ამას მუშავეს სათავეს ე. წ. ინტელექტუალური ხელოვნება, რომელიც თბილისა გულისხმობს ემოციას (ისე, როგორც ემოციური ხელოვნება თავისთავად გულისხმობს ინტელექტს). გავრცელებულია აზრი (რომელიც სიმართლის ნაწილს უჰქველად შეიცავს), თოქოს თანამედროვე ადამიანი მიშვება არა ემოციათა ნაკადს, არამედ ანალიზის გზას. იგი უპირატესობას ანიჭებს გონიერის საწყისს და მისგან წარმოქმნილ ემოციებს და არა ემოციურ საწყისს და მისგან წარმოქმნილ აზრს. ამგვარად, მთავარი განვითარებული აზრი არა გრძნობათა გამოსახვა, არამედ თეოთ ამ გრძნობების ანალიზი.

უეჭველია, ჩენეს მოწინავე თეატრს, რუსთაველის თეატრს, სურდა, რომ ამ ახალ მოთხოვნათა სიმაღლეზე მდგარიყო, რომ მას უბრალოდ ხარჯი კი არ გაეღო ამ განწყობილებისათვის, არამედ ორგანულად, შემოქმედებითად ეპასუხნა მისთვის. თეატრში წარმოქმნილ ამ „ახალ ტალღას“ სურდა გაერიყა წარსულის მრავალი გადმონაშთი (ოუმცა, პირველ რიგში, მან გარიყა ძველი თაობის რამდენიმე კარგი მსახიობა) — სიყალბე, ტრინის არაბუნებრივი ზეაწეულობა.

ეს კეთილშობილური განზრახვაა. თავისთავად ამგვარ თეატრს შეუძლია მიაღწიოს შემოქმედებით მწვერვალს, სრულებრივად, შეუძლია შექმნას ღრმა და ადამიანის სულის შემძრავი სპექტაკლი. ასეთი თეატრი მრავალდაა როგორც სსრ კავშირში, ასევე ევროპაშიც. ამგვარი თეატრის წარმოქმნა სრულიად ახალ ნიადაგზე გაცილებით ნაკლებ რთული პროცესია, ვიდრე მისი შექმნა რუსთაველის თეატრის ბაზაზე. აქ მოხდა ტრადიციისა და ამ ახალი განწყობილებების უმატებესი შეჯახება, სავსებით ბუნებრივად წარმოქმნა წინააღმდეგობა. ამ ბრძოლას ახლდა უხერხელი მომენტიც: — ერთ მხარეს ტრადიციი ესმოდა მხოლოდ როგორც მოძველებული და ღრმობული, მეორეს — როგორც საუკეთესო და მარადიული. ბრძოლის ქარ-ცეცხლში ასევე არასწორი დამოკი-

დებულება გამოვლინდა ყოველგვარი სიახლისადმი.

ახლა, როცა დამტკრალია მძაფრი ენებები, ჩვენ უფრო მშეგიდად შეგვიძლია გავანალიზოთ ზოგიერთი არსებითი მომენტი.

ცველი ჭეშმარიტება — როცა რამეს ახლებურად თქმა გსურს, ჯერ სათქმელი უნდა გქონდეს. თეატრალურ ხელოვნებაში ეს ჭეშმარიტება ასე გამოითქმის: ყოველი ახალი და ორიგინალური წარმოიქმნება ახალი იდეის, ორიგინალური და ღრმა აზრის შედეგად, როცა თეატრალურ შემოქმედს აღარ ძალუს თავის ხალხს, მაყურებელს არ გაანდოს ის აზრები, რომლებიც მას აღლევებენ და მოსვენებას არ იძლევენ და როცა იგი დარწმუნებულია, რომ მისი იდეები ასევე ახლობელი და ამაღლევებელი იქნება ხალხისათვის. ამგვარად, სიახლე ეხება არსებით მომენტს, იგი წარმოქმნილია მოვლენაში ახალი აზრის შემჩნევის შედეგად. ყველაფერი ეს თავის გამოხატულებას იღებს თეატრის რეპერტუარში.

ყოველი ახალი პოზიციის საყრდენს სწორედ რეპერტუარი უნდა წარმოადგენდეს. წარსულისა და თანამედროვე თეატრის პრაქტიკა ამას ადასტურებს (უ. შექვებირის, მოლიერის, კ. სტანისლავსკის, ბრეჟტის, კ. მეიერბოლდის, კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის, უ. ვილარის თეატრები). ავილოთ მხოლოდ ორი უახლოესი მაგალითი: „სოვერემნიკი“ და „თეატრი ტაგანკაზე“. „სოვერემნიკი“ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ლიიძლი შეიღია, აჩსებითად იგი მისი სამსახიობ სკოლის ტრადიციებს აგრძელებს ახლებურად, მაგრამ მთელი მისი ძალა რეპერტუარშია. ახალგაზრდობა წინ აღუდგა არა სამხატვრო თეატრის სკოლას, არამედ მუშაობის იქ დამკვიდრებულ სტილს. მან იგრძნო, თუ რა სჭირდება დღევანდელ მაყურებელს, რა აღელვებს მას, რა საზოგადოებრივი. ინტერესები ამოძრავებს, რა მტკიცნეული საკითხები აწუხებს, ამგვარ მისწრაფებებს, სრულიად სხვა გზით, უფრო აღრმავებს ძალიან ორიგინალური „თეატრი ტაგანკაზე“,

რომლის ჭეშმარიტად თეატრალური სპექტაკლები (კ. რიდის „ათი დღე, რომელი ლებმაც შეძრეს მსოფლიო“) მაყურებელთვის ლზე გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენენ. ორივე ეს თეატრი მხოლოდ ახალი ფორმის ძიებაში რომ ჩაეტილიყო, ახლა ისინი (უკეთეს შემთხვევაში) თავიანთი განზრაბული საქმის მხოლოდ ნახევარს თუ გააქეთებდნენ.

დაგუბრუნდეთ რუსთაველის სახელბის თეატრის. ამ თეატრში მომზღარი ცვლილებების შემდეგ არ დადგმულა არც ერთი ახალი ქართული საბჭოთა პიესა (თ. ჭილაძის „აქვარიუმი“ ცველი ხელმძღვანელობის დროს იყო მიღებული). ნუთუ რუსთაველის თეატრმა ვერ შეძლო თუნდაც ერთი თანამედროვე პიესის დადგმა ნუთუ ამ თეატრს ასე განუდგა ჩვენი მწერლობა ან ნუთუ ისე დაკინძიდა მთელი ქართული დრამატურგია, რომ ერთი, დასადგმელად ღირსეული პიესავერ წარმოადგინა? იქნებ რუსთაველის თეატრს რამე უშლის ამ საქმეში ხელს? ძნელი დასაჭრებელია! თეატრში თავმოყრილია საუკეთესო რეკისორები (სხვათა შორის, საქმარისზე მეტი) და მსახიობები, დასს ხელმძღვანელობდა მაღალნატეირი და პროფესიონალური ადამიანებისაგან შემდგარი კოლეგია (ამჟამად დასს სათავეში უდგას ა. ჩხაჩიძისვილი). ხოლო მთლიანად თეატრი — ისე როგორც არასდროს — „საუკეთესო ფორმაშია“ (ამას ამტკიცებდა ერთერთი ცნობილი კრიტიკოსი „საბრძნე სიცრუსიადმი“ მიძღვნილ რეცენზიაში), რეკისორებისა და მსახიობების განკარგულებაშია ორი სცენა. მაშინადამე, არსებობს ყველა პირობა შემოქმედებითი შრომისათვის, მაგრამ ჯერგერობით არ არსებობს ნამდვილი სპექტაკლები. ყველაფერის მიზეზი, თავიდათავია მტკიცებული პიზიციის უკონლობა რეპერტუარის შერჩევაში. „საუკეთესო ფორმაშია“ მყოფ თეატრს ვერ იქნა და ვერ შეუჩიჩევია მტკიცებ, გარკვეული რეპერტუარი. საფუძრებელია, რომ წინააღმდეგობა არსებობდა ან თვით კოლეგიაში, ან კოლეგიასა და დასს შორის. ჩვენ რომ რუსთა-

ველის თეატრის რეპერტუართან სეისმური ხელსაწყო მივიტანოთ, ძნელად თუ გადაუჩება იგი დამსხვრევას ხშირი და ძლიერი რეკვებისაგან. მეთხველს ადვილად ბეზრდება ფაქტების ენა, მაგრამ ვინერმ რომ მიერძოება არ დამშაოს, მიღმართავ მას. 1965 წლის ივნისის განცხადის მიხედვით თეატრს განზრახული ჰქონდა 9 პიესაზე მუშაობა:

- 1). რობერი — „შეხვედრა“,
- 2). პ. კაკაბაძე — „ცხოვრების ჯარა“,
- 3). პოეზიის საღამო,
- 4). შექსპირი — „მეფე ლირი“,
- 5). ნ. აზიანი — „დეზერტირება“,
- 6). ს. დოლიძე და რ. ებრალიძე — „ლიანდაგი“,
- 7). ლ. გოთუა — „შოთა რუსთაველი“,
- 8). დ. შენგველია — „დღე თენდება“,
- 9). თ. ჭილაძე — „რაკეტა“.

იმავე წლის ნოემბერში რეპერტუარი დაყვანილი იქნა 7 პიესამდე: — ამოვარდა პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“, „პოეზიის საღამო“, ს. დოლიძისა და რ. ებრალიძის „ლიანდაგი“, დ. შენგველიას „დღე თენდება“, თ. ჭილაძის „რაკეტა“; ხოლო მათ სანაცვლო დაგმატა: ვოდევილების საღამო (ა. წერეთლის „რეპერტიცია — „ბუტიაობა“, გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“, რ. ერისთავის „კერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), ა. ჩხაძის „იზუზუნე ფუტკარო“ და ლაბიძის „ჩალის ქუდი“. რეპერტუარი საბოლოოდ ასე გამოიყენებოდა: 1) „შეხვედრა“, 2) „დეზერტირება“, 3) „მეფე ლირი“, 4) „ცოდევილების საღამო“, 5) „იზუზუნე ფუტკარო“, 6) „შოთა რუსთაველი“, 7) „ჩალის ქუდი“ (ყურადღება მიაკიეთ შემდეგ გარემოებას, შეიდი განზრახული სპექტაკლიდან სამი ვოდევილია: — ნ. აზიანის „დეზერტირება“, „ვოდევილების საღამო“ და ლაბიძის „ჩალის ქუდი“). სანმ თეატრი ამ რეპერტუარიდან მოასწრებდა ერთი პიესის დაღმას (რობერის „შეხვედრა“), მან კიდევ უფრო გამრავალფეროვნა და გაზარდა რეპერტუარი და 1966 წლისათვის მას ამგვარი სახე მისცა:

1. რობერი — „შეხვედრა“, 
2. შექსპირი — „მეფე ლირი“
3. ნ. აზიანი — „დეზერტირება“
4. ნ. ლუმბაძე — „მზიან ღამე“,
5. ა. ჩხაძი — „იზუზუნე ფუტკარო“,
6. მ. ელიოზიშვილი — „ბებერი მეზურები“,

7. ა. ვოლოდინი — „ქბილის ექიმის ისტორია“,

8. ლ. გოთუა — „შოთა რუსთაველი“,

9. თ. ჭილაძე — „თავფარავნელი ჭაბუკი“,

10. კ. გამისახურდია — „ხოგაის მინდია“.

ამას გარდა, არსებობს განსაკუთრებული მიმართვები რეპერტუარში ამა თუ იმ პიესის დამატების მაგ, 1964 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული მომართვით თეატრი კულტურის სამინისტროსაგან თხოვულობს ა. ცაგარლის „ხანუმას“ (ყოჩაღი), 1965 წლის 4 ივნისს — სუმბათაშვილის „ლალატის“, 1965 წლის 24 სექტემბერს — უ. ვილარის „პოენიკეიმერის საქმის“ დადგმის დასტურს. ცხადია, როცა რეპერტუარში ამგვარი ცვალებადობა, უანრებისა და სტილის ასეთი აღრევა, შეეძლებელია შშვიდი და სერიოზული მუშაობა არა თუ თეატრის სახის შექმნაზე, არამედ ერთ მნიშვნელოვან სპექტაკლზედაც კი. არავინ დაიკერძებს (და მართალიც იქნება), რომ ამ ხნის მანძილზე თეატრში შემოქმედებით მუშაობა არ ყოფილიყოს გაშლილი. დიახაც იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი დასის შრომა ხშირად ამაოდ იხარჯებოდა. კვლავ მივმართოთ ფაქტებს: 1965 წლის 4 მარტს წარმოებაში ჩატვა რაბინსკის პიესა „ას ოთხი გვერდი სიყვარულზე“ — ჩატარდა 16 რეპეტიცია, შემდეგ შეწყდა მუშაობა. 1965 წლის 8 ოქტომბერს ჩატვა „პოეზიის საღამო“ (აკაკი და ვაკა) — განაწილდა ლექსები, შემდეგ მუშაობა შეჩერდა. 1965 წლის 25 ნოემბერს ჩატვა ვოდევილების საღამო სამ მოქმედებად — ა. წერეთლის „ბუტიაობაზე“ ჩატარდა 12 რეპეტიცია, რერისთავის პიესაზე — „კერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ — 7 რეპეტიცია, გ.

ურისთავის „უჩინმაჩინის ქუდზე“ არ შემდგარა არც ერთი რეპეტიცია. ბუნებრივია — „ვოლევოლების საღამოს“ რუსთაველის თეატრის რამპის შუქი არ მოხვედრია. მე კიდევ შემეძლო ამ სიის გაზრდა ცერძოდ, ეს ეხება 25 ნოემბერს ჩაშვებულ ა. ჩხაიძის პიესას „იზტუნე ფუტეარო“ და 30 ნოემბერს ჩაშვებულ ვოლოდინის „კბილის ექიმის ისტორიას“, მაგრამ, ვიქტორობ, მოტანილი ფაქტები საკმაოდ მრავლისმეტყველია.

ღარიბია მიმდინარე რეპეტიტურის აფიშა. იგი სრულიადაც ვერ გამოხატავს რუსთაველის თეატრის მთელ შესაძლებლობას. მას ძალიან სერიოზული განახლება და შემაგრება სჭირდება ახალი სპექტაკლებით. გარდა ამისა, ეს აფიშა ერთი რამითაც იქცევს ყურადღებას. თეატრმა შემოინახა სუსტი სპექტაკლები. დატოვა ის, რაც არ გმოხატავს ამ თეატრის სახეს და ამოიღო „ოიდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“, „ფიტოსმანი“ (მარტი ს. ზაქარიაძის თამაშის გირბ ღირდა ამ სპექტაკლის შენარჩუნება). ამ შემთხვევაში მე ვხედავ თეატრის პრინციპულ პოზიციას — მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უარყოფს დ. ალექსიძის ხაზს, მაგრამ, გამოგიტყდებით, რაიმე ლოგიკის და პოზიციის დანახვა მიჰყირს შემდეგ მოვლენაში: როცა დადგა საკითხი, თუ რომელ საუკეთესო დადგმას უძღვნის რუსთაველის სახელობის თეატრი შოთა რუსთაველის იუბილეს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათ წლისთვეს, თეატრმა, სხვათა შორის, დაასახელა „ოიდიპოს მეფე“ და „ბახტრიონი“.

ამგვარად, რუსთაველის თეატრს მრავალი საკითხი აქვს მოსაგვარებელი, რომელთა შორის პირველი რიგის საკითხად მიმაჩნია სათანადო რეპეტიტურის შეჩევა და მისი სტაბილურობა. ამის შემდეგ მოდის წმინდა პროფესიული ხასიათს პრობლემები: — მსახიობთა და რეჟისორთა შემოქმედებითი დონის ამაღლებები.

უკანასკნელი ორი-სამი სეზონის მანძილზე რუსთაველის თეატრის სცენაზე

არ შექმნილა არც ერთი მაღალმხატვრული სცენური სახე. შეუძლებელია იმის დაფურება, რომ ჩვენს მსახურებლების აკლდეთ ნიჭი თუ მონღომება, ტექნიკა თუ პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა. არა, ყველაფერი ეს საკმარისად აქვთ. არც მათი პოტენციური შესაძლებლობანი შემცირებულა. ოღონდ საქმე ისაა, რომ ყველაფერი ეს უნდა იყოს წარმართული სწორი გზით, წარმართული დიდი შემოქმედებითი ამოცანების დასაძლევად. „სეილემის პროცესში“ და „სიბრძნე სიცრუისაში“ ჩვენმა ახალგაზირდა მსახიობებმა შექმნეს რამდენიმე მახვილი, პლასტიკურად მოწილი როლი, მაგრამ საერთო, გაშლილ ფრონტზე ისინი მაინცდამანც მკვეთრდა არ გამოიყურებან. ასეთი როლები გარევეულ მნიშვნელობას იძენენ რომელიმე მსახიობის ბიოგრაფიაში, მაგრამ საერთოდ თეატრის „ბიოგრაფიაში“ (რომ არა ვთქვათ ისტორიაში) ისინი ითქვიფებიან.

მართალი, უპრეტენზიო, პროფესიული გამართული სპექტაკლებია, ვთქვათ, „ვახშმობის წინ“ ან „შეხვედრა“. ვერ იტყვით, რომ მსახიობებს (უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა) აქ სადმე ყალბი ნორა ეპარებათ, რომ ისინი მიმართავენ გარეგნული ხერხების განვებ გამადატრებას თუ გრძნობათა პედალიზაციას, გმირთა შორის სწორი ფიქტოლოგიური ურთიერთობაა დამყარებული, მაგრამ თეატრალური ხელოვნება აუცილებლად გულისხმობს განზოგადებას, რისი მიღწევაც შეუძლებელია ემოციისა და კონების გამადატრების, გამახვილების გარეშე. ერთი თეატრმცოდნე გულწრფელად ცდილობდა ე. მანჯგალაძის შექებას და, აღბათ, სუვე გულწრფელად ეგონა მიზანს მივაღწიეო, როცა წერდა: „ალექსანდრე (სპექტაკლის—„ვახშმობის წინ“—) ერთ-ერთი გმირი. ნ. გ.) ე. მანჯგალაძის შესრულებით განსხვავდება როზვის მიერ შემოთავაზებული გმირისაგან. დრამატურგს დიდი სოციალური, განზოგადებული დრამის უღრიდობაშიც აპავს ამ გმირის სახე... ერთი მანჯგალა-

ძის ალექსანდრეს ისტორია კი პირადული კონფლიქტის საკითხთან უფრო დაკავშირებული".

სცენური მოცავის ამგვარი შემცირება, გმირის ცხოვრების მასშტაბების შეცვლა ბუნებრივად ანელებს ახალი გამომსახურელი ფორმების ძიებას, თეატრალობას, განსაკუთრებულ შემოქმედებით დაძაბვას, იგი კმაყოფილდება ჩვეულებრივი, ორდინარული სცენური მოქმედებით. საშუალო ნიჭის, მაგრამ სცენურ ტექნიკას დაუფლებულ მასპინძელს ამგვარი ამოცანის შესრულება არასოდეს არ გაუჭირდება. ყველაფერი იქნება მართლი, ლოგიკური, დამაჯერებელი, სიყალბისაგან თავისუფალი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი ხელოვნება — ვინაიდან მას აკლია ორი რამ: დიდი გული და გონება. თეატრალური სიყალის, ცრუ ტონის, გაზვადებული მგრძნობელობის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი და კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს მეორე უკიდურესობაში გადავარდნას, მეორე „სიცრუეს“ (ამ სიტყვას ბრკყალებში იმიტომ ვსცამ, რომ თუმცა ამ დროს ყველაფერი მართალია ცხოვრებისული სმართლის თვალსაზრისით, იგი სიცრუეა, სიყალეა ხელოვნების თვალსაზრისით). ჩუსთაველის თეატრის მრავალი სპექტაკლის ნაცლი იყო ჩვეულებრივი, ადამიანური, ინტიმური გრძნობების გაზიადებული, „განზოგადებული“ წარმოსახვა. ხშირად პიესის მასალა არ იძლეოდა საშუალებას ამგვარი „განზოგადებისათვის“. ახლა არსებობს მეორე საშშროება: მათგარ საზოგადოებრივ, მორალურ კონფლიქტზე იგებული პიესა სპექტაკლში გადაყვანილია ინტიმურ ტონალობაში, მოკლებული აქვს საზოგადოებრივი ჟღერადობა.

ეს არანაკლებ უარსაყოფი მოვლენაა. ვიდრე ცრურომანტიკული სტილი. თეატრის ნიჭიერი თაობა ისე გაიტაცა უარყოფის ტენდენციამ, რომ ვერ შენიშვნა, რა ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თვითონ. თუ ღრმად ჩავუკვირდებით. მათ არსებითად (და არა სიტყვიერად)

უარი თქვეს არა მარტო დ. ალექსანდრ სპექტაკლების სტილზე, არამედ მ. თუ მანშტაბის საუკეთესო სპექტაკლებში მოპოვებულ წარმატებებზეც — ანუ საკუთარ წარსულზე. სპექტაკლებში — „ადამიანებო, იყავით ფიზიზლა!“, „ესპანელი მღვდელი“, „როცა ასეთი სიყვარულია“ მ. თუმანიშვილი გვიჩვენებდა ძლიერ, ცოცხალ, მოქმედ ადამიანებს. სცენური სიმართლის გვერდით ჩვენ ვერძნობდით ვნებიანობას, ტემპერამენტს, ემოციისა და აზრის სიცხველეს, მისწრაფებებითა და მიზნებით აღსავს გმირებს. სცენური ფორმა ამ დროს ყოველთვის იყო მძატრი, თეატრალური, უშუალობითა და ორიგინალობით აღმერდილი, თითქმის უკიდურეს გამომსახველობამდე მიყვანილი (აյ იგრძნობოდა რეჟისორის ფანტაზიის სითამაშე და სიმდიდრე). ამ სპექტაკლებს დიდი ადამიანური სიმართლე და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ზოგადი აზრი ეღო საუძღვად. ამ დროს მიხეილ თუმანიშვილის გვერდით იდგა ის თაობა, რომელიც აზლა თეატრის ძირითადი ბირთვია. ისინი მოელი გატაცებით, ენთუზიაზმით, პირდაპირ საშუალებით ერთსულოვნებით ექცედნენ ახალ გამომსახველ თეატრალურ ფორმებს. აშვამად, როგორც მ. თუმანიშვილის სპექტაკლებში, ისე ამ მასპინძების შემოქმედებაში აღარ იგრძნობა ეს სიმძაფრე, აზრისა და ფორმის ორიგინალობა. ასეა თუ ისე, ამ ძირითადმა ბირთვმა მოინდომა საკუთარი თავის გადახალისება და, ნებსით თუ უნგბლიერ, ობიექტურად დაუპირისიპირდა სწორედ იმას, რასაც აღრე გატაცებით ქმნიდა და იცავდა. ამიტომ ვამბობ, რომ რაღაც შემოქმედებითი გაორება იგრძნობა დამში. რა შექმნეს ამ წარსულის სანაცვლოდ? ჯერჯერობით საგულისხმო არაფერი. მსახიობები თამაშობენ საკუთარ თავს სხვადასხვა სიტუაციებში. ისინი ერიდებიან მთელი ხმით ილაპარაკონ სცენაზე, ამჯობინებენ ნახევარ-ტონებს, ნახევარ სიმართლეს. ამიტომ სცენაზე ვეღარ ვხედავთ ძლიერი ინდივიდუალო-

პის, ფართო დიაპაზონის მქონე მსახიობებს.

ამ უკანასკნელ სეზონებში დაღმგული სპექტაკლებიდან, ჩემი აზრით, საუკეთესოა ა. მილერის „სეილემის პროცესი“. ეს მძაფრი სოციალური, ადამიანური დრამა გაღმოცემულია მიწიერი სიძლიერით, მახვილი სცენური საშუალებებით. ადამიანურ ვნებათა, შეხედულებათა, ცხოვრებისეული ფილოსოფიის შეჯახება რელიეფურად იკვეთება ძუნწი, მკვეთრი ხერხებით, დინამიურობის, ტრაგიული სიმძაფრის მართალი შეგრძნებებით, მაგრამ, თუ არ ვდგები, ამ სპექტაკლს დააკლდა მხოლოდ ერთი მძაფრი ემოციური ტრანსი, რომ იგი ქცეულიყო ხელოვნების მნიშვნელოვან მოვლენად. თითქოს რეჟისორმა საბოლოო, დამაგვირგვინებელი, განმასზღვრელი და უმთავრესი მომენტი მხოლოდ მკვეთრი კონტურით შემოხახა და არ ეყო ძალა ნამუშევრის ბოლომდე მისაყვანად. უფრო კონკრეტულად: მთელი სპექტაკლის ემციური დაძაბულობა, კონფლიქტის სიმძაფრე (ასეთია ჩემი შეგრძნება) ერთი ტრიით დაბლა დაუშვა (სცენური სიმართლის სასაჩვენებლოდ?) და მრავლისმომცველი აღმიანური დრამა შედარებით მცირე საზღვრებით შემოფარგლდა. მე რეჟისორს სრულიადც არ მოვუწოდებ უაჭველად ზეაშეული ტრანსიკენ, უბრალოდ, ვგულისხმობ მეტ საერთო ემოციურ და ინტელექტუალურ დაძაბულობას.

ეს ნაკლი უფრო მკვეთრადაა გამოვლენილი „შეხვედრაში“. სპექტაკლში მონაწილეობენ ჩევნი საუკეთესო მსახიობები, პერსა უმძლეულს ფსიქოლოგიურ კონფლიქტზეა იგებული. მასში ოქენე ცერ იძოვით მაღალფარდოვან სიტყვებს პატრიოტიზმზე, მოვალეობაზე, გმირობაზე, სულიერ სისპერაციზე, მაგრამ აქ არის სწორედ განციდება ჭეშმარიტად ადამიანური, წმინდა თვისებებისა; პირსა ფსიქოლოგიური, ღრმად ადამიანური ვნებების, მისა მოძრაობის, ცვალებადობის, სულიერი ცხოვრების ნიუანსების გამომხატველი სპექტაკლის შესაქმნელად შესანიშვნაც მასალას იძლევა.

მასშტაბების ეს შემცირება იგრძნობა „მეცე ლირშიც“. აქ ტრაგიკული დაძაბულობა მოხსნილია, უმძაფრესი ვნებები დაყვანილია ნელ-თბილ ტემპერატურაზე, შექსპირის გმირების სიღიადე შეცვლილია ყოფითი „უბრალოებით“. ტრაგიკულ კოლიზიებში, სამკვდრო-სა-სიცოცხლო სიტუაციებში მსახიობების „მართალი“ ტონი პარადოქსალურ შეუსაბამობას ქმნის. სცენაზე ხდება დიადი თავზარდიმცემი ამბები, ამ დროს ჩვენი მსახიობები ლაპარაკობენ ისე, თითქოს საქმე ამინდის პროგნოსტის ექტოდეს. ამგვარი ტენდენცია—მიღრეკილება ყოფითი-ფსიქოლოგიური თეატრისაკენ, — ხომ არ დაგვაკარგვინებს იმ ნერვს, რაც ქართულმა თეატრმა იპოვა შექსპირის, და საერთოდ ტრაგედიის, განსხვეულებისას! იმ ნერვს, რომელსაც მოელი თავისი შემოქმედების მანძილზე ეძებდა გენიალური ქ. სტანისლავსკი შექსპირის ტრაგედიებში და ვერ იქნა და ვერ მიაგნო მას, თუმცა ამას არ შეუშლია მისთვის ხელა, გულწრფელად ელიაზებინა ქართული თეატრის და მისი მსახიობის უპირატესობა ამ მხრივ.

საერთოდ, ამგვარი სპექტაკლებიდან ისეთი გრძნობა მრჩება, თითქოსდა ქართველი მსახიობის ბუნებრივი, ორგანული, ვიტყოდი, თანდაყოლილი თვისებე-

ბი: ტემპერატური, ცხოველმყოფელია უშუალობა, პლასტიკურობა, წარმოქმნის ნიჭი, ეფექტურობა (რომელთაც გაზრდა და გაზრმავება სჭირდებათ და არა აღკვეთა) დათრგუნვილია, რეგლამენტირებულია და ასალაც ჩარჩოებშია ჩაყენებული. ეს არის ქართველი კაცის ბუნებრივი თეატრალობის (რომლის გრძნობაც ქართველ მსახიობს თმაგად აქვს მინიჭებული) ფრთების შეკვეცა. ამგვარ სპექტაკლებს აკლიათ სანახაობითი ელემენტი, ურომლისოდაც თეატრი აღარ არის თვატრი.

იყო დრო, როდესაც მოსკოვში რუსთაველის თეატრის გამო წერდნენ: „ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ თეატრთან, რომელ-საც შეუძლია ღრმა, პრინციპული გავლენა მოახდინოს მთელ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაზე“. სამწუხაროდ, დიდი ხანია ასეთი რამის თქმა აღარ შეიძლება ჩვენს თეატრზე. ის კი არა, მგონი თვით რუსთაველის თეატრი განციდის იმ ტენდენციების გავლენას, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე როდი აჩიან აღმოცენებულნი. იმედი უნდა ვიქნიოთ, რომ რუსთაველის თეატრი თვით შეიგნებს, თუ სად არის სათავე მის წინაშე წარმოქმნილი სიძნელეებისა და შეცდება წარმატებით დაძლიოს ისინი.

# ისეპაშვილი

## პრასახი

შედეგი აჯანყი

### ირაკლი აბაშიძე

თავისი ბუნებით ირაკლი აბაშიძე მა-  
დლით ცხებული ლირიკოსია. მისი პოე-  
ტური ძალა უფრო მკვეთრად მეღავნდე-  
ბა ლექსებში, რომელიც მისი სულიე-  
რო ცხოვრების სურათია მოცემული. პო-  
ეტი ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას  
საკუთარ გულში ატარებს, ლირიკუ-  
ლად აღიქვამს. შინაგან ცხოვრებას იგი  
ყოველთვის უკავშირებს საზოგადოებ-  
რის, მოქალაქეობრივს. ამით ახსნება  
მისი პოეზიის ფიზოთო დიაპაზონი. ირაკ-  
ლი აბაშიძის ლექსებში ისმის პოეტის  
დაწმენდილი ხმა, გულისმიერი „ლილა-  
ნი“. მინდა შევჩერდე ლექსზე, რომე-  
ლიც პოეტმა ნიკო ალხაზიშვილს მიუძღ-  
ვნა. ამ ლექსზე ჩანს პოეტის საოცარი სი-  
ყვარული სიცოცხლისაღმი, მიწის პირ-  
ველქმნილი სილაპაზისაღმი, მისი განუწ-  
ყვეტელი კავშირი ცხოვრების „ყოველ  
ზეირთან“, მისი ორტაცება მზიანეთით.  
გავიხსენოთ ამ ლექსის ერთი ადგილი:

ვარაფერს ქვეყნად ვარ შეელიყ,  
ცხოვრების ყოველ ზეირთში ვერიყ,  
გულში ვაკრაფი ამ ტყბილ მზიანეთს,  
შიურდა წამელო ყველ სიამე,  
გველა სიმწიფის მზიანა გვმო...  
სიგრძე და განი... ზემო და ქვემო.

ეს გულგაშლილობა და დაუოკებელი

ლოროლვა სიამისაკენ, სინათლისაკენ, შე-  
ცნობა ქვეყნის სიგრძისა, განისა და სი-  
მაღლისა მარტო ამ ლექსს როდი ახასია-  
თებს. ცხოვრების დაუცხრომელი სიყვა-  
რული მოელ მის პოეზიას გასდევს.

ლექსში გამოხატული ემოციები პოე-  
ტის გულიდან მოდიან, მის სულში იღ-  
ბენ სათავეს. როცა ვკითხულობთ ად-  
გილს ამავე ნაწარმოებიდან:

მიბმული ვიყავ მეგობრის სულთან,  
ყველა ვაჟავი მეგობრად მსურდა,  
სამ ადლე მეონდა გაშლილი მკლავი,  
მე ვიყავ მმბის გული და თევი,  
ხან წინაველი, ხან ბალი ღილის...  
ვერ შეველი ტოლებთან ღილის. —

ვცნობთ ლექსის ლირიკულ გმირს. ეს  
არის თვით ვეტორი. ცხოვრებაში მას ვი-  
ცნობთ, როგორც მართლაც „მეგობრის  
სულს“, „მმბის გულსა და თეს“, ვაჟ-  
ავს და ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია  
დათმოს „ტოლებთან ღილინი“, არ  
შეუძლია არ შესვას ცხოვრების ნექტა-  
რი. ასევე ლრმად ემოციურია პოეტის  
მეორე ლექსი „მმამას“. ეს ლექსიც პირა-  
დი სულიერი ცხოვრების ანარეკლია. მა-  
მა, რომელსაც ბურებთან ერთად ეწადა  
ბრძოლა დამპრობთა წინააღმდეგ, ლექ-

სში წარმოდგენილია ტრაგიულ პიროვნებად. იგი სიცოცხლესა და სიკვდილის შუა ბამბუქის ჭობით მიიკვლევდა გზას. მყითხველი ხედავს სინათლედაკარგულ, ჩალისფერ ჩობაში გამოწყობილ აღამიანს, ფრთხილად რომ მიაძიჯებს თემაზარაზე.

პოეტი შეშფოთებულია იმით, რომ მამა ვერ ხედავს მზეს, ვარსკვლავებს, სილამაზეს, უთვალავ ფერებს. მაგრამ თვითონ ხომ ორივე თვალით ხედავს ყოველივე ამას. მაშინ, რატომ ამბობს პოეტი „„მე ამ დროს რა მეშვეოლებაო“. დღამატიზმით სავსე ეს შეძხება ამბაფრებს მთელ ლექსს. აზრობრივი მახვილი ცხოვრების ფილოსოფიურ გააზრებაზე არის გადატანილი. შინაგანი დრამატიზმით არის ალსავსე არა მარტო უსინათლო მამა, რომელიც მოკლებულია სიამეს, დაინახოს ქვეყნის ჰარმონიული წყობა, მისი მომხიბლველობა, არამედ ისიც, ვისაც თვალის ჩინი არ გაქრობია. იგი ხედავს ბევრ რამეს, რაც მის გულს ჭრილობას აყენებს, რაც მის სულიერ სიმშვიდეს არღვებს. აღამიანი მეტად რთული მოვლენაა. მან იცის სიხარული და სიამე, მაგრამ არც ტანჯვა, ტკივილი და სევდაა უცნობი, „განუცდელი“. პოეტი ორივე თვალით ხედავს, მაგრამ მისთვის ბევრი რამ ჯერ კიდევ იდუმალებით არის მოცული, შეუცნობელია. „მამა“ ირ. აბაშიძის ერთ-ერთი ისეთი ლექსია, რომლის პოეტური ულერა არ შენელდება და ყოველთვის აღძრავს მკითხველში შესატყვის ემოციებს, შეუცნელებელ სიყვარულს მშობლისადმი.

თოვლი ბარდის. პოეტი ხედავს, როგორ ფარავს თოვლი გარემოს, თოტრ საბურველში ხევეს მას. ცივა, მაგრამ პოეტის გულს ათბობს პირველი სიყვარულის მოგონება. გათენდება თუ არა, უმალ ეძებს თოვლზე აღბეჭდილ „პატარა ნაფეხურებს“. თოვლი მას სიცოცხლეს, ბუნების გამოღიძებას, განახლებას აგონებს. ხედავს გაზაფხულს, რომელიც იმერეთში „ტყემლის ხეზე“ აყვავებულა. თოვლის ფანტელებს, თბილისის კვიპაროსებს რომ ეფინება, იგი ტყე-

მლის ყვავილებს და ხეთა ღიმოლის რებს. პოეტი ისევ ვერ ელევა ქვეყნად ვერაფერს და პირველი თოვლულის უხარის, „როგორიც გუშინ უხაროდა გაზაფხული“. უხარის ცხელი ზაფხულის დაბრუნებაც, შემოდგომაც თავისი წვიმებითა და ქარით, დაგრაგნილი ღრუბლებით და დამზრალი ფოთლებით. იგი მთელი ასებით შესტრფის ბუნებას, რომელსაც ბევრი რამ „კარგი სცოდნია“. კარგის დანახვა ადამიანში, ბუნებაში, ცხოვრებაში პოეტის შესანიშნავი თვისებაა. მას ხალისიანი, ლია ფერებით აქვს წარმოდგენილი ბუნება, რომელსაც პოეტი აღტაცებაში მოჰყავს. მე მხედველობაში მაქვს ირ. აბაშიძის ლექსი „პირველი თოვლი“.

კეშმარიტი პოეტი ნათელმხილველია. იგი იყრება ადამიანის სულის სიღრმეში და ამჩნევს, რომ ადამიანზე გავლენას ახდენს ყოველი მოვლენა, ნივთი, ცრემლი, სიმღერა და ეს ყოველივე ავსებს მის ცხოვრებას. ვის არ განუცდია ასეთი რამ: ხედავს ყვავილს და აგონდება თვითი სიპირველი სიყვარული; ისმენს სიმღერას, რომელიც ასენებს ოდესლაც მივიწყებულს. ეს ნატიფი ფსიქოლოგიური ნიუანსი აქვს ხაზგასმული ირ. აბაშიძეს ლექსში „ყველა სიმღერა“:

ყველა სიმღერა რასმე გავონებს,  
ყველა სიმღერას თვის წლები აქვს,  
ყველა სიმღერა ვისმე გავონებს,  
ვინც გულს ოდესლაც დავიწყებია.

ი. აბაშიძეს საერთოდ ახასიათებს პირველ სტროფებში თითქოსდა ძალის მოქრება, შემდეგ თემის თანდათანობითი გაშლა და აზრობრივი მახვილის ბოლო სტრიქნებზე გადატანა. სიმღერა ბევრ რამეს აგონებს შთაგონებულ პოეტს. მაგრამ მთავარია ის, ვის ლირიკულ სახესაც სიმღერა აცოცხლებს, ვისი ხატიც სიცოცხლეში წინ წარმმდვარა. მას მიართავს პოეტი:

ყველა სიმღერა შენ თვის მაგონებს,  
შენ, სიყვარულო დაუვიწყარო.

პოეტი — ლირიკოსი ლექსში თავის „მეს“ გამოსახავს. მისი ლექსის ლირი-

კულ გმირში არეკლილია ავტორის სახე, მისი სულის ბიოგრაფია, მისი განწყობილებანი, ფიქრები, მორალური მრწამისი. ზერობრივად არასრულფასოვანი ადამიანი ვერაფერს შექმნის ისეთს, რომ მკითხველი სულიერად აამაღლოს, ვერ აღავზნებს მას სამშობლოს სყვარულით, თუ თვით არ იწვის ამ სიყვარულით, ვერ აგრძნობინებს მშობლიური ბუნების მომზინდელობას, მის იდუმალ და რაღაც ენით უთქმელ სილამაზეს, თუ თვითონ არ განიცდის და არ გრძნობს ამ სილამაზეს. იმ ლირიკულ პეიზაჟებში, რომლებიც ჩშირად იშლება მკითხველის წინაშე ირ. აბაშიძის პოეზიაში, კარგად ჩანს, თუ რა უშუალოდ განიცდის ბუნებას პოეტი, როგორ გრძნობს მის მარადიულ სუნთქვას, შვევნებას. პოეტისათვის „სხვა არაფერი გაჩენილა სიცოცხლის ფასი“, ამ სიცოცხლეს ხედას იგი ბუნების ცვალებადობასა და მარად ვანახლებაში. მის ლექსებში ჩვენ ჩშირად ვეკვების ტყის ნაზი შრიალი, ნაკადულების ჩუქჩები, გრიგალთა ბუბუნი, კოკისპირული წვიმის ტლაშუნი მიწაზე, ვერდავთ მარალ მთებს, ნებიერად წამოწოლილ თუ მცოცავ იდუმალ ჩრდილებს. ბუნებასა და პოეტს შორის წაშლილია ზღვარი.

ვარ ტყის შრიალში,  
შურთხთა კრიაში,  
ვარ ქარაფებში, მაღალ მთებში ვარ,  
მე ბუნებაში უზროვე შევდიორ  
და ვიძირები ზღვისფერ წიაში.

პოეტის სული ყველაფერში და ყველან ვლინდება. პოეტი ნადირობის ტრფიალია, უყვარს ველად თუ ტყეში გაჭრა. ამ სიყვარულმა საქმაოდ გაამდიდრა მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, დააწერინა ლექსები, რომლებიც ნადირობის რომანტიკითაა გამაბარი. ამ ლექსებს პოეტი პატრიოტიზმის ცეცხლში აწრთობს. ასეთია თუნდაც ლექსი „ინგილოები“. პოეტი მეტად პოსიერი, რუბენის სებური ფუნქით ხატავს ლამეში გაჩაღებულ კოცნას, რომელსაც გარს შემოსხდომია ინგილოები „დასვენებული, დანაყრებული, მკერდზე შეხსნილი ღილ-

კილოებით, გაწითლებული, დალალებული“. ერთ მათგანს, ლაზარეს, ბეკრი გადაუტანა, დიდი სამამულო ომისაშემცველი ნაწილე ყოფილა. ამ უკუნ ღამეში, კოცნათან პოეტს თავისი ქვეყნის წარსული აგონდება. აგონდება, „გინაც სამცხეში გვედგა დარაჯად და მეციხოვნედ საინგილოში“. ეს ის ხალხი იყო —

ენც გზებს იცავდა დედულ-მამულში  
ერთი ულრუბლო დღის მონატრულ,  
ენც შევვინახა ქართლში ნამუშა  
და საინგილოს — ენა ქართული.

ბუნების ხატვის თუ რა შესანიშნავი ისტატია ირ. აბაშიძე, მის ადასტურებს მეორე მისი ლექსი იმავე ციკლიდან „მონადირის ღამე“. პოეტი აგვიშერს მონადირის ღამეს და მას მაღალი ესთეტიკური განცდის მოვლენად ქცევს. მთელი ლექსი აგებულია მეტად კონკრეტულ, ასე ვთქვათ, ხელშესახებ, პოეტურ სახეებზე, შერჩეული ქვეს მეტად ზუსტი მეტაფორები. ამ ლექსის კითხვისას თავი ტყეში გონია, აგიზგიზებულ კოცნათან, რომლის ნაპერშეცლებიც წყვდიადს კაწრავენ. თითქოს იმ ბოლსაც ხედავ, სველ ნაბადს რომ ასდის ცეცხლთან. ხედავთ იმ სველ ხეს, რომელიც

...მოჰყვა ვადაბმულ შიშინს,  
ვით ტყის ნადირთ უცნაურ მბებს  
და მეტებრებიც უყეუნ შეშით  
კოცნის ირგვლივ გაწოლილ ლანდებს.

წყვდიადია. ღამის სიჩუმეა დამკვიდრებული, მაგრამ ტყეში მაინც გრძელდება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არსებობისათვის. თავი რომ დავანებოთ ენერგიულ, ექსპრესიულ პოეტურ სახეებს („შემფურებებს ტეხდა ნადირის ხორცი და ჩინჩხლებს ჰყორიდა მაშხალის გვარად“, „ქარვისფრად აცმულ ქონიან მწვადებს ლოკავდა ცეცხლი ნდობით და ზრუნვით“ და ა. შ.). ლექსი უაღრესად საყურადღებოა თავისი იდეური გააზრებით. და როგორც ავტორს სჩვევია, იდეური მახვილი გადატანილია ლექსის ფინალში:

ჩამოვლეთ დინგად, გავსილი გზისთვის  
ხელადა, როგორც მეირუასი განძი

და საქართველოს მიწის და მზისთვის  
ინგილომ შესვა პირველი ყანწი.

განსაკუთრებული აღგილ უკავა ირ-  
აკლი აბაშიძის „შემოქმედებაში ლექსს  
„მცხეთა“ არის ღირებულებანი, რომე-  
ლოთაც დროის უანგი არ ედება. უამიდან  
უაშში გადადიან და უფრო გაბრწყინებუ-  
ლი და მეტყველნი ჩანან. ასე რომ არ  
იყოს, არც ერი, არც სამშობლი არ იარ-  
სებებდა, ვინაიდან სამშობლოს ცნებში  
შედის არა მხოლოდ მშობლიური მთა-  
ბარი და მატერიალური ფასეულობა, არ-  
ამედ ის უკვდავი სული, რომელიც კო-  
ცხლობს უძველეს ქაში, მთელ წარსუ-  
ლში და თაობიდან თაობას გადაცემა.  
ძვირფასა წარსულის ძეგლები, ეს მო-  
ჩუქურთმებული სურები, მინანქრიანი  
გვარგვინები, ლარნაკები, პომპეუსის ხი-  
ლი, დიდებული სვეტიცხოველი, მაგრამ  
დროთა ვითარებაში ისინი შეიძლება  
მტრად ჭცეულიყვნენ, რომ მათ არ ინა-  
ხვდეს „რაღაც ძვირფასი წამალი“. არა,  
არ არის უკველაფერი სიზმარი და არც  
ბინდის ფერი დაპრავს უკველაფერს. არ-  
ის რაღაც წარტუვალი, მარადი. იქნებ „სი-  
ზმრად მიიჩნდათ ყოველი ქვეყნად ამ  
უკვდავ განძის ძეველ შემოქმედებს“. სა-  
წუთომ მათი ძვლები ფერულად აქცია,  
მაგრამ ჩვენ „ათას წლის შემდეგ მაღლა  
ვწევთ სურებს, სასმურებს, მათგან მო-  
წოდებულებს“. პოეტს სწამს და სჯერა,  
რომ არ არის „ბინდის ფერი ყოველი“,  
არც ბურუსი და სიზმარი სინამდვილე.  
მასში მარადიული სიცოცხლე ფერქაქს,  
იგი უძვირფასესი და უკვდავი „წამ-  
ლით“ არის გასულიერებული.

ხალხი ყოველთვის სიყვარულით ინა-  
ხავს მოგონებას წარსულზე, ამაყობს ამ  
წარსულით, რომელიც ხალხის ცხოვრე-  
ბის ქმედითი ძალაა. წარსული, ძწმურ და  
მომავალი ერთი რთული პროცესია. ჯერ  
კიდევ დიდი ილია გვასწავლიდა: „მოვი-  
კლით წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ  
უნდა ესდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ  
უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...“ ცხოვ-  
რება შეიჩერებულად ვთარდება. მხატვ-  
რული ლიტერატურა არ შეიძლება მოს-

წყდეს სინამდვილეს, ვინაიდან აღი და  
რგვეს მაცოცხლებელ ძალის და დამაკა-  
ბა. დღევანდებულობასთან უწყვეტულურით  
რი ჩვენი ლიტერატურის მთავარი ოვი-  
სებაა. ამ ხაზით განვითარდა ირ. აბაში-  
ძის პოეზია. პოეტი მიმართავს სამშობ-  
ლოს: „სამშობლოვ ჩემო, სამშობლოვ  
ჩემო! შენს ახალ დღეებს შემოვევლე-  
ბიო“. და მართლაც მის ლექსებში  
ვგრძნობთ ახალი დღეების სიხარულს,  
ყუინას. პოეტი ხორბას ასამს შემოქმე-  
დებით შრომას, უკვე კი არ ღილინებს,  
მაღალი ხმით მღერის მეტი დროს. მისი  
ლექსების გმირებია მშრომელები, რო-  
მელთათვისაც შრომა „ჭირი“ კი აღარ  
არის, არამედ სიხარულისა და სულიერი  
შეების მომცემი.

ჩვენ მის ლექსებში ვხედავთ ახალ სო-  
ფელს, ვხედავთ მინდვრებზე გამოსულ  
კომბანებს, ტრატორებს, ახალ ყოფას.  
დიდი, ისტრიული მნიშვნელობის მშე-  
ნებლობა, რამაც სრულიად გარდაქმნა  
ჩვენი ქვეყანა, ცხოვრებას ახალი იერი  
და ეშხი მისცა, ასეთი პოეტური მღელ-  
ვარებითა გადმოცემული:

შეერთდნენ ზოვები.

მშვიდობის მცენად

ერთ დიდ ოჯახში შეერთდნენ ძმები.

კასპიის ტალღა თეთრ ზოვაში ლელავს,

ზავ ზოვაში ისმის ბალტის ხმები.

ირ. აბაშიძის პოეზიის მთავარი თემა  
პატრიოტიზმია. ამ თემასთან არის დაკა-  
ვშირებული ლექსების რეალი, რომე-  
ლიც პოეტმა დიდი სამამულო ობის პე-  
რიოდში შექმნა. ეს ლექსები გამოიჩინე-  
ბა მაფრი პეტლიცისტური პათისთ.  
პოეტის კალას ეკუთვნის პატრიოტუ-  
ლი ლიტერატურის ისეთი შესანიშნავი ნიმუში,  
როგორიცაა „კაპიტანი ბუხაძე“. პოეტი  
სშირად დადიოდა ფრონტზე და წრფე-  
ლი ლექსებით უმღერდა ლურსმანშ-  
ვილის გმირებას, გენერალ ლესელიძის  
თავდადებას და უკველ ქართველ მეო-  
მარს. „კაპიტანი ბუხაძე“ არა მხოლოდ  
ირ. აბაშიძის, არამედ საერთოდ ომის-  
ტრონინდელი ქართული პოეზიის ერთ-  
ერთ სამეცულს წარმოადგენს. ლექსის  
დიდ იდეურ და მხატვრულ ღირსებაზე

მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი გადავიდა ხალხში, ადვილად გაიკვლა გზა ხალხის გულისაკენ თავისი სიმართლით, ვიტყოფით, პოეტური უბრალოებით და ხალხმაც შეიყვარა იგი. ლექსის გმირს სურს სიცოცხლე ხელმეორედ შესწიროს მშობელ მხარეს. მისი წმინდა ანდერძია — ყოველი მებრძოლი

მოკვედს, მაგრამ მკერდით შეჰქრას  
დორბერთი და დარიალი —

ეს ორი კარი, საიდანაც ყოველთვის ემუქრებოდა მტერი ჩვენს ქვეყანას. კაპიტანი ბუხაიძე, ლურსმანიშვილი, ლესელიძე და მრავალი სხვა თავდაღებული მებრძოლი პოეტმა თავისი ლექსების დაუვიწყარ გმირებად ძეცია და მათი სახელები შარავანდებით შემოსა.

მოწინავე კაცობრიობა შეუნელებლად იბრძებს მშვიდობისათვის. ამ კეთილშობილ მოძრაობას ემსახურება ჩვენი პოეზიაც. შეგჩერდები ირ. აბაშიძის ამ თემაზე დაწერილ ერთ ლექსზე — „მშვიდობა ჭუგაანში“, რომელიც პოეტმა მიუძრვნა გამოჩენილ რუს პოეტს, მშვიდობის კომიტეტის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ტიხონოვს.

პოეტი ხატავს ჭუგაანის შემოდგომას. მას არყვევებს „ჭარვის, ლაუვარდის, მზის შეხამება“. მშვიდი, სულ მშვიდი დილა სავანის და უფრო მშვიდი შემოძმება“. პოეტი ხედავს „როგორ ანაზებს ბუნებას სოფლის მშვიდობა, ჩუმი სოფელი“, „მიწა დამტებარი როგორც სიზმარი“, „შემოდგომაში ცურავს მთაბარი ხოხბის ზურგვით გარინდებული“. ყოველი პოეტური სახე სათუთად არს გამოკვეთილი. პოეტი ხედავს რაღაც ლვთაებრივ მაღლს ბუნებაში, ისუნთქავს სიმშვიდეს, სოფელს რომ დაუფლებია და შთაგონებული ასკენის:

ვხედავ სიმშვიდე და სილამაზე  
როგორ ყოფილან გაუყოფელი.  
როგორ ერთმისად და დაწყობილად  
სურთქავს ეს ორი ბედნიერება...  
დასტურ მშვიდობის ნიტ ყოფილა  
სილამაზე და მშვენიერება.

ამრიგად, სილამაზე მშიდროდ, განუყოფლად არის დაკავშირებული მშვიდო-

ბასთან. მათ შორის სრული ჰარმონია და მაყარებული. საკმარისია მშვიდობა დაირღვეს, რომ სილამაზეც გაეჭრებულია მშვიდობა წარმოადგენს არა მხოლოდ დიდ მორალურ ფაქტორს, არამედ ესთეტიკურ იდეალსაც, სილამაზისა და მშვინერების საფუძველსაც. ლექსებში, რომლებიც გაერთიანებულია სათაურით „პყვავის გურია“, ჩვენ თვალწინ იშლება გურიის შესანიშნავი, ადამიანის შრომით შექმნილი პეიზაჟები, პლანტაციების ელვარე სურათები. ირ. აბაშიძის პატრიოტულ ლირიკის ტონს აძლევს ლექსები: „ჩა დაგვავიწყებს“ და „ბევრი ამ ქვეყნად“...

პირველ ლექსში ავტორმა მღელვარებით გადავვიშალა გული და მოხდენილი სტრიქონებით გვამცნო ის ჭირ-გარამი, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა. ამასთანავე, პოეტი მოუწოდებს ხალხს არ დაივიწყოს წარსულის ძეგლებს, არ დაივიწყოს „ძველი საბუდრები, ზედ რომ წინაბრის სუნთქვა დაკვდა“. არ დაივიწყოს, რადგანაც

იქ შენი მზა, შენი თოვლია,  
შენი გვარტომის გასახარები;  
ევფრატის წყლოდე გაფარტულია  
ჩვენი ქვითების ნასახლარები.  
იქ არს შენი საზღვრის კავში,  
ათასეგა სისმრად რომ გაქვს ნახული,  
შენს ყურში რეკენ აშენის ზარები,  
შენ თვალწინ გიღგას შენი ხახული.

მამულის ეს დაუშრეტელი სიყვარული გასდევს ირ. აბაშიძის მთელ პოეზიას. ეს ძლიერი და ამაღლებული სიყვარული ათემევნიებს აგტორს: „მე კი სხვა მიწის რა უნდა მშურდეს, სამშობლოვ ჩემო, შენს შვილს და პატრონს“. ირ. აბაშიძე აგრძელებს ქართული პატრიოტული პოეზიის ტრადიციას, მაგრამ ამ დიდ თემას სხვა ასპექტით აშუქებს.

პოეტმა დიდი ინდოეთი მოვლო. იქ ყოფილისას წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი თავის მამულთან. ლექსში „ბევრი ამეცვენად“... ვტორი პოეტური თმებით განსაზღვრავს სამშობლოს ცნებას. ტერიტორიისათან ერთად სამშობლოს ცნება გულისხმობს კიდევ სხვას. ის არ

არის „მარტო ბუნება“, ის არ არის „მარტო მთაბარი“. სამშობლოს ცნებაში შედის ხალხის სულიერი კულტურა, ტრადიცია, ზე-ჩეველება, ხასიათი. სამშობლო, ირ. აბაშიძის ფიგურალური თქმით, არის „სუნთქვა, გულის ფრცქალი, ლხინის აფრენა, ჭირის მომენა“. მრთალია, მისი ფოთოლი არ მიფრიალებს ოკეანიდან ოკეანემდე, მაგრამ მის სვებედს ვერავინ დაძრახავს. ამრიგად, ირაკლი აბაშიძე როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქართული პოეზიის მთავარ ნაკადს მიჰყება, მაგრამ მის აქვს თავისი პოეტური პოზიცია, თავისი გამორჩეული პოეტური ხმა, თავისი ფიქრები და ნაღველი. მის პოეზიაში სამშობლოს თემა უშუალოდ დაკავშირებულია თავისუფლების, ეროვნული სულის სუვერენიტეტის იდეალთან. და უკანასკნელი ციკლი ლექსებისა „პალესტინა, პალესტინა“, რომელიც უმთავრესად პატრიოტიზმის თემას უკავშირდება, არა თუ მოწყვეტილი არ არის პოეტის მიერ განვლილ შემოქმედებით გზას, არამედ მის გაგრძელებას, ერთი მთლიანი შემოქმედებითი პროცესის შედეგს წარმოადგენს. ამ ლექსებში ეს თემა უფრო ღრმა, რთულ პოეტურ სახეებსა და ფორმაშია გაშლილი. პოეტი ჩაფიქრებულია სამშობლოს და რუსთველის ბედზე, საწუთოზე, სიყვარულის არსებზე. ამ ფიქრს უფრო უილოსოფიური ელფერი დაპრახვა.

ლექსების ციკლმა „პალესტინა, პალესტინა“ ჩვენი ხალხის საერთო იღიარება მოიპოვა. მკითხველმა დაინახა, რომ ამ ლექსებში შორებული წარსული, მისი კულტურა პოეზიის ცეცხლით ახლებურად არის გაშუქებული, თანამედროვეობის პოზიციებიდან არის დანახული. ირ. აბაშიძის ამ ლექსებს ახასიათებს, ერთი მხრით, მაღალი იდეური დატვირთულობა, ადამიანისა და მთელი ხალხის ბედის, სიცოცხლის ფილოსოფიური გააზრება, ხოლო მეორე მხრით, იშვიათი პოეტური წყობა, ადამიანის სულიერი მოძრაობის სიტყვით ხატვის მაღალი ოსტატობა, ზუსტი და ფაქტი გამომსახველობით საშუალებების გამოყენება, შინაგანი დაძ-

ბულობა და განცდის სიწრფეელი. ყრველივე ეს ლექსებს ანგებს დიდ ემტიტურ ძალას, რაც მკითხველში ციტაციაზე კეთილშობილურ გრძნობებს აღიძებს.

პოეტი ინდოეთში ყოფნისას ეძიებდა რუსთველის ნაკვალევს, სურდა გაეგოლეგნდა რუსთველზე, სიტყვის ჯადოშაჩხე. ლექსი „რუსთველის ხმა ყრუტრამალებში“ ერთგანი პრელუდიას წარმოადგენს იმ გულისშემძღვრელი სიმღრისას, პოეტმა პალესტინაში ყოფნისას რომ იმღრა. პოეტს ერთი რამ აშვალებს, გულს ერთი რამ „უფრიალებს“: რა ძალა უნდა ყოფილყო ის, რუსთველი თავის მიწას რომ მოსწყვიტა და ტრამალებში გაღმოხვეწა. პოეტი ეკითხება თავის დიდ წინაპარს თუ რამ გაღმოხვეწა იგი: მტრობამ, შურმა, ღალატმა, ცბიერებამ, სიძულვილმა? და ესმის რუსთველის ერთი და იგივე ხმა: არც ერთმა მათგანმა.

გაშ რამ?

შეს ფრენას ფრთა რამ მოვადა, რა წევამ აშეარამ, რა წევამ ფარულმა? რამ დაგამარცხა, რამ გაღმოხვეწა?

ეს კითხები ცნობისმოყვარეობით როდია ნაკარანახვი. პოეტის მიზანია, ჩასწევდეს მიზეზთა მიზეზს, რამაც რუსთველის ბედი გადაწყვიტა. ეს მიზეზი სიყვარულია. ეს სიყვარული გასდევს შემდევ თითქმის ყველა ლექსს. რუსთველურად გაგებული, ტრაგიკულად აღმმული სიყვარული წარმოდგენილია, როგორც უოველივეს საწყისი, სუბსტრატი.

დღის პოეტი ჭარის მონასტრის ერთერთ სენატში და ესმის ხმა, საუკუნეებს რომ მოარღვევს თავის ნათელით. ეს ხმა მარად ცოცხალია, იგი ჩვენამდე აღწევს. მას სხვადასხვა ელფერი დაპრახვას, თითქოს პოეტს თვით რუსთველი ეცხადება, ყოველ შემთხვევაში, მის თეორ აჩრდილს მაინც ხდავს. სენატში ეს ხმა თამაჩხე, ჩასულ მზეზზე, ღვთავბზე ღალადებს, ეს ილუმალი ხმა ამცნობს პოეტს: ჩემი სუნთქვა შეწყდა მშშინ, როცა ჩაქრა თამარის ნათელი, გარდავისახე, წამოველ

და თან წამომყენა ტრფიალი თამარისა. სიყვარული არის დასაბამი ყოველივე კეთილისა, ძალა, რომელიც სულიერს ღვთაებრივ არსებად აქცევს, ადამიანად ხდის. ავტორს სიყვარული მართლაც ღვთაებრივ კატეგორიამდე აპყავს. მისი გაგებით, სუნთქვას სიყვარული ჰქვია, გულს — სიყვარული, მიზანს სიყვარული ეწოდება, აზრს — სიყვარული. სიყვარული ამოძრავებს ადამიანს. მის საქმეს, ცდას, ჭეშმარიტებას — ყოველივეს სიყვარული ერქვა რუსთველისთვის. ეს სიყვარულია ჩაღრილი ყველაფერში. საკმარისია იგი გაქრეს, რომ წაიშალოს კაშირი დროთა და სივრცეთა შორის, ადამიანი „დაცლილ საწყალად“ გადაიქცას. თუ არა არის სიყვარული, აღარ არის გული, სუნთქვა, მიზანი, აზრი, მოძრაობა, საქმე. ეს არის სიყვარულის რუსთველური (თვით ავტორის ეფლი) გაგებაც.

ირ აბაშიძეს რუსთველის ხმა ყველგან ესმის. ეს ხმა რაღაც პანთეისტურია. იგი ყველგანაა და ყველაფერში ცოცხლობს. ეს ხმა ესმის პოეტს საქართველოში, ეს ხმა გაიგონა ინდოეთში ყოფნისას, ეს ხმა საამოდ ატყბობს მის სმენას პალესტინში იქნება იგი, რომელიმე საკანში, ზეთისხილის ბაღში, სამრეკლოსთან თუ სხვაგან. ეს ხმა აღწევს ჩვენამდე, ხმა არა როგორც ბგერების შენაერთი, არამედ იმ სულის გამოსხივება, რომელიც დიდ ქმნილებას უკვდავყოფს. ეს ხმა ღალადებს არა მხოლოდ რუსთველის ბედზე, არამედ სამშობლოს ბედზეც. იგი ყოველთვის ნაღლიანი და მავედრებელია. ამ მხრივ დამახასიათებელია ღვეში „ხმა სამრეკლოსთან“. უნდა ითქვას, რომ ირ აბაშიძის ამ ციკლის ღვეშებში გაცილებით მეტია თქმული სტრიქონებს შორის, ეგრეთწოდებული ქვეტებსტის საშუალებით, ვიდრე თვით ტექსტში. მოცემული ღვეში გამოხმაურება უნდა იყოს იმ მღელვარე პოლიტიკური ძვრებისა, რომელთა ორომტრიალში ჩვენი ქვეყანა იყო მოყოლილი.

არ დაუკეტო საქართველოს  
პონტის კარები,

ღვეშის ავტორი ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო საკითხს აყენებს. ეს არის მისი ორიენტაციის საკითხი: რომელს ეკუთვნის უპირატესობა, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთს. რუსთველის ხმა ვვა-მცნობს, რომ „უსაზღვრობა აღმოსავ-ლეთის შაგად ჩანს“. ამიტომ ესმის დიდ პოეტის „გლოვა შორი ქართლის“ სამრეკლოების. მის ცნობიერებაში უკვე შეიტრადესავლეთის კულტურის, ამ შემთხვევაში ელინურის შუქი, რომელიც საერთოდ საფუძვლად დაედო რენესანსულ კულტურას.

ელინური კულტურა ნათელია, სიცოცხლის მაღიდებელი, სილამაზით შექმული. ცნობილია, რომ მუსულმანური სამყაროთი გარემოცული ქართველობა თავის გვარტომს, სისხლით ნათესავებს ევროპის ბოლო კიდეზე ეძიებდა. პონტის კარებს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პოლიტიკურად, ისე სულიერი კულტურის მხრივ.

სამრეკლოსთან გაგონილი ხმა მამულის სინამდვილეს მეტად ტრაგიულ ფერებში აღიქვემდის. ჩვენს ქვეყანას უკვე კარგა ხნის წინათ ქვენდა გადატანილი მურვა ყრუს გამანადგურებელი შემოსევა, სპარსი და სხვა მუსულმანი დამპყრობების ძალმორეობის საშინელებანი. ეს ხმა თავს დასტრიალებს „ჯვარს მოწყვეტილ და დაწყვდეულ მამულს“. მავედრებელი ცრემლით არის დალბილებული ლექსის ყოველი სტრიქონი. ამიტომ ანდენს იგი მეოთხველზე წარუშლელ შთაბეჭილებას.

იგივე გოდება ისმის ღვეშიში „ხმა ზე-თისხილის ბაღში“. ამ ღვეშსაც მამულის სიყვარული აძლევს სიმტკიცეს, ძალას. რუსთველის ხმით პოეტი თავის გულისნადებს გვიმხელს.

სხვა რამ არ მწამდა  
სამრეკლოზე წმიდათა წმიდა.

სხვა ადგილს ირაკლი აბაშიძე ათქმე-ვინებს გენიალურ წინაპარს:

მაგრამ უადრეს,  
უწინარეს.  
უმაღლ ყოვლისა  
მე სამშობლოსთვის,  
სამშობლოსთვის  
ციყავ მღლოველი.

პოეტის თქმით, რუსთველმა სამშობლოს მისცა ყოველივე, რაც გააჩნდა. მისთვის დათმო ყოველივე, საკუთარი სიცოცხლეც კი. პოეტურ ექსტაზში მყოფ ავტორს ისევ ის ხმა ჩაესმის: „მე უკვდავება მამულს გარეთ არ მწამებია“ ან „გულიც და სუნთქვაც“ ყველა რიტი ჩემი კაცობის, მე წმინდად დავდე საქართველოს საკუთხეველთან“. და თუ სიცოცხლის სიმისაგან განძარცული რუსთველი მამულიდან გარდაიხვეწა და პალესტინა მაშურა, მხოლოდ იმ მიზნთ, რომ აქ „მიწა თვისი შეავედროს... ცრემლით მდაგველით“.

რუსთველი ხომ სიტყვის უბადლო ოსტატია, ნამდვილი ჭაღლებარი. ვის უგრძვნია და განუცდია ენის ფენომენი იმგვარად, როგორც რუსთველმა განიცადა. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი პოეტური სახე, ფრაზა ვირტუოზულად არის გამოკვეთილი, მობრუნებული, საოცრად მოქნილი და სიბრძნეტევადი. ირ. აბაშიძის პოეტურ მიგნებას, ალოს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ქართული ენის ხოტბა ათქმევინა სწორედ რუსთველს. მშობლიური ენის მაღიდებელი ჩენშიც ბევრი ყოფილი, მაგრამ ასე მოხდენილად, ასეთი მხატვრული ძალით ენის (ამ შემთხვევაში ქართული ენის) უკვდავებაზე, გამძლეობაზე არავის უზღვრია. როგორი გულის შემძრავა ეპითეტები. სახეები აქვს მომარჯვებული პოეტს, რომ ენის სიღიადე და მარადი სიცოცხლე განვითარებინოს. მისთვის ენა „მწარე ლხინიუა“ და „ტბილი სევდაც“, „აკვნის ჰიმნიუა და სამარის ცრემლიც“ ლხინი და სევდა, აკვანი და სამარე — ასეთ უკიდურეს პოლუსებშე დგას პოეტი და ყველგან ენაში ხედავს მარადიულს და უკვდავ სულს. ყოველივე წარმავალი, დენადია ამჟღვეყნად, გარდა ენისა.

დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა, მოისრას იქნებ ყველა ყველა. დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნულობრივი დაკვდეს აზრი ნაპონის პონას, პილიტერი ყველ ნერგს იქნებ დატყდეს მეხი, ყოველ ძეგლს იქნებ დაედგას უხი, მხოლოდ შენ, უჭინობს,

შენ, ხატად ქცეულს,  
რა დრო, რა დასტუმს  
შენს უკვდავ სხეულს?



ირაკლი აბაშიძემ თავის ლექსებში რუსთველი დაგვიხატა, როგორც დიდი ჰუმანისტი, მამულისათვის სიცოცხლეგაწირული, რეალისტი მოაზროვნე, დიდი პოეტი, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანის დაგდომის მაუწყებელი გახდა და ადამიანის თავისუფლებას ფრთხები შეასხა. დაგვიხატა პოეტი, რომლის ცხოვრების ლეგნდა და მზიური სიტყვა არასოდეს დაჰქარგავს მომხიბელელობას და რაღაც მისნურ ძალას. დადგა უამი და შეწყდა მისი „ფეხის ხმა შშვილი“, პალესტინაში „დაწდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა“. და ლექსების ავტორი დგას მის სახლთან. ჩიქერალ ცეცხლთან, როგორც „წუხილი მესხთა, ძახილი მესხთა“. გარდაიცვალა „მონა სიყვარულისა და ერთმეოფბის“, აღესრულა „მამულზე მგლოველი“. შესანიშნავადა გადმოცემული დიდი პოეტის ეს სულის განტევების სურათი. იგი გარდაიცვალა მეფეურად სიკვდილს შერიგებული, „მზის შეტი ჩიტანა თან“. ჩიტანა შეტი მმარტინისა და თამარის. მომაკვდავს შემოუტანეს „ზეთისხილის ტოტები ლურჯი“, მან არ ისურვა და „სველი მილულა თვალი“. არც დამასკელის მოსმენა ისურვა. სულთან გაყრისას „დავობდა და მსჯელობდა“. ავტორი არაფერს ამბობს, თუ ვისთან „დავობდა, ვისთან მსჯელობდა“. ეს არც უნდა იყოს მთავარი. მთავარი ის არის, რომ მომაკვდავი რუსთველი „დავობდა და მსჯელობდა“, არ ღებულობდა გაბატონებულ შზამზარეულ დოგმებს. მას „სწამდა, სერიდა, სწამდა, სჯეროდა“. სახელდობრ რა? უნდა ვიფიქროთ: სიყვარულის ძალა, გონების შეუზღულდელობა, მამულის უკვდავება, ადამიანის მაღალი მო-

წოდება. ასეთი იდეალები დაუსახა აუტორმა მკითხველს.

„პალესტინა, პალესტინა“ ირ. აბაშიძის შემოქმედებისა და, საერთოდ, თანამედროვე ქართული პოეზიის დიდ წარმატებაზე შეტყველებს. ამ ლექსების შუქი ეფინება მკითხველის გულს, მას დიდ ინტელექტუალურ და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. ყოველი მათგანი გამოიჩინევა ნამდვილი პოეტური შთაგონებით, ორიგინალური, გაბედული პოეტური სახეებით, ცოცხალი მეტაფორებით, იშვიათი ეპითეტებით, მელოდიური ულრადობით და სხვა გამომსახველობი-

თი საშუალებებით. მაგრამ ლექსების დეტალური მხატვრული ანალიზი შეაძლება წავიყვანდა. ცალკე წერილის საგნია იმის დაღვენა, თუ რა მხატვრული საშუალებები ხდიან აღნიშნულ ლექსებს ესოდეს ემოციურს, ავსებენ მათ ლირიკული სითბოთი და გულის „ფანტასია იწვევენ“.

ირ. აბაშიძე ამჟამად სრული პოეტური სიმწიფის ხანაშია. იგი ლექსების ახალ ციკლზე მუშაობს. ჩვენ გვწამს და გვჰერა, რომ პოეზიის აღებულ სიმაღლეს აღარ დაომობს და ახალი შედევრებით გავვახარებს.

## ..პალესტინა, პალესტინა უკანინაბეჭდაშ ქლეას

უკრაინის შტერალთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრულმა და საზოგადო-ეპროგ-პოლიტიკურმა უურნალმა „ქოვტენმა“ („ოქტომბერი“) გამოიქვეყნა ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“, უკრაინულ ენაზე თარგმნილი მიკოლა ბაჟანის მიერ. საინტერესო ილუსტრაციებთან ერთად აქვე მოთავსებულია მთარგმნელის წერილი.

უურნალ „ცისკრის“ რედაქციამ „ქოვტენის“ მეორე ნომერთან ერთად უკრაინიდან მიიღო უურნალის რედაქტორის

როსტისლავ ბრატუნის ბარათი, რომელ შიც ნათქვამია:

„ჩვენ განზრახული გვაქვს მომავალ-შიც დაგბეჭდოთ მასალები შოთა რუსთველზე, მოძმე ქართველი ხალხის კულტურაზე, კერძოდ, „ქოვტენის“ სექტემბრის ნომერში დიდ ადგილს დაუკუთმობთ რუსთველის სახელოვან იუბილეს.“

თვენა დღესასწაული ჩვენი დღესასწაულიცაა და ამიტომ მოხარულნი ვართ ჩვენი წელილი შევიტანოთ საქართველოს კულტურული საგანძუროის პოპულარიზაციის საქმეში“.



# ■ ჩრდილო კუნძულის მთავრობი

01.06. ღომოსახი:

## საქართველოს და მთავრობის სიუბნიშვილი

— ნიკო ლომიური ხალხის საყვარელი მწერალი იყო. როგორ გავიგოთ, რომ თქვენ, მისმა შვილმა, ხელოვანის ოჯახში აღზრდილმა, გადაწყვიტეთ მიგეღოთ აგრძნომიული სწავლა-განათლება?

— სწორედ ეს იყო მამჩემის სურვილი. მოგეხსენებათ, მამჩემი ხალხოსანი მწერალი გახლდათ. მას ხშირად უხდებოდა ხალხში ტრიალი. ესმოდა მათი ჭირვარამი. იცოდა, მაშინდელ საქართველოში სოფლის მეურნეობა სტიურად რომ ვითარდებოდა. აგრძნომიული განათლების მქონენი თითქმის არ იყვნენ. ამიტომ პატარაობიდანვე მინერავავდა ხალხისა და... მიწის სიყვარულს.

თავდაპირველად აგრძნომიული განათლება არ მიმიღია. დავიმთავრე თუ არა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, შევედი პეტერბურგის უნივერსიტეტში, გეოლოგიური განხრით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ გორში დავბრუნდი. გეოლოგობას მაშინ ყურადღება არ ექცეოდა და ამიტომ გადავწყვიტე მასწავლებლობა დამეწყო. მამამ მირჩია: — მასწავლებლობა კარგია, მაგრამ უმჯობესია კიდევ გავიკირვოთ და სწავლა გააგრძელო. ხომ ხედავ, ჩვენს სოფელს აგრძნომი უფრო სკირდებათ.

მამაჩემის აგრძნომისა შეაყვარა მისმა მეგობარმა — გორის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორმა მიხეილ ზაალიშვილმა. მას დამთავრებული პეტონდა მოსკოვის პეტროვსკო-რაზუმოვსკის აკადემია. ზაალიშვილს გიმნაზიასთან პეტონდა შესანიშნავად მოვლილი პატარა ნაკვეთი, ამან კიდევ უფრო დააინტერესა ბატონი ნიკო (ასე ვეძახდით მამას შინაურებიც). 1910 წელს შევედი მოსკოვის სასოფლო-ხა-მეურნეო ინსტიტუტში (ყოფილი პეტროვსკო-რაზუმოვსკის აკადემია), რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყების შინა წელს დავიმთავრე.

— პატივცემულო იულინ, ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

— ჩემი მასწავლებლები მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები გახლდნენ. აგრძნებიმისა მასწავლიდა შესანიშნავი პედაგოგი და ლექტორი პიანიშვესკი, ნიადაგ-მცოდნეობას — დიდი ენერგიისა და ერუდიციის მქონე, ბრწყინვალე ორატორი

ვილიამში, რომელიც სტუდენტებს ძალიან გვიყვარდა, მემცნარეობას — ენცონის ლოპედიური განათლების ქვენე მეცნიერი ფორტუნატოვა. სიამოვნებით ვისტორიული ნებ ლექტორებს ღორის რენკოსა და ეგოროვს. ეს იყო მართლაც შესანიშნავი შემოწმებისა, რომელიც ცოდნასა და ძალას არ იშურებდნენ, ღორის და ვუფლებოდით სათანადო მეცნიერულ დისციპლინებს.

— აყადვის დამთავრების შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი მოღვაწეობა?

— მუშაობა დავიწყებ სმოლენსკის გუბერნიის სამაზროს ერთ-ერთ სოფელში. ტიპიური ძველი რუსული, ჩამორჩენილი სოფელი იყო. აქ ძირითადად ხორბალი მოჰყავდათ. ასე იმიტომ გადავწყვიტე, რომ მაშინდელ საქართველოში ის იყო საფუძველი ეყრდნობა საერობო-აგრონომიულ ორგანიზაციას და მინდოდა პრაქტიკული ცოდნა მიმელო, მაგრამ მოვტყუდი. ნახევარი წელი, რომელიც სოფელში დავყავი, ჩემთვის უსარგებლო გამოდგა, რადგან ზამთარმა მინდვრად გასვლის საშუალება არ მომცა...

თბილისში დაბრუნებისთვალი ჩამრიცხეს საერობო-აგრონომიულ ორგანიზაციაში. საერობო ორგანიზაციამ შალე, 1914 წელს, ცხინვალის რაიონში აგრონომად გამაგზავნა. ამ ღრის დაწყო პირველი მსოფლიო ომი და ცხინვალიდან გადამიყვანეს ლორის რაიონის სოფელ ვარანცოვაში. ვარანცოვა რუსების სოფელი იყო. აქ ასებულ სამხედრო ორგანიზაციაში ჩამრიცხეს. ჩვენ ძირითადად ჯარისთვის ვამზადებდით თივას. ამ სოფელში თუმცა არავის აინტერესებდა აგრონომია, მოვაწყვე საცდელი მინდორი ათიოდე ჰექტარის იდენტიტით. დავთესე შაქრის ჭარხალი, ხორბალი, ჭვავი და ჭერი; შემოვიდე თესლბრუნვის სისტემა, რომელიც გარევაულ მეცნიერულ წესს ემორჩილებოდა. ამან შედეგიც კარგი გამოიღო. ამ სოფელში დავყავი 1917 წლამდე, მალე თბილისში გადმომიყვანეს გუბერნიის აგრონომად და ეს იყო ყველაზე ძნელი პერიოდი ჩვენს საქმიანობაში. შენვევიებს ასეთი ლოზუნგი ჰქონდათ: „აგრონომები ბისელში“.

1918 წელს გავემგზავრე გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში. ვიყავი ეგრეთწოდებული ეკონომიური კომისიის წევრი, რომელშიც საქართველოში რვა კაცა მონაწილეობდა, მაგრამ 1918 წელს იძულებული გავხდით თბილისში დაგრუნბულიყვათ. 1921 წლამდე ვმუშაობდი სოფლის მეურნეობის ინსტრუქტორად.

ასე წარიმართა ჩემი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე.

— რა მდგომარეობა იყო მაშინ ჩვენში აგრონომიული განათლების თვალსაზრისით? ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებული სასწავლებლის გარდა განათლების რა კერძო არსებობდა?

— ილია წინამძღვრიშვილის აგრონომიული სასწავლებლის გარდა, ჩვენში განათლების პატარ-პატარა კერძები არსებობდა. მაგალითად, დუშეთის მაზრის სოფელ ოძისში იყო სკოლა, რომელიც ამზადებდა მეცნიერებს. ანალოგიური სასწავლებელი ჰქონდა ბოტანიკურ ბაღს. აქ უბრალოდ ასწავლიდნენ მცენარეთა მოვალის. ასევე, სხვადასხვა მაზრაში იყო ვიწრო აგრონომიულ სპეციალობათა სასწავლებლები, მაგრამ მათი როლი მაშინდელი სოფლის მეურნეობაში ისე უმნიშვნელოა, რომ მათზე ლაპარაკიც არ ღირს.

— რა ხაზით მიმდინარეობდა მეცნიერული კვლევა-ძიება? როგორი იყო ეგრეთწოდებული მცენარეთა საცდელი სადგურების როლი?

— საცდელი სადგურები მეცნიერული ფილოგენერის საწინააღმდეგო ღორისძიებებს. ტარდებოდა აგრეთვე ამერიკული საძირეს შერჩევა და ნაცრისა და ჭრაქის საწინააღმდეგო ღორისძიებან.

შემინდვრეობის დარგში არსებობდა აჯამეთისა და ყარაიის საცდელი ბაზე-

ში, სადაც ძირითადად ეკვირდებოდნენ სიმინდის, ხორბლისა და ბამბის კულტურული ჩებს. ანალოგიურ სამუშაოებს ატარებდა ბოტანიკური საცდელი სადგურს კულტურული განვითარების და მიმდინარეობდა გაუმჯობესებული ჯიშების სოფლის

მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა გაუმჯობესებული ჯიშების სოფლის მეურნეობაში დასანერგავად. უცხოეთიდან შემოგვერნდა ახალი მანქანა-იარაღები, რომელთა გაცნობა და ჩვენს პირობებთან შეგუებაც ჩვენს საქმიანობაში შედიოდა.

— ცნობილია, რომ მაშინდელ საქართველოში არსებობდა სოფლის მეურნეობის საზოგადოება. გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ მისი საქმიანობის შესახებ!

— თავდაპირველად თბილისში არსებობდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება. 1903 წელს მის პარალელურად დაარსდა ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომელმაც 1922 წლამდე იარსება. ამ საზოგადოებაშია თავი მოყიდა ქართველ აგრონომთა ძირითვება. აქ მოღვაწეობიდნენ აღმართული სტანდარტები სტანდარტები, სტანდარტები, სტანდარტები, სტანდარტები და სხვ.

ახლანდელ ჯორჯიშვილის დაღმართთან, ბალში იდგა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობა, რომელსაც ჰქონდა თავისი მუზეუმი. მასში იყო შოთავასებული ყოველთვიური რესული უურნალის „კავკაზიკო ხოზიასტუოს“ რედაქტორია. 1905 წელს გამოვიდა ქართული უურნალიც, რომელსაც „მოსავალი“ ერქვა. უურნალების რედაქტორი უშვებდნენ აგრონომიული ხასიათის პატარ-პატარა წიგნებსა და ბროშურებს.

ამ საზოგადოებისთვის გუბერნიის სამშართველოსა და სათავადაზნაურო ბანქს უმნიშვნელო თანხა ჰქონდა გამოყოფილი, რაც, რა თქმა უნდა, მისი არსებობისთვისაც კი არ კმაროდა. ეს იყო და ეს.

— თქვენ ერთხანს ბრძანდებოდით თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი. კიდევ ვინ მოღვაწეობდა მაშინ იქ?

— ბოტანიკური ბაღის დირექტორად ვმუშაობდი 1923-1929 წლებში... ჩემს ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა ადგილობრივი კადრების მომზადება. უპირველეს ყოვლისა, ჟევემენი პარაქტიკანტების ორგანიზაცია, რომელშიც ჩაეცი ახალგაზრდები, რომლებიც დღეს სკვერ ცნობილი მეცნიერები არიან. აქ იყვნენ აკადემიკოსი ვლადიმერ მენაძე (გენერიკოსი), ავალემიკოსი ლევან ჭავარიძე (ფიზიოლოგი), აკადემიკოსი ლევან ყანჩაველი (ფოტოპატოლოგი), აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი (ბოტანიკოსი), პროფესიონალი ქსენია ცხაკაია (ფიზიოლოგი), დოკორეტი გიორგი აბესაძე (მემინდვრე) და სხვები, რომელთა დაუღალავი შრომით და მეცადინეობით განვითარდა ქართული აგრონომია.

— თქვენი სპეციალობა, როგორც ვიცით, მემცნენერებაა. ამ საგნის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორიც თქვენ ბრძანდებით. კიდევ რა სახელმძღვანელოები შეიქმნა მას შემდეგ ამ განხრით?

— სახელმძღვანელოს შედგენას ხელი მოვკიდე 1927 წელს და დავამთავრე 1945 წლისთვის. როცა ასეთ რთულ საქმეს ხელი მოვკიდე, ყოველმხრივ ვედილობდი წიგნი ქართული გამოსულიყო. სიტყვა „ქართული“ სხვანაირად არ გამაგრო. ჩვენი პირობები, გეოგრაფიული ლანდშაფტი, ჰავა და ბუნება მემცნარეობას სრულიად განსხვავებულ სპეციფიკას ანიჭებს.

სახელმძღვანელოზე მუშაობისას ჩემი პრინციპია შეკონდა: მასში სრულად უნდა ყოფილიყო ნაჩენები საქართველოში არსებული ყველა საცდელი დაწესებულების გმირულებები და მიმწევები. ასევე დიდად გამომაღვა მცნარეებზე საკუთარი ცდებისა და დაკვირვებების შედეგებში.

წიგნი განკუთვნილი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების ათვის. სახელმძღვანელო შედგება ორი განყოფილებისაგან „თავთავიანი კულ-

ტურქები“ და „ფერვნაირი კულტურები“. უფრო გვიან დავუმატე „ძირხვენა შეცანას ნარეები“ (ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი).

ახლახან თბილისის სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მემცნენარეობის კათედრის წევრთა ჯგუფმა გამოსცა მეტად მდარე ხარისხის სახელმძღვანელო „მემცნენარეობა“. წიგნში უგულებელყოფილია ანალიზი და სწორედ ამან განაპირობა მისი კონსპექტური სახე. ეს სახელმძღვანელო უცილებლად მოითხოვს გავრცებასა და სათანადო შევსებას.

— ვინ მოღაწეობს თქვენს დარგში საქართველოში? ვინ არიან თქვენი კოლეგები და მოწაფეები?

— საქართველოში მემცნენარეობის დარგში მოღაწეობენ ჩემი ყოფილი მოსწავლეები: მეცნიერებათა დოქტორი ნესტორ ჩხერიძე, დოქტორი გიორგი ბადრიშვილი, დოცენტი ალექსი ჯაფარიძე, დოცენტი მიხეილ დალაქიშვილი და მრავალი სხვა. ისინი დიდი გულმოძგანებითა და საქმის სიყვარულით ეკიდებიან ამ საპასუხისმგებლო საქმეს.

— გაგვიგონია, რომ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიას მისი საძირკვლის ჩაყრიდნენ იცნობთ. გთხოვთ რამდენიმე სიტყვით მოიგონოთ თბილისის უნივერსიტეტის მშენებლები და პირველი მოღაწეები.

— დაახლოებით 1903 თუ 1904 წელი იყო. სააღგომო არდალეგებზე გორიდან ჩამოვიდა მამაჩემი და ერთ დღეს მითხრა: წვიდეთ და სათავადაზნაურო გიმნაზიის ახალი შენობის მშენებლობა ვნახოთ. მშენებლობაზე რომ მიედით, მხოლოდ საძირკველი ამოევგანათ და პირველი სართული დაეწყოთ. იქვე შევგევდა ხანშიშესული კაცი, რომელიც მამაჩემს მოწიდებით მიესალმა. იგი იყო ამ მშენებლობის მთავარი ხელმძღვანელი ნიკო ცხვედაძე. ნიკომ ხარაჩოები შემოგვარია და როცა ძირის ჩამოვიდით, ხის ვეებერთელა მორჩე ჩამოვსხედით. სენიები ერთმანეთს დიდხანს ელაპარაკებოდნენ. თუ რაზე ჰქონდათ საუბარი, არ მახსოვს, მაგრამ წამოსკვლისას დამამახსოვრდა მათი შემდეგი დიალოგი. მამაჩემია ჰქითხა:

— ნიკო, კარგი და, ამ სათავადაზნაურო გიმნაზიას რისთვის დაჭირდება ასეთი უშაბრმაზარი სასახლე? როგორც ვიცი, ძალიან გიჭირთ ამ შენობის ავება ფულის მხრივაც და ოსტატების მხრივაც. არა სკობდა, შედარებით უფრო პატარა შენობა ავეგონთ? მშენი ცხვედაძემ უპასუხა:

— ჩემო ნიკო, მე სულ სხვა მიზანი მაქვს და უფრო შორს ვიყურები.

— მაინც რა მიზანი გაქვს? — დაინტერესდა მამაჩემი.

ცხვედაძემ უპასუხა, — ეს შენობა ბოლოს უნივერსიტეტი იქნება. მერე ცხვედაძემ მხარჩე ხელი დამარტყა და მამაჩემს უთხრა:

— ეს შენი ბიჭი ქართულ უნივერსიტეტში ლექციებს მოისმენს.

გავიდა დრო და გიმნაზია მართლაც უნივერსიტეტიდ გადაკეთდა.

პირველად ლექციებზე თავისუფალი მსმენელები ესწრებოდნენ, ლექციებს სალამონბით ატარებდნენ. მახსოვს 1919 წლის ზმთრის ღამე. მთელი ქალაქი სიბრელეში იყო ჩაძირული. უნივერსიტეტს რომ გაეცსწორდი, ვედავ, ფანჯრიდან სუსტი შუქი გამოქრთის. გამახსენდა, აქ ლექციები რომ იყითხებოდა. შევალ-მეტქი, გავიიდებრ. შევედი. პირველ სართულზე ორიოდე ჭრაქი ბეუტივდა. ლექციაზე შესასვლელი ზარი დაირეკა და სტუდენტები აუდიტორიებისკენ დაიძრნენ. ერთ ნაკად გავყევი. აუდიტორიაში აღმოვჩნდი. ბნელოდა. მერე, როგორც გაირკვა, ლექციის მეორე სათხზე შევსულვარ. შემოვიდა ლექტორი, ჯიბილან სანთელი ამოიღო და მოუკიდა. სინათლე თანდათან გაძლიერდა. ვხედავ, კათედრაზე დგას ბიბლიური შესახედაობის ანაფორიანი კაცი. კორნელი კეკელიძე

ვიცანი. კორნელი მსმენელებს უჟვებოდა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობაზე და განვითარებაზე.

— საქართველო კულტურულ მცენარეთა კერად ითვლება. რომელი შეცნების უბია უჟველესი? რა მოისპო, რა შემოგვრჩა დღემდე, რისი აღდგენაა სასურველი, რა ახალი ჯიშებია შექმნილი?

— ხორბალი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ხორბლის სამშობლო სადღაც საქართველოსთან ახლოს იყო. ქველ ქართულ ისტორიულ წყაროებში არაერთხელაა მოხსენიებული ხორბალი, ქერი, ფეტვი...

სიმინდის კულტურა კი საქართველოში მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში შემოიტანეს. სიმინდზე ადრე ჩვენში გავრცელებული იყო ღომი.

უძველეს მცენარედ ჩვენში ვაზიც ითვლება. ვაზი ჩვენს ქვეყანაში ადრე ველურად იზრდებოდა. მერე კი ადამიანმ დაიწყო მისი მოვლა, რამაც სასურველი შედეგი გამოილო. მე-12 საუკუნის საქართველოში უკვე გაგვაჩნდა ვაზის უძრავი ჯიში. ამ მხრივ სანტერესო იქნება თუ ჩვენი ახალგაზრდობა გაეცნობა სოლომონ; ხოლოყაშვილის წიგნს — „ვაზის კულტურა შოთა რუსთაველის ეპოქაში“, სადაც საინტერესოდაა მოთხოვილი ვაზის მთელი ისტორია.

დროთა ვითარებაში მინდვრის ზოგიერთმა კულტურამ დაყარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, მაგალითად, ფეტვი თუ ადრე ფრიად გავრცელებული იყო, დღეს თითქმის არ გვხვდება. ასევე მოუვიდათ ქვრიმასა და ღომის. ეს, რათქმა უნდა, საზოგადოების განვითარებითაა განპირობებული. ისპობა ძველი, იქმნება ახალი. ბუნების ამ დიალექტიას ვერც მცენარეები გაექცევიან.

უდაფოა, ჩვენი ყოველდღიურობა გვიყიდნახებს განვითარდეს მხოლოდ ის კულტურა, რომელიც ხელმისაწვდომი და პრაქტიკულია. არ მგონია ჩვენს დარგში, მიუხედავად ზოგიერთი მეცნიერის (მაგალითად, პროფესორ ნესტორ ჩხენელის სურვილია აღდგეს ღომის კულტურა!) დიდი მეცადინეობისა, აღდგეს მინდვრის ის კულტურები, რომლებიც ადრე არსებობდა. დღეს უკვე იქმნება და შეიქმნა ხორბლისა (უფროსანი) და სიმინდისა (აგამეთის თეთრი მუხრანული, ქართული) მრავალი ჯიში, რომლებიც, როგორც ზემოთ ვთქვით, სავსებით აქმაყოფილებენ ჩვენს დღევანდელ მოთხოვნილებას. სხვა რომ არა იყოს რა, არსებობს თქმა: „პური ჩვენი არსობისაა...“

— რას გვეტყვით ბუნების გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ჯსიქიკაზე, განწყობილებაზე, შემოქმედებით უნარიანობაზე?

— ვფიქრობ, ეს კითხვა ჩემს სპეციალობას არ ეხება, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ბუნება უდავოდ მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, განწყობაზე, ტემპერატურზე. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის ფატრი, რომ ჩვენში სხვადასხვა კუთხის ადამიანები ტემპერატურითა და ხასიათით საქმარდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს საქართველოს ბუნების მრავალფეროვნების შედეგია.

— საქართველოს ბუნება მრავალ პოეტის შთაგონების წყაროდ ითვლება.. როგორ უყურება ამ საკითხს?

— მე ვეთანხმები ოვანეს თუმანიანის ცნობილ თქმას, საქართველოში ყველა პოეტია; საქართველო დიდი პოეზიის ქვეყანაა და ამიტომ ყველა ქართველი თავისი ხასიათით, განწყობილებით, სიტყვით მართლაც პოეტია. რატომაა პოეტი? ალბათ იმიტომ, რომ ასეთი დიდებული ბუნება გვაქვს.

— ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს კულტურულ მცენარეთა შესწავლას, მის ისტორიას. რას გვეტყვით მის მუშაობაზე ამ მხრივ?

— მიძნელდება დავასახელო კიდევ მეორე ქართველი მეცნიერი, რომელიც

თავისი ენციკლოპედიური ცოდნითა და განათლებით ივანე ჯავახიშვილს დაუჭილებული გებდეს გვერდით. ეს იყო კოლოსალური ენერგიის აღმანი, რომელმაც უზარესული ძარაში ამავით დასდო არა მარტო ისტორიას, არამედ ლიტერატურას, გეოლოგიას ას, გეოგრაფიას, ბოტანიკას და მეცნიერების რომელი ერთი დარგი დაგისახელოთ.

დიდმა მეცნიერმა არც მეცნიერობის დარგი დატოვა უყურადღებოდ. სიამაყით უნდა ითქვას, რომ ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა კულტურულ მცნარეთა შესწავლის ისტორიას საქართველოში.

ივანე ჯავახიშვილთან ახლო ურთიერთობა მქონდა. ის პირველად გავიცანი ჩვენი საზოგადო მოღვაწე ქალის — მარიამ დემურიას ოჯხში. შემდევ ჩვენი დამკიდებულება უფრო გაღრმავდა პეტერბურგში, სადაც მე ვსწავლობდი. ხოლო ჯავახიშვილი დოცუნტი გახლდათ და ლექციებს კითხულობდა.

თბილისში დაბრუნების შემდევ, 1919 წელს ივანე ჯავახიშვილმა მიმიწვია უნივერსიტეტში ჯერ ასისტენტად, შემდევ — ლექტორად.

მე ყველა ახალგაზრდას ვთხოვდი წაიკითხოს ივანე ჯავახიშვილის ტომები და თეოთონ მიხვდება, თუ რა ლვაშლი მიუძღვის მას საქართველოს კულტურულ მცნარეთა შესწავლის საქმეში.

— როგორია მინდვრის კულტურების როლი საქართველოს მეცნიერობაში? ხომ არ მოელის მათ სუბტროპიკული ან მრავალწლოვანი კულტურების მიერ გადევბის საშიშროება?

— საზოგადოებამ რა განვითარებასაც არ უნდა მიაღწიოს, მემინდვრეობა ყოველთვის შეინარჩუნებს ერთ-ერთ პირველ ადგილს სოფლის მეურნეობაში. მართალია, დასვლეთ საქართველოში სუბტროპიკული მცნარეები გაბატონდნენ, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ევალება ფართო ყურადღება დაუთმოს მინდვრის კულტურებს.

— აგრონომიული მეცნიერების ფართო გავრცელება ჩვენს რესპუბლიკაში ასახავს თუ არა აგრონომების მომზადების დონეს?

— აგრონომია ჩვენში ცუდად როდია დაყენებული. ადგილობრივი კადრები ჩვენს სოფლის მეურნეობას აქმაყოფილებს. მათი უმრავლესობა პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა. ნაწილი კი მუშაობს მეცნიერებაში. პრაქტიკისა და თეორიის ასეთი კავშირი მოთლიან პარმონიას ქმნის. მაგრამ ეს როდი უნდა გავიგოთ ისე, თოთქოსდა აგრონომაში, განსაკუთრებით კადრების მომზადებაში, ყველაფერი რიგზე იყოს. ჯერ ერთი, საშუალო სკოლებში მოსწავლეები ზერელე ცოდნას იძენენ. უამრავი საგნით დატვირთვა მათ საშუალებას არ აძლევს ღრმად აითვასონ საჭირო საგნება. ზოგიერთმა უმაღლესდამთავრუბულმა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ხეირიანად არც კი იცის თავისი სპეციალობა. მშასადამე, საჭიროა ერთგარი რეფორმა. ჩემი აზრით, უნდა გადაისინჯოს საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამა. დავუმატებ იმას, რომ აგრონომიული სწავლების ერთ-ერთი ნაკლოვანებაა პრაქტიკულ საწარმოო ხაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. არავინ არ უარყოფს პრაქტიკას, მაგრამ თეორიასაც ხომ უნდა დაეთმოს ჯეროვანი ყურადღება. ყანაში გასული გლეხიც ხომ დიდი პრაქტიკოსია. ის ინტუიციითა და დიდი გამოცდილებით გრძნობს მცნარეს და გარემოს. ტარებებს საჭირო ღონისძიებებს, მაგრამ მეცნიერულად, თეორიულად ვერ გვისაბუთებს მათ თავისებურებებს. ჩემი აზრით, პრაქტიკაშე ყურადღების გამახვილება არამც და არამც არ უნდა ხდებოდეს სალექციო სათავების შემცირების ხარჯზე. გარდა ამისა, ჩემმა მეცნიერებმა უნდა მიაწოდონ სტუდენტებს მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები.

— ამართლებს თუ არა თავისთავს სოფლის მეურნეობის სპეციალისტები  
დაუსწრებელი მომზადება?

— დაუსწრებელი სწავლება თავისი იდეით კარგია. კარგია, როცა ჰარებული  
კით აღჭურვილი ადამიანი ეწავება თეორიას. ისე კი დაუსწრებელ სწავლებაშიც  
მეტი მომთხოვნელობა და დისციპლინაა საჭირო.

— გვანიტერესებს თქვენი აზრი ჩვენს ახალგაზრდობაზე.

— ჩვენს ახალგაზრდობას უთუოდ აქვთ ნიჭი, მაგრამ მის ერთ ნაწილს არ  
უყვარს შრომა. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ფიზიულტურას, მეტი —  
მეცნიერულ დისციპლინებს.

— საქართველო ოდითგანვე კარგი ტრადიციების მქონე ქვეყანა იყო. ავითა-  
რებს თუ არა ჩვენი ახალგაზრდობა ამ ტრადიციებს? რა დადებითი ან უარყოფი-  
თი შედეგი აქვს უცხოურის გავლენას მათზე?

— ჩვენ მოვალეობაა კარგ ეროვნულ ტრადიციას ყოველთვის გავუხსნათ  
გზა. ცუდი ძარშვე უნდა აღიკვეთოს. ყოველგვარ ტრადიციას ოჯახი ავითარებს.

უფროსებისადმი პარივარის ცემა, მეგობრობის გრძნობა, შრდილობა, შრომის-  
მოყვარეობა, — აი თვისებები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოს კველა-  
ადა მიანანდა და ოჯახმა. წრესგადასული ქეიფი და ღრმოსტარება საზოგადოების მო-  
მაკვდინებელი სენია.

ჩვენი ვალია, უცხოეთში დამკვიდრებულ საუკეთესო ტრადიციას გასაქანი-  
მიცეცს ჩვენში, მაგრამ აე ზომიერებას საჭირო. ყოველგვარმა უცხოურმა არ უნ-  
და დავგაბრძავოს. საჭიროა ისეთი ნერგის შერჩევა, რომელიც ჩვენს პირობებს-  
შეეგუება.

— ცნობილია, რომ თქვენს ოჯახთან ახლო იყო ბევრი ქართველი მწერალი და-  
საზოგადო მოღვაწე. ხომ არ გაიხსენებდით მათთან შეხვედრის საინტერეს მო-  
მგნეს?

— ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობრები იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ანტონ-  
ფურცელაძე, ბახანა და თედო რაზიკაშვილები, შიო მლეიმელი, ია ეკალაძე; ხში-  
რად მოდიოდა ჩვენთან აკაკი წერეთელი. მაგონდება ერთ-ერთი ეპიზოდი ჩემი  
ბავშვობისა. ერთხელ დედაჩემა მწერალ ვახტანგ ორბელიანის ხსოვნისადმი.  
მიძღვნილ პანაშვილზე ქაშუეთში წაგვიყვანა. თან გვახლდნენ ჩვენი ნათესავის,  
მთარგმნელ იოსებ ბაქრაძის ქალიშვილები. ქაშუეთის ეზოში ზღვა ხალხს მო-  
ეყარა თავი. აქვთ მოსულიყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. აკაკიმ შეამ-  
ჩნია თუ არა დედაჩემი, მოწიწებით მიისალმა. ბაქრაძის ქალიშვილები ჩააცივდ-  
ნენ დედას: — გინდა თუ არა, აკაკი გაგვაცანიო. დედამ აკაკის ბოდიში მოეხადა-  
და გოგონები წარუდგინა:

— ბატონო აკაკი, ნება გვიბოძე გაგაცნოთ მთარგმნელ იოსებ ბაქრაძის ქა-  
ლიშვილები.

აკაკიმ არც აცია, არც აცხელა: — ძლიერ არ ვნახე სოსიკო ბაქრაძის ორიგო-  
ნალური ნაწარმოებებით.

— ამბობენ, რომ ახალგაზრდობაში თქვენ ლიტერატურულ მოღვაწეობას  
ეწეოდით!

— მწერლობის მანიუდამაინც დიდი ნიჭი არ გამაჩნდა, მაგრამ მამაჩვენი პა-  
ტარაობიდანვე გვწავევდა მთარგმნელობით საქმიანობაში. გვიზარდე და მერეც  
კოტარგმნები პუშკინის, ლერმონტოვის, პაინეს ლექსესბს, მაგრამ ეს ისე, ჩემთვის.  
მწოდოდ ძალიან გთხოვთ ამას ნუ ჩაწერთ. ეს ისე, საიდუმლოდ გითხარით.

— რა აზრისა ხართ თანამედროვე ქართულ მწერლობაზე? ვინ გიყვარო ძვე-  
ლი და ახალი მწერლებიდან?

— ჩვენს ოჯახში ილია ჭავჭავაძის კულტი იყო. ილია, როგორც ერის სული-

ერი მამა, ყველას გვიყვარდა. ახლაც ამ აზრისა ვარ. მიყვარს ნიკოლოზ ბარა-  
შვილის, აკადი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას მდიდარი შემოქმედება.

უახლესი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებიდან განსაკუთრებულად  
ვაფასებ ნიკო ლორთქიფარიძის, გალავტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, კონს-  
ტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას.

— დავისახელეთ თქვენი საყვარელი ადამიანი, აგრეთვე მცენარე, ცხოველი.

— ჩემი საყვარელი ადამიანია ჩემი შევილიშვილი ქეთანო. მცენარეებიდან  
განსაკუთრებულ უპირატესობას ვანიჭებ ვერხეს, ცხოველებიდან — ცხენს.

— რას გვეტყვით ჩვენს დედაქალაქში მომხდარ ცვლილებებზე?

— ჩვენია დედაქალაქმა, ასე მცონია, რალაც კოსმოპოლიტური სახე მიიღო,  
დაკარგა თავისი ეროვნული კოლორიტი. ვფიქრობ, ჩვენს რელიეფს, კლიმატს,  
მზეს თავისებური, ქართული არქიტექტურა დამშვენებდა, ვიღრე სტანდარტუ-  
ლი, არაფრისმთქმელი შენობების ლაშქარი.

ისე თბილისმა საოცრად შორს გაშალა მხრები... სხვა რომ არა იყოს რა, ჩვე-  
ნი დიდებული მეტრო რად ღირს!

— რა მიგანიათ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ჩვენი ქვეყნის ცხოვრება-  
ში უკანასკნელ წლებში?

— კოსმოსის ოფიციება.

— თქვენი აზრით, რა მცენარეები დაამშვენებდა ჩვენს დედაქალაქს?

— ჩვენი დედაქალაქის ქუჩებს უსათუოდ მოუხდებოდა ვერჩვი!

— რას ურჩევდით ჩვენი ყურნალის რედაქციას?

— „ცისკარი“ ძირითადად ახალგაზრდების უურნალია და ამიტომ ვფიქრობ,  
რომ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ უფრო მეტად ჩაუნერგავდით მათ პატ-  
რიოტულ სულისკეთებას. სწორედ ამ თემაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება.

— რას დაგვაპარებთ „ცისკრის“ კოლექტივთან, მის მყითხველებთან?

— მაღლობა უურნალის მოელ კოლექტივს ყურადღებისათვის. მკითხველებს  
კი უსურევებდი მაღალი ლიტერატურული გემოვნება ჰქონილეთ.

ახლო მომავალში სამშაგად გაგეზარდოთ ტირაუი!

ამასთან დაკავშირებით, მაგონდება მდგომარეობა ძეველი უურნალ-გაზეთები-  
სა, რომელთაც საზოგადოების მხერვალე თანაგრძნობა და მატერიალური ხელ-  
შეწყობა ასულდგმულებდა. თითოეულ ქართველს თავის პატრიოტულ ვალად  
მიაჩნდა გამოეწერა მშობლიურ ენაზე გამოსული უურნალ-გაზეთი. ახლა სხვა  
დროა, ჩვენი ლიტერატურული პრესის პირობები დღითიდლე უმჯობესდება. მაგ-  
რამ ახლაც ყოველი გონიერი კაცი თავის პატრიოტულ საქმედ მიიჩნევს საკუთა-  
რი უურნალის გავრცელებაზე ზრუნვას. მე, როგორც „ცისკრის“ ერთ-ერთი ხელ-  
მომწერი, ურჩევვ ჩემს მოწაფებასა და მეგობრებს, აგრეთვე უველა პროფესიისა  
და ასაკის ადამიანებს, გამოიწერონ ეს უურნალი. გამიგონია, ახალგაზრდობასთან  
მეგობრობა ხანდაშმულსაც აახალგაზრდავებსო. ასევეა ახალგაზრდულ უურნალ-  
თან მეგობრობაც!

— მაღე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის წევრ-კორესპონდენ-  
ტიც თქვენ ბრძანდებით, მთელ ქართველ ხალხთან ერთად იზეიმებს თქვენი დაბა-  
დების 80 წლისთვის. „ცისკრი“ წინასწარ გილოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს, გი-  
სურვებთ დიდი ხნის ჯანიერ სიცოცხლეს, სულიერ სიმხევეს, კიდევ მრავალ სიხა-  
რულს!

— მაღლობას მოგახსენებთ კეთილი სურვილებისათვის!





კონკურსი

## ქავების თვალი, გზისა დარ...

თამარ შეცის სახი ხალხურ ჟილობის დღე

რაჭაში კარგ კალს ას დაიტირებდნენ;  
, მაგ კალო, თამარ დედოფლის მმანიშვი,  
ხმა დაბალო და სახმა მაღალო”.

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილ სულიერი და ნივთიერი კულტურის მრავალფეროვან და მდიდარ საგანძურტო მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს ხალხურ შემოქმედებას, კერძოდ, ზეპირისიტყვიერებას.

უშუალობა, ასაწერ საგანთან განსაკუთრებული სიახლოეს, უბრალოება, პოეტური ოსტატობა — აი რა ხდის ხალხურ შემოქმედებას ძალზე მიმზიდველს და საინტერესოს.

სიტყვიერი ხელოვნება ხალხურ შემოქმედებაში მაღალესთერტური მოვლენაა. მასში მკაფიოდაა გამოხატული ხალხის სულისკვეთება და ნება-სურვილი. ყოველ საუკუნესა და ეპოქის თავისი სათავეანებელი გმირები ჰყავს. ერის ფიქრიც ამ გმირებთანაა. ხალხს — შემოქმედს უყვარს თავისი გმირი, თუკი იგი ხალხის ნება-სურვილის, მისი სულისკვეთების გამომხატველია, მზრუნველია მისოვის და თავდადებულია ერისა და სამშობლოსათვის.

ქართველმა ხალხმა დიდებული საგალობლები უძღვნა ჩვენი ქვეყნის მდიდარ

წარსულს, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლ გმირებს.

ქართველი ხალხის ხოტბა-შესხმის სფეროში მეფეებიც მოხვდნენ, მაგრამ ქართველ მეფეთა ძალზე დიდი და მრავალგვაროვანი გალერეიდან მხოლოდ ორს — თამარ მეფესა და ერეკლე მეორეს ხედა წილად ხალხის განუზომელი სიყვარული, პატივისცემა, გულისხმიერი შეფასება და აღტაცებული ქებათა-ქება.

თამარ მეფე განსაკუთრებული ელვარებით ჩანს საქართველოს ისტორიაში. ქართველმა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ გადაჭრა შუა საუკუნეებისათვის მეტად რთული და მნიშვნელოვანი საკითხი — ქალის ხელისუფლების პრობლემა. სამეფო ტახტზე იყვანეს ქალი, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭირო მცყრობელი და მეფეთა-მეფე. ამიერი-დან ძალუმად გაისმა შუა საუკუნეებისათვის არცუ ისე მისაღები სიტყვები: „ლევაი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.



## ან კიდევ

თამარ დედოფალი ვაჟაპ,  
თვის ძირი აღირ დავიღე,  
ზღვაში ჩაყვარე სამნები,  
ხმელეთი ჩემეკნ დავიღდე;  
ქაფებსა დავდე იჯარა...

„თამარ დედოფალი ვაჟაპ“.

ეს საკითხის ისტორია. რაც შეეხება აღწერითი ფორმებისა და ზმნური ეკვივალენტების ენბძრივ ღირებულებას, აქ კი იმის თქმა შეიძლება, რომ სინონიმურ წყვილში, არცთუ იშვიათად, პრივილეგია ანალიზურ ერთეულს მიეკუთვნება (ჩვენ ეს საკითხი დაწვრილებით გვქონდა განხილული 1961 წელს გამოსულ მონოგრაფიაში „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“).

კონკრეტულად, რაში გამოიხატება ეს უპირატესობა?

უპირატეს ყოვლისა, ანალიზური ფორმა უფრო ექსპრესიულია, ვიდრე მარტივი ზმნა. სიცილი დაყარეს დასცინებასთან შედარებით უფრო გამომხატველი ჩანს. ამ უკანასკნელის უშუალო მიზანი ფაქტის კონსტატაციაა.

განსხვავება დასტურდება სტილისტურ ასპექტშიც: ზმნურ შესიტყვებას აქვს შედარებით ოფიციალური ხასიათი. მისი ყადემიური ტონი ჩანს იქიდანაც, რომ ხშირად ტერმინოლოგიური დანიშნულებით გამოიყენება. მარტივი ზმნა კი ძირითადად სასუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. მაგ., ფიცს დებს სხვა, „ოფიციალურ“ კონტექსტში იხმარება („სამშობლოს წინაშე ფიცს დებს...“), ვინემ ფიცავს (დებას ფიცავს). ასეთივე ელფური ახლავს შეცდომა მოუვიდა — შეცდომა დაუშვას-ს („მათემატიკოსმა ამ გამოთვლაში შეცდომა დაუშვა“) შეცდასთან შედარებით და სხვ.

განსხვავებაა გრამატიკული ფრანგულის მხრივც. ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას შეუძლია ყველა დროის წარმოება, რასაც ხშირად ზმნური ეკვივალენტი მოქლებულია. მაგ., ქებას ასხამს — აქებს, მაგრამ ხოტას ასხამს — ზმნა აღარა გვაქვს (უნდა ყოფილიყო: ხოტავს).

აქტიურ, მიზანდასახულ მოქმედებას ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი მეტად გაღმისცემენ. სასაცილოდ აიგდო-ში მოქმედება უფრო დაკონკრეტებუ-

ლია, ვიდრე დასცინა-ში. ზოგად შემძლებელი და ზმნას ანალიზური ფორმებიც სახით გააჩნია რამდენიმე კონკრეტული შესახურია ყვისი: შიში ჭამა, შიში ნახა, შიში აიტანა, შიშმა შეიძურო, შიში მიეცა, შიში აქვს...

ხშირად სტილისტურ სხვაობასთან ერთად თავს იჩენს შინაარსობრივი დაცილებაც. სარგებლობა მოუტანა (prius hec ποιεῖται) არ უდრის ასარგებლა-ს. ეს უკანასკნელი მხოლოდ ნივთიერ დაბმურებას გულისხმობს, მაშინ როცა სარგებლობა მოუტანა სულიერ მომენტსაც ითვალისწინებს: „წიგნის კითხვამ დიდი სარგებლობა მოუტანა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის არცა გვაქვს წყვილებრივი სისტემა. გვხვდება ანალიზური ერთეულები, რომლებიც მოკლებული არიან ზმნურ შესტყვის: სიტყვა გააბრტყელა, ფიცი გატეხა, საკითხი წამოიჭრა (ვსალ ვო-რი)... ეს უხერხხულობა თვითონ ბევრშვილსაც უწვევევია: იგი გარკვეულ შემთხვევებში იძლევა შენაცვლებებს: მარცხი განიცადა — დამარცხდა, შემცირებას განიცდის — მცირდება, ცვლილება განიცადა — შეიცვალა, მაგრამ კრახი განიცადა ცალადა აქვს დატოვებული.

რატომ? ვეცდებით ვუპასუხოთ კითხვას.

არის შემთხვევები, როდესაც სახელის ნაწილს პოტენციაში აქვს გაზმნურების შესაძლებლობა, მაგრამ ჯერ არ განხორციელებულია. ჩვენ ვმარტობთ გამოთქმას: ვალდებულება აიღო (ვჰალ ინჰავიატესტვი). ბოლო ხანებში გაზეთის ფურცლებზე გამოინდა მისი ზმნური ეკვივალენტი: დაივალდებულა („ბრიგადის ივალდებულა, რომ გეგმის გადამეტებით მოკრეფდა 100 კგ ჩაის ფოთოლს“).

მაგრამ ხშირად სახელადი ნაწილის სემანტიკური მოუქნელობის გამო მისი გაზმნურება არცა მოსალოდნელი: დონე ასწია, კურსი აიღო, უთაცემდებულა შიიღო, საკითხს ბადებს (ავტორის მიერ ცალად დატოვებული კრახი განიცადა-ც აქ წყებაში შემოვა). ასეთ შემთხვევებში ხანდახან ზმნურ ეკვივალენტურობას

კისრულობს არსებითი სახელის სემანტიკურად მონათესავე ფუძის ზმნა: გეჩსირებიდან გამორჩია — დავიწყდა, ცრემლებს ღვრის — ტირის (თუკუ სასაუბრო მეტყველებაში გვჭვდება იცრემლება-ც).

ასეთია ალწერით ფორმასა და ეკვივალენტ ზმნას შორის მიმართება. ამის აულიარებლობა ქარის წისქვილებთან ბრძოლის უდრის.

ვფიქრობთ, ჩვენ მთელი რიგი მოვლენების ანალიზით ნათელი გავხადეთ, რომ ის, რაც ავტორს ზოგჯერ რუსულის გავლენად მიაჩნია, ყოფილა ტრადიციით გამარებული, დიდი პოტენციის მქონე ენობრივი ფაქტი, რომელსაც საკუთრივ ქართულ წიაღში მოეძებნება გამართლება.

მაგრამ სამართლიანობა მოიხსოვს ითქვას, რომ ბეგაშვილი მეტწილად „სწორ კვალიშე“ დგას, ინტუიციით არჩევს კალქს და იქვე დაუნდობლად უარყოფს. ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, რამდენად ცალმხრივია ასეთი მიღვმა, და ისიც, რომ ავტორის სასტიკ რეპრესიებში მოყოლილ ბეგრ უცხოური წარმომავლობის გამოთქმას ქართულ ნიადაგზე კანონიერი არსებობის უფლება აქვს.

მანამდე კი ცოტა რამ კალკის, როგორც ენობრივი ფაქტის, შესახებ. ამის თაობაზე ჩვენ ჯერ კიდევ უურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე (1960 წ. № 8), ხოლო მერე „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხებში“ შემდეგს ვწერდით: „ამ საკითხს (ლაპარაკია კალკირებაზე. ა. თ.) სხვადასხვანირად აფასებუნ. ზოგს ივა მიჩნია უარყოფით მოვლენად. ასეთი თვალსაზრისი ახალი არა. პურიზმის რეპრესიები ყოველივე უცხოს მიმართ გაირა თითქმის ყველა კალტურულმა ენამ. განსაკუთრებით შევეთრად გამოვლინდა იგი ერების ჩამოყალიბებისა და სალიტერატურო ენის შექმნის პერიოდში. საინტერესოა ამ მხრივ ჩეხეურის მაგალითი, სადაც დენაციონალიზმის შიშით იდევნებოდა ყველგვარი უცხოური, მკაცრად აიკრძალა გერმანიზმებისა და საერთაშორისო სიტყვების ხმარება,

„არა ჩვენი“ ამ დროს გამოდიოდა მტრულის სინონიმად (ლ. ბულახვესევი). საქართველოს ილინიშნა პუტინის მიერთებული გამომდინარეების გარეშე გამოიყენება. ასე სიმკაცრეს ამდევნებდა ს. ხუნდაძე. იგი უარყოფდა გამოთქმებს: რაშია საქმე? და შოკიდებულია ჩემგან, ფიქრებში გარული, ზომების მიღება, მოხსენება გაკვთა და სხვ.

ისტორიამ უარყოფითად შეაფასა ასეთი პოზიცია. „პურიზმს სალიტერატურო ენათა ისტორია არ ამართლებს“ (ა. ჩიქობავი). ცნობილია, რომ გამოჩენილი მწერლები და პროგრესულად მთაზროვნე ინტელიგენცია ნაკლებად ხვდებოდა პურიზტთა სიაში. „ვგმობ ყოველგვარ ნებატურ პურიზმს, რომელიც კრძალავს სიტყვის ხმარებას, მით უმტეს, თუ უცხო ენამ შექმნა მნიშვნელოვნად მეტი და შედარებით გამოკვეთილი სიტყვები“, — წერდა გოთე.

იგივე შეიძლება ითქვას კალკებზეც. „კალკი ისევე უნდა შეფასდეს, როგორც სესხება“ (არნ. ჩიქობავა).

რას ვეგბულობთ ამ ვრცელი ამონაშერებიდან?

ბეგაშვილი თავისი „პურიზტული მრწამისით“ XIX საუკ. დონეს ვერ სცილდება. დღეს ებრძეს იმ გამოთქმებს, რომელსაც ჯერ კიდევ მაშინ უარყოფდნენ. მაგრამ ის, რაც დასაშები იყო წარსულში, შეიძლება არ ეპატიოს დღვევანდელ ინტელიგენტს. სალიტერატურო ენის ფეხის აღგმის პერიოდში შესაძლოა პურიზმს ერთგვარი გამართლებაც მოუძებონ. დღეს კი, როდესაც სალიტერატურო ენა ასეთ მონოლითურ ერთეულს წარმოადგენს, როდესაც ასე ფართოდ გაიხსნა კარი ყველა ქვეყნის მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში, ენას, როგორც ყოველგვარი ზედაშენური ძერების ბარომეტრს, კარჩაეტილად ვერ ამყოფებ. უნდა გვასოვდეს ანანური ჟეშმარიტება, რომ მთლიანად იზოლირებული ხალხი ისტო-

რიამ არ იცის, მით უმეტეს დღეს. „ყოველმა ერმა აიყვანა თავისი ენა ისეთ სრულებრივია რომელიც შეესაბამება მის საკუთარ ინტელექტუალურ დონეს. ყოველი ენის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მეზობელთა ხალხების ნაყოფიერ გავლენაშე“.

ეს ფინელი დოქტორის იურიო კივიმიესის ახლახან ნათქვამი სწორი სიტუაციია (იხ. გ. გაჩეჩილაძე, „მთარგმნელთა საერთაშორისო სემინარზე“, „მნათობი“, № 12, 1965 წ.).

რუსულ ენაში ცოტა როდია ინგლისური და ფრანგული გამოთქმა. სწორედ თარგმანის გზით ხდება საჭირო მეცნიერული ტერმინოლოგიის შემოტანა. ილია ამ სფეროში სესხებისა და ძველი სიტუაციების აღდგენის გვერდით განსაკუთრებულ მნიშვნელობას კალკირებას ანიჭებდა. მან დაამკვიდრა ქართულში: თვითმმართველობა (самоуправление), უმაღლესი მთავრობა (высшее правительство), მიმართულება (направление) და სხვ.

ჩვენ დღესაც უმეტესად რუსულის საუსალებით ვითვისებთ ინტერნაციონალური ლექსიკის ძირითად ფონდს, თუმცა ამ მხრივ ნაკლები სარგებლობა როდი მოაქვს ევროპულ ენებთან უშუალო კონტაქტს. ასევე პერსპექტიულად უნდა შევხედოთ მყარი გამოთქმების, ფრაზეოლოგიური ერთეულების კალკირების საკითხს. იმავე იურიო კივიმიესის ლრმა რწმენით, „მომავალი მკვლევარები უცილობლად დაადგენენ, რომ ჩვენი (ფინური) ერთოვნული ანდაზებისა და სიტყვათვების უმრავლესობა გარედან არის ნასესხები“... ოლონდ, რა თქმა უნდა, აქაც. ისევე, როგორც სინტაქსური რიგის მაგალითებში, ფინურად უნდა გვკირთოს თვალი, რათა საკუთარი გამოთქმა კალკად არ გავისალოთ. მაგ., რუსულ ითარებას სერდცეს ფრანგულის კალკად თვლიან. ამას ვერ ვიტყვით ქართული გული მისცა-ს შესახებაც. იგი გვეხდება ჯერ კიდევ რუსთველთან: „გული მისცეს გულისათვის, სიყარული გზად და ხილად“. შესაძლოა, დროის მოკვლა (убить время) არ იყოს რუსულის გზით შემოსული ლა-

თინურის კალკი. მის ადგილობრივ რეალგზე გაჩენის სასარგებლოდ ქართველების, რომ მოკვლა ზმან ქართველებში დის სხვა ფრაზეოლოგიურ კონტექსტებშიც: გულის მოკვლა, წყურვილის მოკვლა...

ვ. თოფურია წერს: „საერთოდ გამოთქმათა მსგავსება სხვადასხვა ენაში თარგმანს არ ნიშნავს; მაგ., ზოგი პერიოდი, რომ „მშობლიური ენა“ თითქოს კალკი რუსული გამოთქმისა „родной языкъ“, ნამდვილად კი ბუნებრივი ქართულია“.

ჩვენ მეტაც ვიტყვით: ა. ბეგვაძილს სტატიის ბოლოს მოჩიდ საქმილოდ ქვეშ თანდებულიანი კონსტრუქციები შემოუნახავს: ლვინის ქვეშ მყოფი, მუსიკის ქვეშ... ასეთი ფორმები სხვაც გვაქვს ქართულში: ეჭვის ქვეშ აყენებს, კითხვის ქვეშ აყენებს... რომელთა რუსულობაში არავის ეპარება ეჭვი (ставит под сомнением, ставит под вопросом). აღნიშნული მოდელი მიჩნეულია ქართული ენისთვის შეუფერებლად. მაგრამ ძეველ ქართულ ტექსტებში წავიწყდით რამდენიმე ნიმუშს, რომელიც ზემოთ აღნიშნული მოდელის ადგევა მუსიკის და სხვა:

„...და მძლავრნი იგი ყოვლით ძალით მისითურთ კდემასა ქუეშე შეაყენეს“ („ასურ. მამათა ცხოვრ.“ გვ. 168).

კდემასა ქუეშე შეაყენეს (=სირცევილში ჩავადგეს, შეარცვინეს) ზუსტად იმეორებს რუსული კალკის მოდელს: ეჭვის ქვეშ დააყენეს. ასეთსავე კონსტრუქციის ვეცდებით „აბო ტფილელის წამებაში“: „მძლავრებასა ქუეშე დამინებულნი და ხარკსა ქუეშე გულმულნი“ (გვ. 57).

ესა და სხვა შემთხვევები (მაგ., მოვიდა გონიერებასა — „შუშანიკის წამებიდან“. შედრ. რუს. კრისტიან მარტინ მარტინი და არა არა. ცხადია, დიდი სიფრთხილე გვმართებს, როდესაც სხვა ენის მასალა გადმოგვაჭვს. ეს

ახლა კონკრეტულად იმის შესახებ, რა შეიძლება ითარგმნოს და რა არა. ცხადია, დიდი სიფრთხილე გვმართებს, როდესაც სხვა ენის მასალა გადმოგვაჭვს. ეს

ჩვენც ვიცით, მაგრამ აქედან არ ვაკე-  
თებთ დასკვნას, რომ საერთოდ არაფრის  
თარგმანი არ შეიძლება. ჩვენი ამოსავალი  
წერტილი ასეთია: მიუღებელია კალყი,  
თუ იგი ეწინააღმდეგება ენის ბუნებრი-  
ვი ფორმების განვითარებას. ეს პროცე-  
სი ენას თავს ახვევს მისთვის უცხო მო-  
დელებს. სწორედ აქ იგულისხმება ის  
„უცხო სინტაქსი“, რომლის გახსენებაც  
კი ზარაც ა. ბეგვაილს. მხედველო-  
ბაში გვაქვს ში, ზე, ჰევშ და სხვა თანდე-  
ბულიანი კონსტრუქციები, რომლებიც  
უზრუნველყოფილია ქართული  
სინტაქსის ბუნებისთვის: გაუიღავისა  
საქონელი, დაინტერესებულია სრულყო-  
ფაში, ძირითადში ასეა... ფასი სიმინდზე,  
სახეზეა, ფეხსაცმელი ტყავზე გვაქვს...  
მუსიკის ჰევშ, აკომპანიმენტის ჰევშ  
და სხვ. ცხადია, ეს კონსტრუქციები უნ-  
და შეიცვალოს ქართულისთვის ბუნებრი-  
ვით წყობით: იყიდება საქონელი, და-  
ინტერესებულია სრულყოფით, ძირითა-  
დად ასეა...

ერთი რამ კია: ასეთ უცხო მოდელს  
ყოველთვის უარყოფითად ვერ შევხე-  
დავთ, განსაუთრებით მაშინ, როდესაც  
მისი შესატყვისი ზმნა ან გამოთქმა ქარ-  
თულში არ გავვაჩინა, ის აზრი კი, რო-  
მელსაც კალკ გაღმოსცემს, ურთიერთ-  
გაგებინებისათვის აუცილებელი ჩანს.  
მაგ., შეიძლება ავიტანოთ რუსული წი-  
ნააღმდეგობაში ჩავარდა (ვიალ ა და-  
წილი რამდენიმე ასე თუ ისე მისი ფარ-  
დია, კალკს წარმოადგენს (პიპალ ა ტუ-  
პიკ).

ასევე, ხელს ვერ იყიდებთ საუბრისას  
კითხაზე: რაშია საქმე? (В чём дело?).  
მართალია, მის პასუხს საქმე მაშინა „ვა-  
ქართულებთ“: საქმე ის არის, მაგრამ  
ყოველთვის არ იძლევა ეს სასურველ შე-  
დევს. მაგალითად, წინადაღებას, „სწო-  
რედ ამაშია, მეგობრებო, საქმე“, სხვანა-  
ირად ვერ ვიტყვით. თვით კითხაც ხში-  
რად ასე უნდა დაისვას: რაშია საქმე? ბე-  
გაშვილის მიერ შემოთავაზებული რა ამ-  
ბავია, რა მოხდა ვერ იტევს ყველა იმ ნი-  
უანსს, რაც რაშია საქმე-ს ახლავს. მაგ.,

გამომძიებლის კითხვა: „აბა, მითხარის, რაშია საქმე?“ ან ლექტორის საუბრებული საქმე, მეგობრებო?“. აქ არც რომ ამბავია მიუღება და არც რა მოხდა. მით უმეტეს, არა ვაქვს ხელოვნურად გაფთვაზული რა არის საქმე?

ამით იმის თქმა გვინდა, რომ როდესაც  
აუცილებლობაა, როდესაც მშობლიურ  
ენაში გარკვეული ნიუანსის გაღმოსაცე-  
მან სხვა საშუალება არა გვაქვს, შეიძ-  
ლება კალყი ვისმაროთ და ამაში უდი  
არაფერია, მით უმეტეს თუ ეს უცხო მო-  
დელი შეესისხლხორცა ენას და მის სის-  
ტემაზ სათანადო ადგილი დაჭირია. ასე-  
თი გამონაკლისების დაშვებას შეიძლება  
მივუსადაგოთ ნორმების დამდგენი კო-  
მისიის პრინციპების ერთ-ერთი პუნქ-  
ტი: „უცვლელი რჩება ისეთი ლექსიერუ-  
რი და გრამატიკული (მორფოლოგიური  
და სინტაქსური) მონაცემები, რომლე-  
ბიც ერთია და სალიტერატურო ენაში  
დაკვიდრებულია, თუნდაც ის გრამატი-  
კულად არ იყოს სწორი“ (ხაზგასმა ჩვე-  
ნია. ა. თ.).

შედარებით ოპტიმისტურად უნდა შე-  
ვხედოთ ხატოვანი გამოთქმების კალყი-  
რებას. ასეთი ერთეულები ამდიდრებს  
ენის ფრაზეოლოგიურ მარაგს და აფარ-  
თოვებს მეტყველის წინამოღებათა სუე-  
როს. დღეს უკვე ბევრია ქართულში გა-  
მოთქმა, რომელთა რუსული წარმომავ-  
ლობა აღარ შეიგრძნობა: ფეხზე დადგა  
(стал на ноги), კისერზე აზის (сидит на  
шее), ხელი მოითბო (руки нагрел) და  
სხვ. ეს გამოთქმები შეითვისა ქართულმა  
და საკუთრად აცვია, სხვა ენაში შექმნი-  
ლი ასცუიაცები მისთვის ორგანული  
გახდა. პ. გუგუშვილი მომხრეა ენგელსის  
მიერ მარჯვის მიმართ ნახმარი გამოთქ-  
მის პირველი ვიოლინოს (პერვა სკრიპ-  
კა) სიტყვა-სიტყვით თარგმნისა: „პირ-  
ველ ვიოლინოს, როგორც გამოთქმას,  
შეუძლია იარსებოს ქართულადაც, ისევე  
როგორც იგი (იტალიურიდან გავრცე-  
ლებული) არსებობს გერმანულ, რუსულ,  
ინგლისურ და სხვა ენებში“.

ასეთი პოზიცია პრინციპულად მისა-  
ღები ჩანს, მით უმეტეს, თუ ახალი მისა-  
ლა იძლევა განსხვავებულ ელფერს. მაგ.,

ბეგაშვილი უარყოფს გამოთქმებს: წა-  
მალი მიეცით, შეცდომა დავუშვი... მხო-  
ლოდ იმის გამო, რომ მათ ქართულში  
შესატყვისი მოექცენებათ. მაგრამ არიან  
ისინი სრულიად იდენტურნი? ვფიქ-  
რობთ, რომ არა!

როგორც ცნობილია, აბსოლუტური  
სინონიმები არ არსებობს, მათ შორის  
ნიუასური სხვაობა ყოველთვის შეიძი-  
ნება. რატომ უნდა შეიცვალოს წამლი  
მიეცით გამოთქმით — წამალი დაალევი-  
ნეთ? ჯერ ერთი, რა აუცილებელია, რომ  
ყველა წამალი, რომელსაც ვაძლევთ, ავ-  
ადყყოფმა დალიოს? — იქნებ აბია და  
ყლაპავს! მეორეცაა და, თუ ბუნებრი-  
ვად ელერს სიტყვა მიეცით, უიცი მიე-  
ცით, გაფრთხილება მიეცით, გზა მიე-  
ცით, რატომ არ შეიძლება წამლის მიცე-  
მა?

ა. ბეგაშვილის შიში, ასეთი გამოთ-  
ქმების გადმოტანით დავამახინჯებთ დე-  
და ენასო, საფუძველს მოკლებულია.  
უნდა გვასხოვდეს, რომ პირველ რიგში  
თვით ენა დგას თავისი სიწმინდის სადა-  
რაჯოშ. ჩვენ ასე თუ ისე ვმხარებთ გა-  
მოთქმას წესრიგში მოიყვანა (привел  
в порядок), მაგრამ ვერა და ვერ დამკ-  
ვიდრდა გაფუჭებულობაში მოიყვანა  
(привел в негодность), ან მდვინვარება-  
ში მოიყვანა (привел в ярость). მათ გა-  
ვრცელებას ენამ შეუშალა ხელი. მეო-  
რე მხრივ, პურისტები ავერ „მეორე სა-  
უკუნეა“ ებრძვიან გამოთქმას არ გაუშვა  
ხელიდან (не выпускай из рук), მაგრამ  
გაუშვა ვინმემ ხელი? არა, რადგან აქაც  
ენა ჩატრია საქმეში. მან უკეთ იცის, რას  
მისცემს „სანქციას“ და რას არა. რო-  
გორც აღნიშვნავენ, ასეთი კონტროლის  
თვალსაჩინო ნიმუშს იძლევა „ამერიკუ-  
ლი ენა“, რომელიც თვითის იდიომატი-  
კის დემოკრატიული ხასიათის გამო კარს  
არ ულებს ინგლისურში გავრცელებულ  
ბიბლეიზმებსა და წმინდა წიგნურ გამო-  
თქმებს (ა. კუნინი).

უცხოურისადმი ასეთივე შეგნებული  
დამკიდებულების უნარს ამჟღავნებს  
ქართულიც. ვ. თოფურიას სწორი შენი-  
შვნით, „მიუხედავად იმისა, რომ სპარსე-  
ლები, არაბები, რომაელები, მონგოლე-

ბი ხანგრძლივად ბატონობდნენ დაქართულ  
ელოში, მათი ენის გავლენა ქრისტიანულ  
კასა და ფონეტიკას სრულებით არალესა  
ტყობია, ლექსიკაში საქმაოდაა შემოსუ-  
ლი სიტყვები ზეპირი ან წიგნის გზით, მა-  
გრამ ენამ შემოინახა მხოლოდ ის, რასაც  
გამართლება ჰქონდა, სახელდობრ, ეკვი-  
ვალენტი ქართული სიტყვა არ მოეპო-  
ვებოდა. ალსანიშნავია, რომ ბევრი აღმო-  
სავლური სიტყვა, ნამარტი მხოლოდ  
თხულებაში და თვით ისეთ აეტორიტე-  
ტულსა და პოპულარულ ნაწარმოებშიც  
კი, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“, სა-  
ერთო-სახალხო ენის კუთვნილება არ გა-  
მხდარა. ასევე შეიძლება ითქვას ზოგ კა-  
ლკზე“ (ხაზგასმა ჩეგნია. ა. თ.).

ასე რომ, ა. ბეგაშვილს შეუძლია არხე-  
ინად იყოს — საყვარელ დედა ენას  
უმისოდაც არაფერი მოუვა. რა თქმა  
უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულ-  
ხელდაკრეცილი შეცვალებდეთ ენის  
„სელექციონურ“ შესაძლებლობებს. ენ-  
ას სჭირდება მუდმივი მოვლა და კონტ-  
როლი, მხოლოდ ეს საქმე უფრო კომ-  
პეტენტურ პირებსა თუ ორგანოებს ევა-  
ლებათ!

გარდა კალკირების ამ ძირითადი სა-  
კოთხისა, ავტორს არ ვეთანხმებით მთელ  
რიგ კონკრეტულ შემთხვევებშიც:

ა. ბეგაშვილი ვერ იტანს წინადადება-  
ში რომელიმე წევრის გამორჩენა-გამო-  
ტოვებას. ამას იგი უბრალოდ „უმართე-  
ბულობას“ უწინდებს და პედანტურად  
ცდილობს ყოველივეს აღდგენას. მას აღ-  
შუთოთებს გაზეთებში სათაურებად და-  
უსრულებელი წინადადებების მოძალე-  
ბა: მეორე საკავშირო, მეოთხე ლიმიში-  
ური, მეტი მოსავლისათვის და სხვ.

ქაც გაუთვალისწინებელია სათაურის  
სპეციფიკა. ეს არის ოპერატორული, მოქ-  
ნილი დასახელება. რომელიც ყველა წე-  
ვრის წარმოდგენით კიდეც წააგებდა: მე-  
ორე საკავშირო შექიბრება, ვიბრძოლოთ  
მეტი მოსავლისათვის...

სათაურების შემდეგ ბეგაშვილი ფრა-  
ზებს წვდება: „მოთხრობილია გმირთა  
შესახებ“, „ამის შესახებ კრებაზეც ით-  
ქვა...“ „კი, ბატონო, გმირთა შესახებ  
არის მოთხრობილი, მაგრამ რა არის მო-

თხრობილი? — კითხულობს ირონიულად იგი. — ამის შესახებ კრებაზეც ითქვა, მაგრამ რა ითქვა?“...

ჩვენ შევასხენებთ ბეგაშვილს, რომ კრებაზე რაც ითქვა, ამის შესახებ წინა ფრაზებშია თქმული და აღარ ღირს გამორება. ასევე, რაც მოთხრობილია გმირთა შესახებ, ის უკვე მოთხრობილია და საჭირო აღარაა გახსნება....

ბეგაშვილი ცუდ ქართულად თვლის: მე რომ არა, დაილუბებოლი. იმის მიხედვით, თუ რაზეა სატარი, კარგი ქართულით ასე შეიცვლებათ: „მე რომ არ ვყოფილიყავ, მე რომ არ მოგხმარებოდი, დაილუბებოლი“.

კითომ გართლა დავიღუპებოდით?

ვფიქრობთ, არა (ბოდიში, სრულად უნდა გვეთქვა: ვფიქრობთ, რომ არ დავიღუბებოდით). კიდევ კარგი, მას არ გაასხენდა სხარტი ქართული თქმა მე რომ შენი ვიყო, თორემ უმაღლ სრულყოფილად მოგვაწყდებდა: მე რომ შენს ადგილზე ვიყო. რაც შეეხება შეძახილებს: ხმა! კრინტი! ხელები ზევით! ფეხები განჯე! ბეგაშვილთან ალბათ მიიღებდა ასეთ „ჩამოყალიბებულ“ სახეს: ხმა არ გამავინო! კრინტი არ დასძრა ხელები ზევით ასწიე ფეხები განჩე გადგი და ა. შ. და ა. შ.

ა. ბეგაშვილი წინადადებაში ამჩნევს მეორე უკადურესობასაც (ისე კი არ არის საქმე!). მისი აზრით, დასტურდება გამოთქმები თუ სიტყვები, რომელიც ფრაზებში ზედმეტობას ქმნიან. ასეთებს შორის დასახელებულია ადგილი აქვს (имеет место). მაგ.. ადგილი აქვს მანქანების მოცდენას, ადგილი აქვს მნიშვნელოვან ზრდას... ამათ ნაცვლად გვთავაზობს: მანქანები ცდება, მნიშვნელოვად იზრდება...

გართალია, დაწუნებული და მოწონებული ფორმები შინაგასხბლივად არ ფარავს ერთმანეთს, მაგრამ შევთანხმდეთ, რომ ამ შემთხვევებში არ უნდა „ჰქონდეს ადგილი“ გამოთქმას ადგილი აქვს. და ეს იმიტომ, რომ აქ მისი მაგივრობა შეიძლება ითავოს იმ საწყისმა, რომელიც სახელს ახლავს: მოცდენაშ, ზრდაშ, დარღვევაშ... ისინი იქცევიან

ზმებად: მანქანები ცდება, მნიშვნელოვანი იზრდება, წესები ირლვევა... თუ კაშული ყისს არ უძღვის მსაზღვრელი, იგლი უკრისა იხერხებს გაშმენურებას და გამოთქმა ადგილი აქვს საესებით ბუნებრივად უდერს: ადგილი აქვს — ჩხუბს, აყალმაყალს, უხეშობას...

ასევე, ზედმეტია იწვევს ზმა იქ, სადაც სიტყვასთან საწყისია: მოთხოვნილების ზრდას იწვევს — მოთხოვნილებას ზრდის... მაგრამ აუცილებელი ჩანს სხვაგან: იწვევს — ავარიას, აფეთქებას, ჩხუბს...

ამრიგად, ბეგაშვილს ის კი არ უნდა ეთქვა, ენაში ზოგიერთი სიტყვები თუ თქმება ზედმეტად იმარება. ასეთი რაზე არ შეინიშნება. „ზედმეტი ინფორმაციის“ ნიმუშები, ისიც ნეოლოგიზმები, ენასთვის საერთოდ უცნობია. ეს სიტყვები თუ თქმები ზედმეტია უადგილო ხმარებისას.

ა. ბეგაშვილი ვერ ეგუება იმ თვალსაჩინო ფაქტს, როდესაც სიტყვა ქართულში იძნეს მნიშვნელობის ისეთ ახალ ნიუანსს, რაც მას ვთქვათ, რუსულში აქვა. მოვიტანთ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს:

„რუსული ვისიკი განა ყოველთვის ქართულად „მალად“ უნდა ითარებონს?“ ამ კითხვაზე ავტორი უარყოფითად უპასუხებს და იძლევა თავის „რეცეპტებს“: გილოზე უნდა ითქვას — დიდი, საპატიო; მოსავალზე — უხვი, დიდი და ა. შ. ერთი სიტყვით, იქ, სადაც რუსულში ვისიკია, ქართულში არსად მაღალი-ის ჭიჭანება არა!

რატომ აქვს ავტორს მაღალზე ასეთი დაბალი წარმოდგენა? ჯერ ერთი, თვით იმ სინტაგმებშიც, რომელსაც იგი გვაწვდის, თავისუფლად შეიძლება მოხვდეს მაღალი (და ეს დადასტურებულია ლექსიკონებით). ვამბობთ დიდი სიცხვო, მაგრამ იქვე მაღალი ტემპერატურა გვხვდება. ასევე, კულტურა შეიძლება იყოს დიდიცა და მაღალიც. გვაქვს აგრეთვე ამაღლებული გრძნობა, ამაღლებული სიყვარული. „სიყვარული აღგამაღლებსო“ — ვასწავლის რუსთაველი.

მეორე, ქართულ ენაში დასტურდება სინტაგმები, სადაც მხოლოდ მაღა-

ლი გვედება: მაღალი წრე (высокий круг), მაღალი წნევა (высокое давление) მაღალი ნოტი (высокая нота), მაღალი ხმა (высокий голос). შრო. დაბალი ხმა — низкий голос. მუსიკ. ტერმინი და სხვ.

ამრიგად, მაღალის ის ნიუანსები, რაც ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების უძრავლესობაში გვაქვს, არ ჩანს რუსულიდან შემოტანილი. ეს არცაა გასაკვირი. ცხადია, ენები ერთმანეთისაგან გასხვავდებიან სიტყვათშეკავშირების კანონებით: ჩშირად ერთ ენაში გარკვეული სიტყვის ორგვლივ შექმნილ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს მეორე ენაში არ გააჩნია რიცხობრივად ტოლი პარალელები. მაგრამ, როგორც ცნობილია, ენებს სიტყვათშეკავშირების, ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის რეალიზაციის თვალსაზრისით (ისევე როგორც სხვა სფეროებშიც!) ბევრი სერთო აქვთ. სავსებით ბუნებრივია, რომ სიტყვა მაღალს ისეთივე ნიუანსები გამოემუშავებინა ქართულში, როგორც ვысокий-ს აქვს რუსულში (თვით ბევრი შეილიც ხომ შენიშნავს, გვაქვს ქველებური ლმერთო მაღალო, მაგრამ ეს მას შემთხვევითად ეჩვენება და აქედან აჩაშორი დასკვნა გამოაქვს).

თვით დიდი, რომელიც ბეგაშვილს რუსული ვысокий-ს ძირითადი ფარდი ჰვინია ქართულ სინტაგმებში, განა რუსული სიტყვათშეკავშირებისათვის უცხოა? ჩაიხედოთ ლექსიკონში: Большой ученый — დიდი მეცნიერი, Большшая радость — დიდი სიხარული, Большое знакомство — დიდი ნაცობობა, Большшая любовь — დიდი სიყვარული (სხვათა შორის, ბეგაშვილს სიყვარულის „ქართულ“ მასზღვრელებში დიდი არა აქვს მოხსენიებული. როგორ მოუვიდა ეს?).

ა. ბეგაშვილი, ეტყობა, შესანიშნავად იცნობს სიყვარულის თემას. ამიტომაა, რომ მეტად მქაცრად ეკიდება შასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას. არ მოსწონს თავი და თავი, თვით სიტყვა შეყვარებული. რატომ, აღარ იკითხავთ? შეყვარებულს თურმე არა აქვს ტრადი-

ცია, გადმოთარებნილია (влюблённый) და ამავე დროს არასწორადა ნაბეჭო. ბეგაშვილის ღრმა რწმენით, შეყვარებული გარებული ვარ, კიდევა აქვს აზრი: მე ვინმეს ვუყვარვაზ, ვინმესგან შეყვარებული ვარო, მაგრამ მე შეყვარებული ვარო, რომ ამბობენ ხოლმე და გულისხმობენ მე სხვა მიყვაროს, ეს კი იკტორს ვერ აუტანია. ამიტომაც იშველიებს ქართულ სატრფოს და „ენობრივად მახინჯფორმებს“ ცვლის სწორი ქართულით.

დავიწყოთ იმით, რომ სატრფო, როგორც სინონიმი, აზრობრივად ვერ ფარავს შეყვარებულს. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ფარდი ვერ გამოდის — მართალია, სატრფოც თავდაპირველად ისევეა ნაწარმოები ზნისაგან, როგორც შეყვარებული (ვეტრფი — სატრფი-ო, მი-ყვარ-ს — შეყვარ-ებ-ულ-ი), მაგრამ დღეს იგი არსებითი სახელია, მხოლოდ პიროვნებას აღნიშნავს, შეყვარებული კი ინარჩუნებს მიმღების ელფერს, სახელიდ ჯერ კიდევ მთლად არ არის ქცეული. ამიტომ იგი გარკვეულ შემთხვევაში უზრის სატრფოს (მე მყავს სატრფო — მე მყავს შეყვარებული), მაგრამ არცთუ იშვიათად სხვა ნიუანსს იძლევა: აღნიშნავს შეყვარების, სიყვარულის პროცესს: მე შეყვარებული ვარ არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მე ვინმეს ვუყვარვარ ან მე ვინმე მიყვარს, იგი უფრო სულიერ მდგრამარეობას გამოხატავს: ჩემში სიყვარულის გრძნობაა დასადგურებული, გალვინიზებული. ამ ნიუანსის გადმოცემაში, ცხადია, სატრფო შეყვარებულს ვერ შეცვლის. შეყვარებული უფრო მოქნილი ტერმინია აგრეთვე საყვარელთან შებირისირებისას: ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვა ფორმა გამოყენებულია ორი სხვადასხვა შინაარსის გადმოსაცემად: შეყვარებული — влюблённый და სყვარელი — любовник.

ბეგაშვილი ცდება მაშინაც, როდესაც იცნობს, რომ კლასიკურ ლიტერატურასა და ხალხურ მეტყველებაში შეყვარებულის ნაცვლად ყოველთვის სატრფო იხმარებოდათ. გავისტოროთ თუნდაც ცნობილი ხალხური სიმღერების სტრიქონე-

ბი: „შეუვარებულმა მითხრა უარი“, ან „შეუვარებული ვის არ ჰყოლია“...

და თუ ავტორი გაურბის ენაში სინონიმურ სიტყვებს (სატრფო — შეუვარებული), მაშინ მან ხელი უნდა აიღოს ხმარებიდან გადავარდნილ მიჯნურზეც, რომლის მიმართ ყურადღების გამოუჩენლობა მას რატომლაც სასტიკად აღიზიანებს. ჩვენ ერთს შევახსენებთ მხოლოდ: არც მიჯნური წმინდა ქართული: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა“...

ა. ბეგაშვილისთვის (რომელიც, პირველ რეში, პოეტია), რატომლაც უცხოა სიტყვის გადატანით მნიშვნელობის ცნება. ამ „ორიგინალურ“ თვალსაზრისს იგი წინათაც ავლენდა (მაგ., როდესაც მცირე სტატიაში „ოქრო ბიჭები თუ ოქროს ბიჭები“ სერიოზულად ამტკიცებდა, რომ ოქროს შეიძლება იყოს კალამი, ფული, საყურე და სხვ., მაგრამ კაცი — არავითარ შემთხვევეში!). ამრიგად, თავი და თავი ისაა, რომ ავტორი სკეპტიკურად ეკიდება მეტაფორულობის ცნებას. ალბათ მასში უდიდეს განცვილებას იწვევს გამოთქმები: წელებზე ფეხს იდგამს (როგორ შეიძლება წელებზე ფეხის დაღვმა? ცირკია თუ რა!) პირიდან ცეცხლებს ყრის და სხვ. მაგრამ რა ქნას, ქართული გამოთქმებია...

დაბოლოს, გვინდა ორიდე სიტყვა ვთქვათ თვით ბეგაშვილის, როგორც სტატიის ავტორის, სტილზე. მართალია, იგი სხვებს უსწორებს ქართულს, მაგრამ ზოგჯერ მის მიერ შემოთავაზებულ „ლაკონიურ“ ფრაზასაც დახვეწა სჭირდება (მისივე „პრინციპებიდან“ გამომდინარე). აი, რამდენიმე მაგალითი:

1. ცოდვილი ავტორი — მოვიდა არა მარტო პეტრე, არამედ ივანეც.

ბეგაშვილი — მარტო პეტრე კი არ მოვიდა, არამედ — ივანეც.

ჩვენ — მარტო პეტრე კი არა, ივანეც მოვიდა.

2. ცოდვილი — ამის მიზეზია არა უდრობაა, არამედ სიზარმაცე.

ბეგაშვილი — ამის მიზეზი უდრობა კი არ არის, არამედ — სიზარმაცე.

ჩვენ — ამის მიზეზი უდრობა კი არა, სიზარმაცეა.

3. ცოდვილი — ომი გამოვუტოდოს სიზარმაცეს.

ბეგაშვილი — ვიბრძოლოთ სიზარმაცეს წინააღმდეგ.

ჩვენ — ვებრძოლოთ სიზარმაცეს.

4. ცოდვილი — საყვედურს ვისი მისამართით ამბობ?

ბეგაშვილი — საყვედურს ვის ეუბნები?

ჩვენ — ვის საყვედურობ?

ასეთია ჩვენი ზოგადი და კონკრეტული შენიშვნები ბეგაშვილის საკმოდ „მომსხო“ სტატიაში აღძრულ საკითხებზე. დასკვნა ერთია: ენას შინაგანი განვითარების გვერდით აქვს სრულყოფის მეორე გზა — უცხო ენებთან კონტაქტის გზა. მეცნიერებისა და კულტურის პროგრესი კარს უდებს ენაში ინტერნაციონალურ ტერმინოლოგიასა და იდიომატიკას. ჩვენ საკმარი დოზით გვეგულება საკუთარ ნაწერში ასეთი მისალა. იგი ჩვენი წერითა კულტურის ორგანული ნაწილია. ამასთან ლრმად ვვკრა, რომ თანამედროვე ინტელიგენტი თავისუფლად უნდა ფლობდეს იმ „ტენიციურ-ენობრივ საშუალებებს“, რაც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს დღევანდელ ეტაპზე შეუქმნია. და მართლაც, განა ჩვენი ცნობილი მწერლებისა და მეცნიერების ნაწერებში ცოტა უცხო მოდელები და კონსტრუქციები არ მდენიც გნებავთ. მაგრამ ის ისეა შესრდილი მათს ენობრივ ქსოვილს, რომ ერთი შეხედვით გაგიჭირდებათ კიდეც გამორჩევა.

ნათქვამი რომ ფუჭი არ გამოდგეს, მივმართავთ ქართული სალიტერატურო ენის ფუქემდებლისა და მოამგის, ილა ჭავჭავაძის ლიტერატურულ პრაქტიკას. მისი ცუბლიცისტური წერილების ათო-ოდე გვერდის გადათვალიერებამაც ცხადყო, თუ რა უხვად იყენებდა წერისას. იგი უცხოურ და, კერძოდ, რუსულ კალკებს. აი, რამდენიმე ნიმუში:

„რაზმი ჰყავანდა სახეში“, (имел в виду. ტ. IX, 1928 წ., გვ. 49); „იმ წრიდან გამოიდნენ“ (вышли из того круга. IX, 50); „ადამიანის შეილი ერთის მხრით

(с одной стороны) юфаляя, թյоркес мերօտ (с другой стороны) մոցալլե<sup>2</sup> (IX, 34); „Եց սացան միջազ Ծյօվոլոյա ծղզանդըլուս գլուս“ (сегодняшнего дня. IX, 29); „Եցրետ՛ոռքեծուլո (так называемая) ոնԾյօլոցնեցա“ (IX, 30); „արացուարո շոլլեծա արա պյես“ (никакого права не имеет. IX, 57); „սական մոցազա զոյշրած“ (откуда пришла мысль. IX, 57); „ծղզ-մշուճամ Ցո՛չու վազութ (под страхом) մացոյցտ“ (IX, 38); „ածալո համես սաելլուս վազութ...“ (под именем. IX, 49); „ցամարտլա ոմա՛շո, հոմե...“ (оправдал в том, что... IX, 55) դա սեց.

այ, ուրիմյ հոգոր շպուրեծդա քալցուրին ծայութես յարտուլո յրուս և սիմին-դու տացամոռքեծուլո ժամպայլո. որյզե-զա, հոմ ծեցամյուլս արց ոլուս პածուլու-ցուսթուրո Ծյէրուլեծիտուս ցագաւեցավ, տորիմ այց եթորագ զեր ժամոռքեծդա մատս ազրորս տացուս პշորիս տուլո ան-րուս ժասացագ.

զգոյիրօծտ, ասեց Տեյշուլաթուրոա ծց-ցամյուլս նուխուա Ծյէրմոն, „եալուրուս“ մոմարտ. օգո եթորագ օմյորեծս: „նամց-ցուլո յարտուլո և մարլանու լա եալուրո... յարտուլոա“; „յենուս ցամարտ-րինաս լա հմոպալուծեծի մեցնոյրե-ծուս հոլու մալուն գուգու, մաշրամ յը ոմ անհու ար յարկոյցտ, հոմ յենս եալես վիմենուս“.

զո մաշրամ, ան արուն յը մեցնոյրեծի? ուսոն եալես Ծյարմոմագցենլուցագ ար ուղալլեծին?

ծցցամյուլմա լինդա ուրոցը, հոմ յենս պյես սեցագասեցա զենա, սեցագասեցա սոյ-րո ցամովոլունեծիս. „սացնուս Տեյշուլոյուս և մոխանդասակալունեծիս մոկեցուոտ ցե-ռոնից-սբուլուս ընթացացնուս ահսե-ծուն նոցքը առցոլլեծուուա դա ամ

մերօվ նոցըլորեծա ար Մեյօլլեթա<sup>3</sup> Նիորած նշոնինաց յրուցան ք. մշուլլունե-ծու („Կույսարու“ № 1, 1966 թ.). Աշխակավանցուաս ու յամուն „եալուրունեծիս“ ձրոնցուն պայ-լացան յրունառուագ զեր մոցոյցնեցնու. հած-դունագաւ օգո Ծյամպանուս սամացին մը-ծոյցըլունեծիմ, մուցենագ նայլուն մոցենուլուս յալորնալուս տոյուս և մոցնոյրուլուս յնո-սատցուս. մեռլուն հրմելումը կոլուս ծա-խայց գոյա մոցնոյրուլու գրմինուռոցուս զեր Մեյմնո. զոնց ամս զեր ցացցինս, տցո-տոն լցցին յնուս պահու յնուոյցացնուս և ա-շալարունեծիս նուխուա Ծյագու, մյա-ցուուն լինդա ցմոռոցցուուս, և ոց լուն-նեցնա Ծյէրմոն, „եալուրունեծիս“.

զամասինուլ, յուս յամոցեարեծա ու լոն-ցուրո յլոյցիր, հրմլուտաց ծեցամյուլո Ծյէրունուս ծոլուս կայցասուլուս մուրու եալունեծիս յնեծի ակսենցնու. անհու ասցուա: հա դրուս տեցակուրու, ծոտլունեյրու, Ծյ-եալուրունու, եսոնցիրուս և սեցան ամստանց-նուս Շըսթացլա, հրմցեսաց յարտուլո ցըրինեծա ցցուրծուու.

ա. ծեցամյուլմա ուսուց լունդա ուրոցը. հոմ յարտուլո նույրուլու կայցասուրո յն-ցեծիս գոյա ոքաես Շըսթուրու և հիցեն մո-նացեսաց կայցասուրո յնեծիս Շըսթացլա եցլս յո ար լիլուս, ահամեց յեմարեծա յա-րտուլո յրուս սականծու նույրուլունեծիս ցա-գաժուցըրմ. հա ժասամալուս: Տիայթուրու-լու, „ցմոռոցնեծուու“ ցրմաւուցուս Շըսթ-նուս ցարձա յրուս սկցուալուս տրցնուս Շըսթանց մեցնոյրուլու նույրուցեսցուց ամոմհացըն.

հիցեն յրուշու մանց ցցունեմեծիտ ա. ծց-ցամյուլս: ցրուլու որտոցըրագուլուլո լու-յամյունուս և սոնրայիս յարցու սակելմի-լունելուս Շըսթնա մարտլաց սամյուրո սայ-մեցա. ունցագ օմուրու, հոմ Ծյէրուլու ցացցուս յարտուլո յրուս սակոտեցնու դո-լութան Ծյէրուրու Ծյէրուլեծիս ցամոյցնեցնուս.



# თავისებრი თეატრი

საქართველოს მცხადარი კავშირის გამგეობის პრეზენტაცია

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: მზა-  
დება შოთა რუსთველის 800 წლისთავი-  
სათვის და საქართველოს მწერალთა VI  
ყრილობის მოწვევის შესახებ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გა-  
მგეობის თავმჯდომარებ, პოეტია ირაკლი  
აბაშიძემ თავის შესავალ სიტყვაში ილა-  
პარაკა გენილური ქართველი პოეტისა  
და მოაზროვნის შოთა რუსთველის იუბი-  
ლესათვის მზადების მიმღინარეობაზე.

— იუბილესათვის მზადება არა მარტო  
ჩვენს რესპუბლიკიაში, არამედ მთელ ჩვენს  
ქვეყანაში. — განაცხადა ირ. აბაშიძემ, —  
დღითიდლე ფართოვდება. საიუბილეო თა-  
რიღისათვის მოძმე რესპუბლიკებში ამ-  
ზადებენ „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამო-  
ცემებს. ბერებან ხელახლა თარგმნიან ამ  
უკადაგ პოემას. იუბილესათვის თბილისში  
გამოიცემა პოემის ინგლისური და ფრან-  
გული თარგმანი.

რესპუბლიკურ საიუბილეო კომიტეტს  
შემუშავებული აქვს იუბილეს ჩატარების  
ფართო გეგმა. თბილისში აღიმართება  
დიდი პოეტის ახალი ძეგლი. იუბილეს  
დღეებში საგანგებო გამოფენები მოეწ-  
ყობა მოსკოვსა და თბილისში. რუსთვე-  
ლის იუბილესთან დაკავშირებით თბილი-  
სში მოწვევულია პოეტების საერთაშორი-  
სო ფორუმი თემაზე: „პოეტი და მკითხ-  
ველი“.

პლენუმზე მოხსენებით „ვეფხისტყაოს-  
ნის“ მეცნიერული ტექსტის მომზადების

შესახებ გამოვიდა აკადემიკოსი გიორგი  
წერეთელი.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კა-  
მათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლი-  
კის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკო-  
სებმა აკაკი შანიძემ, აღექსანდრე ბარამი-  
ძემ, კონსტანტინე გამსახურდამ, პროფე-  
სორმა სარგის კაკაბაძემ, მწერლებმა დე-  
მნა შენგველაიმ, ვლადიმერ მაჭავარიანმა,  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა  
ელენე ვირსალაძემ, ფილოლოგის მეც-  
ნიერებათა დოქტორმა ნოდარ ნათაძემ.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს მწე-  
რებლთა კავშირის გამგების მდივნის სე-  
რგი ჭილაიას მოხსენება საქართველოს  
მწერალთა VI ყრილობის მოწვევის შესა-  
ხებ.

კამათში გამოვიდნენ ჟურნალ „ცისპ-  
რის“ მთავარი რედაქტორი ხუტა ბერუ-  
ლავა, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რე-  
დაქტორი გრიგოლ აბაშიძე, საქართვე-  
ლოს მწერალთა კავშირის მდივნი ბე-  
სო ჟლენტი, ჟურნალ „ლიტერატურნაია  
გრუზიას“ მთავარი რედაქტორი მიხეილ  
მრევლიშვილი, გაზეთ „ლიტერატურული  
საქართველოს“ პასუხისმგებელი მილიანი  
ერემი ქარელიშვილი.

პლენუმმა დაადგინა საქართველოს  
მწერალთა VI ყრილობა მოწვეულ იქნას  
მიმღინარე წლის შემოდგომაზე.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს  
მწერლების მექენე ყრილობის დღის წე-  
სრიგი:

1. ქართული საბჭოთა მწერლობა ახალი ამოცანების წინაშე (მომხსენებელი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ირ. აპაშიძე). ყრილობა მოისმენს აგრეთვე შემდეგ თანამოსენებებს: ქართული საბჭოთა პოზია (თანამომხსენებელი ს. ჭილაია), ქართული საბჭოთა პროზა (თანამომხსენებელი ბ. ელენტი), ქართული საბჭოთა დრამა-ტურგია (თანამომხსენებელი ქ. კალაძე),

ქართული საბჭოთა კრიტიკა (თანამომხსენებელი გ. ნატროშვილი).

2. საქართველოს მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი ბ. ჩხეიძე).

3. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, საქართველოს მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიისა და საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობის დელებატების არჩევნები.

## ჩვენი თეატრალური საზოგადოება

1945 წლის 17-18 დეკემბერს მოწვეული იქნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირველი დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო წესდება, განიხილა წევრთა მიღების საკითხები და დასახა გზები მომავალი შემოქმედებითი მუშაობისა.

პირველ ყრილობაზე თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა, მოადგილედ — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი (შ. დადიანი 1948 წლის იანვრიდან საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე იყო 1959 წლის მარტიმდე, ე. ი. სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე).

საზოგადოება ქართული თეატრალური ხელოვნების ფურთო პრობაგნდას ეწევა. ამ მიზნით სისტემატურად ტარდება სამეცნიერო სესიები და სემინარები, მაყურებელთა კონფერენციები და დისტუტები, მსახიობთა იუბილები, ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექცია-მოხსენებები, შეხვედრები მაყურებელთან...

საზოგადოებამ სამეცნიერო სესიები მიუძღვნა: შექსპირის, ლოპე დე ვეგას, გერისთავის, კ. სტანისლავსკის, გ. გუნიას, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის, ლ. მესხიშვილის, შ. დადიანის ხსოვნას და აგრეთვე ქართული თეატრის 100 წლისთავს.

თეატრალური საზოგადოება სისტემა-

ტურად ატარებდა ლექცია-მოხსენებებს საქართველოს სახალხო თეატრების, კულტურის სახლებისა და სასოფლო კლუბების თვითმოქმედ დრამატულ კოლექტივებში ხელოვნების საკითხებზე. ამ ლექცია-მოხსენებებს კითხულობენ როგორც ჩვენ რესპუბლიკის რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, კრიტიკოსები, თეატრმცოდნები, ასევე მოსკოვიდან და ლენინგრადიდან მოწვეული სპეციალისტები.

1947 წლიდან 1962 წლამდე თეატრალურ საზოგადოებას პერნდა საკუთარი გამომცემლობა „ხელოვნება“. მან ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების 350-ზე მეტი წიგნი გამოსცა. ესენია — მოგონებები, მემუარები, მონოგრაფიები, პიესების კრებულები, წიგნები ფერწერაზე, მუსიკაზე, არქიტექტურაზე და მრავალი სხვა (ხევათა შორის, სასულველია გამომცემლობა კვლავ დაუბრუნდეს თეატრალურ საზოგადოებას!).

შ. დადიანის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებას კვლავ ა. ხორავა ჩაუდგას თავაეში, ხოლო შემღებში — დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ მრევლიშვილი. ამჟამად საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე.

ამასწინათ გულთბილად აღინიშნა თეატრალური საზოგადოების დაფუძნების ოცი წლისთავი.



როგორც ჩევენმა მკითხველებმა იციან, მიმღინარე წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭათ მარჯანიშვილის სახელმისის თეატრის მსახიობს სესიონია თაყიშვილს და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს სიკო დოლიძეს.

ამასწინათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა მო-

სკოვის დიდი აკადემიური თეატრს სხვა ლისტს — ზურაბ ანჯაფარიძეს.

შურნალ „ცისკრის“ რედაქტორია რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელით სულითა და გულით მიესალმება ქართული თეატრალური, ვოკალური და კინოხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, უსურვებს მათ მომავალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

## სერგ ზაქარიაშვილი — ენერგეტიკის დაურსატი

მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოგიდა: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაშვილს მიენიჭა ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება.

ლენინური პრემიით აღინიშნა ის შემოქმედებითი გამარჯვება, რომელსაც შესანიშნავა მსახიობმა მიაღწია ფილმში „ჯარისკაცის მამა“ (რეჟისორი რევაზ ჩხეიძე).

გიორგი მახარაშვილის როლის ბრწყი-

ნვალე შესრულებით სერგო ზაქარიაშვილ მნიშვნელოვნად გაამდიღრა თავის გმირთა გალერეა.

შურნალ „ცისკრის“ კოლექტივი მხურვალედ ულოცავს სერგო ზაქარიაშვილს ამ მაღალ ჯილდოს და უსურვებს მას ახალასალ შემოქმედებით გამარჯვებებს როგორც კინოში, ისე რუსთაველის სახელმისის თეატრის სცენაზე.

## თეატრის საერთაშორისო ღრე

საზეიმო ვითარებაში აღინიშნა თეატრის საერთაშორისო ღრე. ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. ლვალიშვილმა.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი დოდო ანთაძე. ქართული თეატრის თვალსაჩინო წარმატებებზთან ერთად მან აღინიშნა, რომ ზოგმა თეატრმა დაკარგა თავისი ზეგავლენა მაყურებელზე, დაკარგა თავისი აღმზრდელობითი დანიშნულება. ეს გამოწვეული იყო ცუდი რეპერტუარით, რომელიც არა-ცერტენტ ეუბნება არც მსახიობისა და არც მაყურებლის გულს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სერგო ჭელიძემ ილაპარაკა თეატრის მუშაობაზე.

გრიბოედოვის სახელმისი თეატრის მსახიობმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. პაიასცეკიმ დამსწრებს მოუთხრო გერმანულ თეატრზე და თქვა, რომ იქაც, ისევე როგორც ჩვენთან, დღის წესრიგშია მაყურებლის პრობლემა, დრამატურგიის პრობლემა.

კ. მარჯანიშვილის სახელმისი თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიგა ლორთქიფანიძემ ახალგაზრდული თეატრის შექმნის იდეაზე გაამახვი-

ლა ყურადღება. ახალი თეატრის შესაქმნელად საჭიროა მხატვრული პოზიციების ერთანიობა, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა, ერთსულოვნება, უძილოდ გატარებული ღამები, დავა, მსჯელობა, კამათი და მაშინ. იქნება აუცილებლობა თეატრის არსებობისა. ასე შეიქმნა „სოგრემენიკი“ და სხვა თეატრები. გიგა ლორთქიფანიძის საინტერესო სიტყვა თანამედროვე თეატრში აქტიორის აღზრდის საკითხსაც მოიცავდა. რეჟისორი განსაკუთრე-

ბით შეჩერდა თეატრების ნაკლოვნებებზე — ჩვენი თეატრების არცთუ ისე მიმართ მებრძოლ, პრობლემატურ რეპერტუალზე.

თეატრალური ინსტიტუტის დოცენტმა ბაბულია ნიკოლაიშვილმა იღაარავა მეტყველების კულტურის ამაღლების საკითხზე თეატრში.

დასასრულ უჩვენეს კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი.

## ნიკოლოზ რისტარვსესის სახელმის ღიზენაზური ქონების

რიონდე წლის შემდეგ მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირმა, საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა და გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ დაადგინეს ჩატარდეს ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელმისილიტერატურული კონკურსი.

კონკურსის მთავარი თემა და წარმოდგენილ ნაწარმოებთა გმირი უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე — მშრომელი და შემოქმედი, მეოცნებები და რომანტიკისი, მუშა, კოლმეურნი, სტუდენტი, მოსწავლე, ინტელიგენტი, აქტივისტი კომკავშირელი, საბჭოთა მებრძოლი, — დიდი და ღამაზი სულის ადამიანები, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

პროფესიონალ-მწერალთა გარდა კონკურსში მონაწილეობის მიღება არალიტერატორებსაც, სხვა დარგის სპეციალისტებსაც შეუძლიათ. საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ყველა ქანრის ნაწარმოები: რომანი, მოთხოვბა, პოემა,

ლექსის, მოთხოვბისა და ნარკვენების კრებულები. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება: წინასწარი შედეგები გამოცხადდება 1966 წლის ბოლოსთვის, საბოლოო შედეგები — 1967 წლის 7 ნოემბერს. გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი პირველი პრემია — თითო 2500 მანეთის ოდენობით; ორი მეორე პრემია — თითო 1200 მანეთის ოდენობით და ათესი მესამე პრემია — თითო 700 მანეთი.

შიურის მიერ საუკეთესოდ მიჩნეულ ნაწარმოებთა ავტორები დაჯილდოვდებიან ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელმისილიტერატურული კონკურსის ლაურეატის მედლებით და პრემიებით, ხოლო ავტორები, რომელთა ნაწარმოებებმაც წამახალისებელი ჯილდო დაიმსახურეს — ფასიანი საჩუქრებით.

საკონკურსოდ ნაწარმოებთა წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1966 წლის 30 აგვისტო.

შიურის მიერ მოწონებულ ნაწარმოებებს გამოაქვეყნებს საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია“.



# უსეასე

ლენინის პარტიის პრილობა . . . . . 3 გვ.

## პროზა და კოზეი

დავით ჭავახაშვილი — კოტილი იღების პონცელი (მოთხრობა)	5 გვ.
ზოთა ნიშნიანიძე — ახალი წიგნებან (ლექსიბი)	60 გვ.
თეიშელაზ აბულაძე — მხა ამოვილა (ლექსი)	65 გვ.
ხუთა გაგუა — აირველი სიყვარული (ლექსი)	66 გვ.
გიორგი გიგაშვილი — ჯვრის უღელტეხილი (ლექსი)	66 გვ.
ვახტანგ მრევანიძე — მოტაცება (იუმორისტული მოთხრობა)	67 გვ.
ინდიონ კვეკვესიძიძი — ორი მოთხრობა	71 გვ.
ჭურავ ჭავახიძე — არაფრის გახსინდა (ლექსი)	74 გვ.
ლეილა გასი — გრეველი დღე (მოთხრობა)	75 გვ.
ალექსანდრე ტაგათაძე — ორი ლიპსი	78 გვ.
ისაკი ქორმუა — ლიპსიზი	79 გვ.
ალექსანდრე ჭავაშვა — ორი ლიპსი	80 გვ.
მუხრან ჩახავა — მი და მამა (მოთხრობა)	82 გვ.
გიხეილ ჩახავა — ლევიზი (ლექსი)	84 გვ.
ზალვა ჩიტივილი — ლიპსიზი	84 გვ.
თავაზ ჩიტივიძე — გიგინა (ლექსი)	85 გვ.
ცოდარ ხუნდავა — მიზის ქალა (მოთხრობა)	86 გვ.
ვითარი წორგავავილი — ზეინაგი (მოთხრობა)	88 გვ.
ჯაფრულ ჭავალიძე — „ვიაზაგით და ჩინენ თვალები...“ (ლექსი)	96 გვ.

## ფიქტური ხელმძღვანელი

ნონა გურაბანიძე — თიბარის კონცლიტი	97 გვ.
------------------------------------	--------

## ლიტერატურული კონკრეტი

ზალვა აღაძიძე — ილაკლი აბაზიძე	111 გვ.
--------------------------------	---------

## ჩივი ასალებურებელის მაგობრები

იულიო ლომოზელი — ხალხისა და მიზის სიყვარული	120 გვ.
---	---------

# რესოუსების ნაკვეთი

როინ მიზნებით — ქვეყნის თვალი, მზისა დარი...



## ცენტრალური

ანაზოლი ვოლფოვი — გამოჩენილი პრიზიკოსი	134	გვ.
არლი თავაიზვოლი — რომოქ ვუზველოთ ჩართულ მნას?	137	გვ.

## თვეობა თვემდე

საქართველოს მთარაღთა კავშირის გამგეობის ვლინებაზი	155	გვ.
ჩვენი თმატრაღური საზოგადოება	156	გვ.
საპორტა კავშირის სახალხო პრიზიკობი	157	გვ.
დირო ზარარავი — ლეიიშვილი პრიმის ლაურეატი	157	გვ.
თვემდეს სამორავორის დღე	157	გვ.
ნიკოლოზ ლეიიშვილის სახალხობის ლიტორალურული კონკურსი	158	გვ.

ვარეკანი და ტიტოვი ეჭვუჩა ამაშუელისა

ურანიალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციაში ზემოსული მასალები, მოცელობით ერთ თაგანამდე, აპტორებს  
არ დაუგრძელება

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მ მდივანის — 5-08-86, განცოცილებების:  
ვოისიდისა და ვროჟის, პრიზიკისა და გიგლიობრავის — 5-08-85, კულტურისა და  
ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილი დასაბეჭდია 15/IV-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირბით  
ფორმათა რაოდენობა 13.7. შეკვ. № 611. უ. 03001. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 11 500.

საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფუმშინარი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 კაპ.

6 82/107



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

# «ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236